ცისკარი

სამხატვრო-საინფორმაციო ჟურნალი

6 | 1997

100 - 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი სამსონაძე

სურათი პირველი

„ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის“

(პაროდია-ხუმრობა ტელეთამაშზე „საოცრებათა ველი“)

ორმოქმედებიანი პიესა თვრამეტ სურათად და ერთ ანტრაქტად

მოქმედი პირნი:

1. წამყვანი
2. წამყვანის თანაშემწე ქალი
3. მორჩილი
4. კოჭლი ნანა
5. ვეტერანი ქალი
6. დონ კიხოტი
7. იოანე
8. წითელქუდა
9. გენერალური სპონსორი
10. გამნათებელი

აგრეთვე, თეატრის მთელი დასი

მოქმედების ადგილი: ტელევიზიის პავილიონი.

მოქმედების დრო: № საუკუნის დასასრული.

ტელევიზიის პავილიონი:

სცენის ცენტრალურ ნაწილში, წინა პლანზე ჩიკორის ფორმის მოწყობილობა დგას (პირობითად მას ჩიკორს უწოდებენ). იგი წვერით დაბლაა დაშვებული, მის ზედაპირზე კი სხვადასხვა ციფრები წერია. ჩიკორი ლამაზად არის გაფორმებული და ტრიალისას რაღაცით ცირკის სასიამოვნო განწყობილებას ქმნის...

სიღრმეში ვხედავთ მაღლა მიმავალ კიბეს, რომელიც პატარა, მრგვალი მოედნით ბოლოვდება.

მხარმარჯვნივ პავილიონის გასანათებელი აპარატურა აუხორხლავთ. აქვე დგას მაგიდა, რომელზეც ტელეფონის აპარატს, წყლით სავსე გრაფინსა და ჭიქას ვხედავთ.

მხარმარცხნივ, წინა პლანზე, საპი მაღალსაზურგიანი სკამი დგას. ამავე მხარეს, სიღრმეში, ატომანქანის სილუეტი მოჩანს. ავტომანქანის სიახლოვეს სხვადასხვა პრიზები აწყვია.

სცენის სიღრმეში პატარა ბარია: მომრგვალებული მაგიდა, მაგიდასთან უზურგო, მრგვალი სკამები, ლამაზად გაფორმებული ვიტრინა, ვიტრინაში სხვადასხვა ფორმისა და ფერის ბოთლები...

კიბის დასაწყისში ძვირფასი სავარძელი დგას.

ჭერზე დიდი ჭაღი ჩამოუკიდიათ.

პავილიონში მრავლადაა სხვადასხვა სარეკლამო დაფები დაახლოებით ასეთი წარწერებით: „ჩაროზი გემრიელი საჭმელია“, „ტურისტული ფირმა“, „შავი არწივი“. „ფირმა „დიდგორი“, „ბანკი „ელეგანტი“ და ა.შ.

სიწყნარეა. ჯერჯერობით გასანათებელი აპარატურა არ ჩაურთავთ.

სცენაზე გამნათებელი შემოვა. შავი ფერის, დიდ-ჯიბეებიანი სამუშაო ქურთუკი აცვია, პავილიონს მოავლებს თვალს. სკამებს გაასწორებს. გასანათებელ აპარატურას მიუახლოვდება. ჩართავს. დროდადრო რაღაც მელოდიას უსტვენს. კაბელებს ამოწმებს. მოპირდაპირე მხრიდან გენერალური სპონსორი

შემოვა. გამნათებელი ვერ ამჩნევს მას, თავისი საქმით არის გართული. გენერალური სპონსორი მაღალი, მსუქანი კაცია, ჭარბი წონა აწუხებს, ასეთზე იტყვიან, მოღღლეზილიაო, ხშირად ოფლიანობს.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. (სკამზე ჩამოჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლით დაცვარული სახე შეიმშრალა, გამნათებელს გამოხედა) - გაუმარჯოს კაი კაცს!

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ. (მანაც შეავლო თვალი) - გაუმარჯოს!.. (ისევ თავისი საქმე განაგრძო)

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (ხანმოკლე პაუზის შემდეგ). სიგარეტი გექნება!

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოიღებს. რამდენიმე ნაბიჯს გადმოდგამს. გენერალურ სპონსორს გადაუგდებს კოლოფს. ისევ კაბელს მიუბრუნდება. უკირკიტებს. გენერალური სპონსორი სიგარეტს დაიჭერს. მოუკიდებს. ღრმა ნაფაზს დაარტყამს.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. დაზიანებაა?

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ. ...ისეთი არაფერი, წვრილმანი საქმეა... (საქმეს განაგრძობს)

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (ისევ ღრმა ნაფაზი დაარტყა. პაუზის შემდეგ). თუ დამიჯერებ, იმისი ფულიც არ მქონდა, სიგარეტი მეყიდა გზაზე...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (საქმეს განაგრძობს). დაუჯერებელი რა არის!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. დაუჯერებელია, აბა რა ჯანდაბაა, გენერალური სპონსორი მაინც არ მერქვას... სიგარეტს თავი დაანებე, მე კაცი ვარ, ძაღლის ძვალს დავკვნეტ, ბოლოს და ბოლოს უფილტრო სიგარეტზე გადავალ, მაგრამ ბავშვებს რომ პურის ფული ვერ დავუტოვე, ისა თქვი შენ... (ხანმოკლე პაუზა) ხომ არა გაქვს რამე ჯიბეზე?

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (საქმიანობს). რამდენი გინდა?

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. რამდენიც შეგიძლია, რა ვიცი...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (ფულის ბანკნოტს დაანახებს). გეყოფა?

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. რას ლაპარაკობ! მეყოფა კი არა... (წამოდგა. თავად მიუახლოვდა გამნათებელს. ფული გამოართვა.) დიდი მაღლობა! აღრეც ხომ მემართა შენი; აი, ამ შოუს წყალობით იქნება მოვიზიდო კლიენტი, მერე ერთიანად გაგისტუმრებ... ალბათ, ორ კვირაში, ასე...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (საქმიანობს). მე ვადა გიხსენე?

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (გული აუჩვილდა.). ერთი ნაღდი კაცი ხარ მთელ ტელევიზიაში... (ოფლით დაცვარული სახე ცხვირსახოცით შეიმშრალა) მოკვდა, ძმაო, ბიზნესი; ჩაწვა საქონელი, კაცშვილს არაფერი აღარ უნდა.

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ. აღრეც ხომ გირჩიე, ბაზრის მოთხოვნილებიდან უნდა გამოხვიდე... რაც უნდათ, ის უნდა ჩამოიტანო...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (გაღიზიანდა თავისი მღგომარეობის გამო.). რა უნდათ ამ შობელძაღლებს, ვეღარაფრით გავიგე, კაცობას გეფიცები... მარტო ამ გახშირებულ მიწისძვრებზე აქვთ ტვინი მომართული, ბუნებამაც გ.....ა, წყალღიღობები მაინც ყოფილიყო, ან ნავებს შეიძენდა კაცი, ან ის რომ არის, ხომ იცი, გასაბერი კამერები... მიწისძვრას რას უზამ, რითი დაიცავ თავს?.. გალოკილი თითივით მარტო რჩები, დამცავი მექანიზმი არ არსებობს; თუ დააღო მიწამ პირი, ჰორჩა, გათავებულია შენი საქმე... (ნაფაზი დაარტყა.) ყოფილიყო წყალღიღობები! რა რეზინის ნავები მეგულება, იცი? დაკეცავ და ჯიბეში ჩაიღებ... აი, ის გასაღებოდა თუ გასაღებოდა... (პაუზა) არა, ძმაო, არა, ამ არეულ ღროს ტყუილად ჩავდგი ფეხი ბიზნესში... კაცშვილს არაფერი აღარ უნდა... აბა, ახლა, გენერალური სპონსორი მქვია?!. კაცი პურის ფულს ვთხოულობ, ლამისაა, იაფფასიან სიგარეტზე გადავიღე...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ. არა უშავს, ჩაივლის შოუ და გამოჩნდება მერე რაღაცა. ბიზნესი თამაშივითაა - ხან მოიგებ, ხან წააგებ... ჩემგან რა გესწავლება, შენ უკეთ იცი...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. რას ამბობ, შენგან როგორ არ მესწავლება... საღ ნახავ შენი გამოცდილების მქონე კაცს... (ხანმოკლე პაუზა) იქნებ წამომყოლოდი საქმეში?!.

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (გაიღიმებს. ხელებს გაასავსავებს). არა, არა... მე, შეიძლება, მეგობრული რჩევა მოგცე, ფორემ საქმეში წამოყოლის თავი საღა მაქვს... აგერ ეს აპარატურა და მთელი ჩემი სიყვარულობაც ეგ არის...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. აი, ეგრეა, სულ ნაღდი კაცის ძებნაში ხარ, წააწყდი და აღმოჩნდება, რომ იმისი მთელი სიყვარულობა აპარატურაა... (ხანმოკლე პაუზა) ძალიან გაჭირდა წესიერი პარტნიორის მოძებნა, ძალიან... (პაუზა) ამ საფულო საქმეში ერთი კოჭლი ქალი გადამაწყდა ჩემლა ჭირად. სიქა გმაძრო, ბავშვებს გეფიცები... (ხანმოკლე პაუზა) კრედიტს შემპირდა, ღიღ კრედიტს, საბუთებზე სირბილში ღრო ხომ ღროდ გამიცდა, ნერვები ხომ ნერვებად დამაწყდა, ცალკე, ბანკს რომ საგარანტიო წერილი მოეცა, იმაში ქვეყანა ფული გადავყარე... გავამზადე ყველაფერი, მოვუყარე თავი საბუთებს, ახლა ეს გარინჩა ვირიშვილი დამეკარგა, კაცო! სამი თვეა დავსღევ და ვერაფრით ხელში ვერ მოვიგდე... ნაღდი გარინჩა!!! ნაღდი, ნაღდი!!! გარინჩა რომ სიქას აცლიდა მცველებს, იმ ღღეში ვყავარ ზუსტად...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (ჩაიცინა). ერთი სიგარეტი მეც მომეცი...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. უკაცრავად, ჯიბეში ჩავიღე... (კოლოფს აწვდის)

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ. არა უშავს, ერთი ღერი მომეცი, ეგ გქონდეს...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. გმაღლობთ... ისეღაც მეუხერხულება და...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲒᲔᲚᲘ (ხელი აიქნია). ო, მორჩი ახლა... (სიგარეტს მოუკიდა. ნაფაზი დაარტყა) - ერთ კოჭლ ქალს მეც ვიცნობდი... ღიდი მაიმუნი ვინმე იყო... (ეღიმება)

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. შენი ამბავი ხომ არ მოუყევი ღრუბლებზე? (იცინის)

ბამნათეგელი (თითქოს სადღაც სხვაგან იცქირებაო). კი, მოვუყევი...
ბენერალური სპონსორი. რა მუსუსი ხარ, რა მუსუსი ხარ... რაღაცა ფარსაგად მოუყვებოდი, ღიმილზე ვხვდები... რა უქენი, გაფიცებ კაცობას, მითხარი, რა უქენი?!
ბამნათეგელი (ნაფაზი დაარტყა). რა ვუქენი და... (ეცინება) ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა; აი, იმ ფეხის ქვეშ შევუდე აგური, კარგად გავაწონასწორე და ისე ავაყუდე კედელთან... მერე, ყველაფერი თავის ადგილას რომ დავაბინავე, გამოვუკარი ფეხი იმ აგურს და... (ეცინება) რა ეძებდა, რომ იცოდე!.. მაგრად იმუშავა, რაც მართალია, მართალია... მე კი ჩემთვის ვიღექი და ღრუბლებზე ვფიქრობდი...
ბენერალური სპონსორი (იცინის). რა ხარ შენ, რა ხარ... რამ მოგაფიქრებინა, (იცინის) თან აგურს ეძებდა, თან მუშაობდა, არა?!.
ბამნათეგელი. კი, მაგრად ეძებდა... (ეღიმება) მერე იმ მაიმუნმა ხმა დამიგდო, ცვედანი არისო. ეტყობა, შეეშინდა აგურის ძებნა არ გამიბაზროსო თუ რა უნდოდა, არ ვიცი... ეჰ, ყველა ქალი ერთია, - გრძელი თმა და მოკლე ჭკუა...
ბენერალური სპონსორი. მე რომ დავსდევ, იმას ნაღდად არა აქვს მოკლე ჭკუა, ფეხი კი აქვს მოკლე, მაგრამ ჭკუა და მოხერხება, იცოცხლე... როგორ ახერხებს მაინც ხელიდან დაძრომას... ვინ არის, ვინ სულიერია, გამასინჯონ ერთი მაგისი ხორცი, ხორცი გამასინჯონ, სხვას აღარაფერს ვთხოულობ... შემშალა კაცი ჭკუაზე, გამამათხოვრა, კაცობას გეფიცები, ამისთანა არაფერი მინახავს!.. ვალს ვალზე ვიღებ, კაცო... რამდენი მაქვს ახლა სულ შენი, სათვალავი ამერია უკვე, გამახსენე, გაფიცებ...
ბამნათეგელი. მორჩი-მეთქი, ნუ შემაწუხე... ჩაივლის შოუ და გაასაღებ საქონელს, აბა რა იქნება, მილიონობით მაყურებელი ჰყავს ამ გადაცემას...
ბენერალური სპონსორი (იმედით). შენც ასე ფიქრობ, არა? რა ვიცი, მეც იმედი მაქვს...ეს ჩვენი წამყვანი იმისთანა რაღაცებს აკეთებს, რომ პირდაპირ ჯაჭვით გაბამს ტელევიზორთან. მაგარი პროფესიონალია... თანაც რა იდეები მოსდის თავში... ისე, ის სცენარი, მე რომ ხელი მოვაწერე, მაგისია თუ ვისია?
ბამნათეგელი. არ ვიცი, შეეკითხე და გიპასუხებს.
ბენერალური სპონსორი. არ მეუბნება, ფირმის საიდუმლოაო... ვისიც არის, მაგარია, ძმაო! აქტუალურიცაა და დღევანდელიც, ტელეშოუ მიწისძვრის სინქრომით დაავადებულთათვის... თუ უყურებს ხალხი რამეს, ამას უნდა უყუროს, მიწისძვრის გარდა აღრაფერი ახსოვთ და.... მაინც, როგორ გახშირდა, კაცო?!
ბამნათეგელი. ჰო, მიწისძვრები მართლა გახშირდა...
ბენერალური სპონსორი (წამოდგა, წასვლას აპირებს). რა იქნებოდა, ღმერთს წამყვანის ჩიჯი მოეცა ჩემთვის... სხვა ყოფილიყო ვინმე გენერალური სპონსორი?! არა, არა, სამსახიობო კურსებზე უნდა ჩავბარო, გენერალურ სპონსორობას ნაღდად სჯობია... რა თავისუფლები არიან, რა ლაღები... მე კი იმ გარინჩას დევნაში სიქა მძვრება, ფუჰ, შენი!!! (მიდის) ბავშვებს კბილის გასაკრავს მივუტანრამეს და მოვბრუნდები... გმადლობთ... რომ იცოდე, ერთი ნაღდი კაცი ხარ მთელ ტელევიზიაში...
ბამნათეგელი (თვალი გააყოლა). არაფრის... (ისევ კაბელს მიუბრუნდა. რაღაც მელოდია წაუსტვინა. აპარატურა შეასწორა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, უღარდელი ნაბიჯით, სტვენა-სტვენით დატოვა სცენა).

სურათი მეოთხე

სცენაზე დონ კიხოტი და იოანე შემოვლენ. იოანეს ხელში გაზეთი უჭირავს, გზადაგზა კითხულობს.

დონ კიხოტი (გაზეთს ჩახედა. უფრო იმისთვის, რომ საუბარი გაბას). რას წერენ, იოანე, გაზეთში?
იოანე (გაზეთს თვალს აცილებს). მეშვიდე თასი თავზე გვექცევაო, წერენ... პრინციპში, მართალიცაა!..
დონ კიხოტი. მაგაზე უკვე რამდენი ხანია წერენ... ჩვენ კი ვართ ჯერჯერობით, აგე, შოუსაც ვაწყობთ...

(იოანე ყურადღებით კითხულობს გაზეთს. სკამზე ჩამოჯდა).

დონ კიხოტი (მოიწყინა). სასაღილოში ხომ არ ჩავსულიყავით, თითო ლუკმა გვეჭამა...

(იოანე ისევ გაზეთს ჩასჩერებია).

დონ კიხოტი (თვალს მოაცილებს იოანეს. უეცრად თეატრალურად შესძახებს). ო, ღულსინეა, თვალთა ჩემთა სინათლევ! ო, ჩემი ოცნების ქალბატონო!!!
იოანე (შეცბა. დონ კიხოტს შეხედა). ...რა დაგემართა, ვერ მოითმენ შოუმდე? (ისევ გაზეთს ჩააცქერდა).
დონ კიხოტი. მოწყენითა ვარ, ვეჟო!!! უსაქმობა მკლავს... შენ კი ჩასჩერებიხარ ამ გაზეთს... რასაც გუშინ და გუშინწინ წერდნენ, იმას წერენ ღღესაც... (ხელიდან გამოსტაცებს გაზეთს. იოანე უკმაყოფილოდ ამოხედავს) თავი დაანებე რა, ბეჭდვითი სიტყვის ჭია ხარ, პირდაპირ, კაცი კი არა... გაიგე მეგობრისა; ვერ ხედავ, მოწყენით არის!
იოანე. კარგი, რა, მაღროვე, ჩემთვის ვკითხულობ რაღაცას... რა უცნაური კაცი ხარ!!!
დონ კიხოტი. იცი, რას გეტყვი, იოანე, იცი, რას გეტყვი, ჩემო კეთილო მეგობარო! მოდი, რაიმე ამაღლებულზე ვისაუბროთ, რაიმე ისეთზე, სულს რომ რგებს, თუნდაც სიყვარულზე...
იოანე. რა ღროს სიყვარულია, მიწა ახალგამოჩეკილი ბარტყივით აღებს პირს, წალეკა ქვეყანა მიწისძვრებმა... ისე შედიხარ ხოლმე როლში, რომ ხანდახან მართლა ღონ კიხოტი მგონიხარ... ჰმ... სიყვარულიო...
დონ კიხოტი. განა კი არა ვარ ღონ კიხოტი? სწორედაც რომ ვარ... შენც იოანე ხარ... რამდენი წელია

უკვე, ერთსა და იმავე როლს ვთამაშობთ, მერედა, კაცმა რომ თქვას, რითია ცუდი - ან შენი, ან კი, განსაკუთრებით, ჩემი როლი... ჩვენ სამყაროს საუკეთესო, ასე ვთქვათ, ღირსეული, სულიერად ყველაზე მაღლამდგომი გმირები ვართ... შენ მარხვითა და რწმენით მიაღწიე სიმაღლეს, მე კი ჩემი სულის სიმტკიცით. რომანტიკული პოეზიის უბაღლო წვდომის უნარითა და ცხოვრების რაინდული წესით... იცი, რაზე ვოცნებობ, მეგობარო?! დადგება ის ლამაზი დღე, როდესაც ჩემს დულსინეას ვნახავ, კალთაში ჩავუდებ თავს, მის სათუთ ხელს დავიდებ ნაომარ, ტანჯულ სახეზე და შენ მოგიხმობ, ჩემს ერთგულ მეგობარს, მოგიხმობ და გაგაცნობ დულსინეას, ის კი შემოგხედავს და, როგორც ჩემს მეგობარს, სათნო ღიმილით დაგასაჩუქრებს... რა საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიქნები მაშინ...

ᲘᲝᲐᲜᲔ. შენ კიდევ დულსინეაზე ლაპარაკობ? ვეღარ დარწმუნდი, რომ არ არის დულსინეა, არ არსებობს ანდა, თუ არსებობს, ისეთი კი არა, როგორიც შენ გყავს წარმოდგენილი... ბოლოს და ბოლოს, წიგნი წაიკითხე... ერთი გლეხის გოგო ყოფილა ეგ დულსინეა... თავი დაანებე მაგაზე ფიქრს, სრული ბედნიერება განმარტოებაშია, მხოლოდ ასე შეიძლება მიაღწიო ჭეშმარიტების შეცნობას და სულიერ სიმშვიდეს... დაგიჩემებია: დულსინეა, დულსინეა... არ არის დულსინეა, ფაფუ!..

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. ო, დულსინეა, თვალთა ჩემთა სინათლევ! ო, ჩემი ოცნების ქალბატონო!!! ეს რა თქვა ამ მართლაც რომ ბეჭდვითი სიტყვის ჭიამ, ამან, ეს რა შემომკადრა... ახლავე უკან წაიღე შენი სიტყვები, თორემ ვფიცავ რაინდის ღირსებასა და სინდისს, არ დავერიდები ჩვენს ძველ მეგობრობას და თავს გაგაგდებინებ...

ᲘᲝᲐᲜᲔ. კარგი ახლა, მორჩი! გამოდი როლიდან...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ (ხმალზე შეივლო ხელი). პატიებამეთქი, პატიება ითხოვე!!!

ᲘᲝᲐᲜᲔ. ბოდიში, ბატონო, უკაცრავად... (მოიწყინა).

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. აი, ასე! (ამაყად გაიარ-გამოიარა. პაუზის შემდეგ) რით ვეღარ ისწავლე, რომ ჩემი ოცნების ქალბატონზე აუგ სიტყვას წონასწორობიდან გამოვყავარ... რისი მეგობარი ხარ, ამდენი თუ არ გესმის...

ᲘᲝᲐᲜᲔ. თავი დამანებე, თუ შეიძლება, და ჩემი გაზეთი დამიბრუნე!

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. რად გინდა ეს სულელური გაზეთი, სიყვარულზე ვილაპარაკოთ-მეთქი!

ᲘᲝᲐᲜᲔ (პაუზის შემდეგ, გაღიზიანებით). რას მებაქიბუქები, ერთი ვიცოდე, ჩემთან რა გინდა, შენი ოცნება თუ დულსინეას კალთაში თავის ჩაღებაა, ჩემი ოცნება სრული განმარტოებაა... არ მინდა საეროოდ ამ ცხოვრების ამბებში გარევა... ჩემთვის მინდა ვიყო...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. იყავი, ბატონო, მარტო; ვინ გიშლის, დაეყუდე და ბრძანდებოდე დაყუდებული...

ᲘᲝᲐᲜᲔ. დიახაც, დავეყუდები...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. ჰოდა, დაეყუდე... ჰმ... (გაივლგამოივლის, მაგიდას მიუახლოვდება, ღროღაღრო იოანეს გამოხედავს ხოლმე. წყალს დაისხამს. დალევს. ისევ იოანეს გამოხედავს). იოანე, ეს ჩვენი დებიუტანტი წითელქუდა, რაღაცით დულსინეას არ გაგონებს?

იოანე უხმოდ ზის. პასუხს არა სცემს.

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ (საუბრის გაბმა სურს). გადასარევი თვალი აქვს პავილიონის გამნათებელს, სად შეარჩია მაინც ეს გოგო... კარგი სელექციონერია... რა ვიცი, მე ნამდვილად მაგონებს რაღაცით დულსინეას... რა ეშხიანია, როგორც რომ პირველქმნილი სამყარო, ისეთივე ნორჩი... შენ ხარ ჩემი ბატონი... გადასარევი დულსინეა იქნებოდა... (ისევ იოანეს მოხედავს.) ოჰ, კარგი რა, იოანე, ნუღარ მებუტები, ხმა გამეცი, კაცო!

იოანე ჭაღს შეაცქერდება.

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. რა მოხდა?

ᲘᲝᲐᲜᲔ. თითქოს მიწა იძრაო... არ ქანაობს ჭაღი?

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ (ჭაღს მიაჩერდა). არა მგონია, რა ვიცი...

ორივენი ჭაღს მისჩერებიან. წამყვანის თანაშემწე ქალი გამოჩნდება. ხელში ქაღალდების შეკვრა უჭირავს.

სუფათი მესამე

იგივენი და წამყვანის თანაშემწე ქალი.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. რაო, იძრა?

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. გამარჯობა, დულსინეა! როგორა ხარ?

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. აღარა ვარ დულსინეა, (დამარცვლით) ა-ღა-რა-ვარ... ვეღარ გაიგე?.. (იოანეს) იოანე, მოაშორე თვალი მაგ ჭაღს, მოგეჩვენა, ეტყობა... აი, თქვენი როლები! (ქაღალდის შეკვრიდან რამდენიმე ფურცელს იღებს, ორივეს აწვდის)

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. რაღაში მჭირდება ეს როლი, რამდენი წელია ერთსა და იმავეს ვთამაშობთ, მომაშორე თავიდან...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. არც შენ გინდა?

ᲘᲝᲐᲜᲔ (ჭაღს თვალი მოაშორა). მართლა რაღად გვინდა... სიზმარშიც კი ეგ როლი მესიზმრება. ერთმანეთის ნამდვილი სახელებიც აღარ გვახსოვს, ისე ვართ ამ როლებში შესული...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. თქვენი საქმისა თქვენ იცით... მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. როლი, გენაცვალე, წამყვანს დაასწავლეთ კარგად, რაღაცებს რომ მატრაბაზობს აქა... მე და იოანე ნამდვილი პროფესიონალები ვართ, არაფერი შეგვეშლება, წამყვანს მიეცი, კარგად გადაიმეოროს...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. წამყვანი თავის ინტუიციას ენდობა, ექსპრომტად მუშაობს...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. ჰო, ყველაფერი ექსპრომტად... ცოლებსაც ექსპრომტად ართმევს კოლეგებს...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. მორჩი ახლა, ნუ აწუწუნდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ კიხოტი. აღარც ვიწუწუნო?

წამყვანის თანაშემწე ქალი. მაგაზე თუ მიდგა საქმე, შენამდე იოანე გამომეცნაურა, შენ რომ არ ჩახტომოდი, შეიძლება იოანეს ცოლიც ვყოფილიყავი, მე პირადად ასე ვთვლი... შენ რას იტყვი, იოანე?

იოანე. მე თავი დამანებეთ... ამ უაზრო აყალმაყალს ველარ ვიტან... განმარტოება მსურს, თქვენ გაარკვიეთ თქვენი საქმე... (მოშორებით ჩამჯდება)

წამყვანის თანაშემწე ქალი. დიახაც, ასე იყო... იოანე ხათრიანია და არაფერს გეუბნება... რატომ ჩაგვიხტი მაშინ საუბარში... ჰა და ჰა, წკიპზე იყო ეს კაცი, სადაცაა ცოლობას შემომთავაზებდა. ფაქტობრივად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იოანეს ნაცოლარიცა ვარ... მერე შენ გამომეცნაურე და ხომ ერთგულად ვიმეგობრეთ ერთხანს?! მერე წამყვანს გაუჩნდა ვაკანტური ადგილი და დავთანხმდი თანაშემწეობაზე... რაც მოხდა, ყველაფერი ჩემი სურვილით მოხდა, ნურავის აბრალებ...

დონ კიხოტი. შენ ყოველთვის გიზიდავდა ბრჭყვიალა გარემოცვა. მაგრამ, რომ იცოდე, რაცა ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის! გული იმაზე მწყდება, რომ ტრამპლინად გამომიყენე და ჩემი საუკეთესო გრძნობები შეურაცხყავი...

წამყვანის თანაშემწე ქალი. კარგი რა, კარგი რა, მართლა და მართლა... მე ნიჭიერები მიყვარს, რაიმე გასაკვირი არის ამაში?

დონ კიხოტი. არა, გასაკვირი რა უნდა იყოს... ესაა, რომ შეიშალა სამყარო, ჭკუიდან გადავიდა; მწუხარე სახის რაინდს წამყვანის ჩაწყობილ, ყალბ ღიმილს ამჯობინებენ... როგორ ირტყამს თანაც ამ ღიმილს სახეზე, თითქოს კახპა გთავაზობსო თავის უკანალს, ბრახ და შემოირტყა ხელი, ბა-ბახ და, ღიმილიც მზადაა... ბევრს მუშაობს სარკესთან?

წამყვანის თანაშემწე ქალი. შური გალაპარაკებს, სხვა არაფერი...

დონ კიხოტი (ხმამაღლა, პათეტიკურად). შური კი არა, სამყაროს ტკივილი მალაპარაკებს, მსოფლიო სევდა, უნიჭობის დღესასწაული, მწუხარე სახის რაინდის ღრმად ფილოსოფიური ტრაგიზმი, აი, რა მალაპარაკებს!.. ცუდი იყო ჩემთან? რატომ იყო ვითომ ცუდი! ვიყავით კარგად, ერთმანეთის სულის ხვეულებს ვგრძნობდით... შენ კი...

წამყვანის თანაშემწე ქალი. მასე არც იოანესთან იყო ცუდი... საჭირბოროტო საკითხებზე მესაუბრებოდა, მიწისძვრებზე და კატასტროფებზე მიყვებოდა პოპულარული ენით...

დონ კიხოტი. მაგიტომაც გეუბნები, იოანეც და მეც ტრამპლინად გამოგვიყენე-მეთქი... იმისი ყურაღღება რომ მიგექცია, იმის მხედველობის არეში რომ მოხვედრილიყავი... ჰა, ხომ მოხვდი კიდეც, ახლა ჩემი სარეკლამო რგოლი ერთ წუთსაც არ გრძელდება, შენ კი თითქმის მთელი გადაცემის მანძილზე კამერის წინაშე ღგახარ...

წამყვანის თანაშემწე ქალი. მოვრჩეთ რა, მოვრჩეთ ამაზე. აღარ შემიძლია, სადაცაა ბალზაკის ქალის ასაკში შევალ... ისეთ სულიერ მარტოობას განვიცდი, ვერც წარმოიდგენ. უკვე სერიოზულად ვფიქრობ მიწისძვრის ზონაში გამგზავრებაზე, შენ კი რაღაც სისულელეებზე მელაპარაკები... (ქაღალდებს ჩააცქერდება. საქმიანად) ესეიგი, შენი გამოსვლა მეორეა, არ აურიოთ რამე... წითელქუდა მადარდებს, დებიუტანტია მაინც...

დონ კიხოტი. გახსოვს, რომ შევძახებდი, - „ო, დულსინეა, თვალთა ჩემთა სინათლევ, ო, ჩემი ოცნების ქალბატონო“. შენ კი უეცრად გამოჩნდებოდი ხოლმე სურამოების კომპლექტით ხელში... მაშინ შენც დებიუტანტი იყავი... რა დრო იყო, რა დრო... (ხელს ჩაიქნევს) ეჰ... (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) წითელქუდა ნუ გადარდებს, ყოჩაღი გოგო ჩანს...

წამყვანის თანაშემწე ქალი. მეც ეგ მადარდებს... საკუთარი გამოცდილებით ვიცი, მაგ ასაკში გოგოები ქაჯებივით არიან... შეიძლება წამყვანამდე კი არა, სცენარისტამდეც მიაღწიონ...

დონ კიხოტი. ვინ სცენარისტამდე? აკი სცენარისტი ინკოგნიტოაო?!

წამყვანის თანაშემწე ქალი. სიტყვაზე მოვაყოლე, მაგალითისთვის ვახსენე, (იოანეს გახედა) იოანე, შენი გამოსვლა ხანგრძლივი სარეკლამო რგოლის მერე იქნება.

იოანე (მოწყენილი სახით). რა მნიშვნელობა აქვს, შენ გენაცვალე, საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ყველაფერ ამას, როცა ასე გახშირდა მიწისძვრები...

დონ კიხოტი. ის მნიშვნელობა აქვს, ჩემო კეთილო მეგობარო, რომ ერთხელაც იქნება და ამ სამყაროს სწორედაც რომ მე და შენ უნდა ჩამოვაშოროთ ნიღაბივით აკრული ყალბი ღიმილი... აი, წამყვანი რომ იღიმება...

იოანე (ხელს ჩაიქნევს). მოგცლია ერთი... რა ღროს წამყვანია, ინგრევა ყველაფერი.

დონ კიხოტი. ო, რა გვიან დავიბადე... რა ამაყი ვიყავი მაშინ და რა სასაცილო გავხდი ღღეს... (ჩაუფიქრდა ნათქვამს) თუმცა დონ კიხოტიც ხომ იმისი დონ კიხოტია, რომ ყველა ვარიანტში გვიან დაიბადა, არა?! რა ტრაგიზმია, რა სულიერი ძვრები... (იოანეს) წამოდი, თითო ლუკმა შევჭამოთ!

იოანე (წამოდგა). ან კი მაგას რა მნიშვნლობა აქვს...

დონ კიხოტი. რას?

იოანე. საჭმლის ჭამას.

დონ კიხოტი. მაშინ აქ დარჩი...

იოანე. ან აქ დარჩენას რა აზრი აქვს...

დონ კიხოტი. მაშინ წამოდი.

იოანე. მოვდივარ...

დონ კიხოტი. დულსინეა, შენ არა გშია?

წამყვანის თანაშემწე ქალი. არა, ამ კაცის გამოსწორება შეუძლებელია, აღარა ვარ-მეთქი დულსინეა, რით ვეღარ გაიგე...

დონ კიხოტი. კარგი, ბატონო, აღარც ვიცი, როგორ მოგმართო... კოლეგა, არა გშია?

წამყვანის თანაშემწე ქალი (საათზე დაიხედა). ღია იქნება ვითომ?

დონ კიხოტი. არ იქნება და შუბით შევანგრევ...

წამყვანის თანაშემწე ქალი. წავიდეთ...

სამივენი ტოვებენ სცენას.

სურათი მეოთხე

გამნათებელი, წითელქუდა.
გამნათებელი წახრილია, ხელში კაბელი უჭირავს, ყურადღებით ამოწმებს თითოეულ გოჯს, ასე შემოდის სცენაზე. უკან წითელქუდა მოჰყვება. ისიც აკვირდება კაბელს, მაგრამ, ცხადია, ამისა არაფერი გაეგება.

წითელქუდა. რაიმე დაზიანებაა?
გამნათებელი. არაფერი ისეთი... წვრილმანი საქმეა...
წითელქუდა. ისე ვღელავ, ისე, ვერ წარმოიდგენ!.. ყველაფერი მაშფოთებს - ვაითუ, რაღაცა გადაიწვას, ვაითუ, უცებ მიწისძვრა მოხდეს, მე კი ასე უკვალოდ წავიდე ამ ქვეყნიდან...
გამნათებელი (წელში გაიმართა. ახლა აპარატურას ამოწმებს). ნუ გეშინია, შედგება შენი ღებიუტი...
წითელქუდა. რომ იცოდე, როგორ ვოცნებობდი ამ პავილიონში მოხვედრაზე, და აი, აქა ვარ... (თვალს მოავლებს პავილიონს) არც კი მჯერა... (იცინის)
გამნათებელი (საქმიანობს). აქა ხარ, აქა ხარ...
წითელქუდა. ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებ... შენი წყალობით მოხდა ყველაფერი... მადლობთ...

გამნათებელი უპასუხოდ ტოვებს წითელქუდას. საქმიანობს.

წითელქუდა. არა, მაინც რატომ გამომარჩიე ამდენ გოგოებში, რატომ მაინცადამაინც მე... სასიამოვნო მოლოდინით გატრუნული ვიდექი, თითქოს ვგრძნობდი, რომ სწორედ ჩემზე შეაჩერებდი არჩევანს. აკი ამიხდა კიდეც... რატომ მე?! მითხარი, მიპასუხე, რაღაც განსაკუთრებული შეამჩნიე, ალბათ, ჩემში, ასე არ არის?!
გამნათებელი. მე ხომ შეთავსებით სელექციონერიც ვარ... სხვა ღებიუტანტებმაც ჩემს ხელში გაიარეს... იცი, რამდენი იყო... (საქმიანობს)
წითელქუდა. სხვა არ მაინტერესებს, ჩემში რა დაინახე ისეთი...
გამნათებელი (ისევ კაბელს მიუბრუნდა). პიკასოსა აქვს ერთი სურათი... იცი, ვინ იყო პიკასო?
წითელქუდა (მზაღყოფნით). კი, როგორ არა, ესპანელი იყო...
გამნათებელი. ყოჩაღ, განათლებული წითელქუდა ყოფილხარ... ჰოდა, იმასა აქვს ერთი სურათი; ყოველმხრივ მომწიფებულ სხეულზე პატარა გოგონას სახე მიახატა... ისეთი ვნებისაღმძვრელი კონტრასტი შექმნა, სურათის ნახვისთანავე ვიფიქრე, ეს გოგონა რომ გაგვეცოცხლებინა, მშვენიერი წითელქუდა იქნებოდა-მეთქი... თავისი ქვეტექსტებით წითელქუდაც ხომ ძალიან ვნებისაღმძვრელი პერსონაჟია, გამიგე?!.
წითელქუდა. ვერ გაგიგე, მაგრამ რაღაცა რომ ძალიან მსიამოვნებს, ეს კი ვიცი... (იცინის)
გამნათებელი. ყველას სიამოვნებს...
წითელქუდა. მე ყველა არა ვარ...
გამნათებელი. ყველა ყველა არ არის... (საქმიანობს)
წითელქუდა. არა, არა, მე მართლა სხვანაირი ვარ... ვერც კი წარმოიდგენ, ისეთი გრძნობები მებადება... ისეთი რომ, ენით აუწერელი... ისეთი სავსე ვარ...
გამნათებელი (სამუშაო ღაამოთავრა, სამოსზე ჩამოისვა ხელები). ესეც ასე... (წითელქუდას მოხედა) რაო, რა თქვი? სავსე ვარო?
წითელქუდა. ოჰ, რომ იცოდე, რა სავსე ვარ გრძნობებით...
გამნათებელი. ეგ კარგია, როლის უკეთ გახსნაში დაგეხმარება... გინდა, ჩემს ამბავს მოგიყვები?..
წითელქუდა. რა ამბავს?
გამნათებელი. ღრუბლების ამბავს... უფრო სწორად, ერთი ღრუბლის ამბავს...
წითელქუდა. რა საინტერესოა, ღრუბლის ამბავი... რა რომანტიკულია...
გამნათებელი. რომანტიკულ ეტაპს ღონ კიხოტთან გაივლი... მე სხვა რაღაცაზე მოგახსენებ... აქ ჩამოჯექი... (მაგიდაზე შესვამს. თავადაც გვერდით მოუჯდება) ფეხები ცოტა, აი, ასე... სიომ დაუბეროს...
წითელქუდა. მადლობელი კი ვარ, მაგრამ...
გამნათებელი. ჩუ... ვიწყებ... (ხელს ჩამოუსვამს მკლავზე წითელქუდას. წემდეგ მაყურებლებისკენ გაიხედავს. ასე ყვება თავის ამბავს) ეს ამბავი ძალიან ღიღი ხნის წინ მოხდა. მაშინ მხოლოდ ათი-თერთმეტი წლისა ვიყავი. მე და ჩემი ოჯახი სოფელში გავემგზავრეთ ღასასვენებლაღ. უნდა გითხრა, ჩემო წითელქუდავ, რომ ეს სოფელი ძალიან ლამაზ ადგილას გახლავს მოთავსებული, ისეთი თვალწარმტაცია იქაურობა ნამდვილი ედემის ბაღი გეგონება, სოფელს მდინარეც ჩამოუდის ახლოს. მე და ჩემი ტოლი ბიჭები იქ ვატარებდით ღროს, წყალში ვჭყუმპალაობდით, მზეს ვეფიცხებოდით, ვერთობოდით, ერთი სიტყვით... ჩვენზე უფროსებიც მოდიოდნენ ხოლმე მდინარეზე საბანაოდ: იმათ მუჭური ჩამდგარი ჰქონდათ უკვე და აი, აქ, (კერტებზე მოუსვამს ხელს) ძუძუსთავში პატარა ბილიარდის ერთი ბეწო ბურთივით მკვრივი რამ თამაშობდა, დახტოდა, ძუძუსთავს გასკდომამდე ბერავდა, თითქოს გამოვარდნას ლამობსო...
წითელქუდა. ...ოჰ!
გამნათებელი. სწორედაც რომ, ოჰ!!! (ხელი ჩამოიღო, თხრობას განაგრძობს) მე, სიმართლე გითხრა, არაფერი ვიცოდი მაშინ ამნაირებისა, გამეგო მხოლოდ, რომ ბიჭები გარკვეულ ასაკში... (წითელქუდას მოხედა) როგორ გითხრა უკეთ... (ისევ მაყურებლებისკენ) ერთი სიტყვით, ონანიზმი ხომ გაგიგია? ჰოდა, გარკვეულ ასაკში სწორედ ამითი ერთობიან ბიჭები... მეც ვამბობ, ერთობიანო, ერთობოდნენ კი არა, ღღე და ღამე ამითი ერთობოდნენ, მე მგონი... მე კი პატარა ვიყავი, ქალაქელი, ანგელოზივით სუფთა, ამნაირებისა არაფერი ვიცოდი... რაღა ბევრი გავაგრძელო და, ერთ-ერთმა ბიჭმა მათ სახლში მღგმურად ჩასულ ქალზე

მოგვითხრო... დაგვიხასიათა მისი თეძოების სისავსე, თეთრი ხორცის უეცარი გამოელვებანი, ქალის იღლიიდან წამოსული ვნებიანი სურნელი... (ხელს თეძოებზე მოუსვამს) რაღაც ტკბილ-მწარე, რაღაც სასურველი...

წითელქუდა. ოჰ!!!

ბამნათებელი. სწორეღაც რომ, ოჰ!!! დაგვიხასიათა მისი მკერდი, შილიფაღ ჩაცმული ხალათიდან, ღახრის ღროს რომ გამოუჩრდებოდა ხოლმე იმ ქალს... მისი გავის მიმოხრა... ლაღი სიცილი, ასე რომ აბრევს და აშფოთებს პატარა ბიჭებს... და ამ ყველაფერს ისე ხატოვნაღ მოყვა, რომ ყველას თვალწინ დაგვიდგა მისი მღგმური მერე ის უფროსი ბიჭები საღღაც წავიღნენ, ალბათ, მუჭური თუ მოაწვათ. მე კი მდინარის პირას ღავრჩი. ცხელ ქვებზე წამოვწექი, ცას გავუშტერე თვალი და უეცრაღ შევხიშნე, რომ ცაში ის ქალი მოფრინავდა... (ამ წუთიღან ისე ყვება, თითქოს საღაცაა უნდა ატირდესო, თვალებიც კი აუწყლიანდება) მოფრინავდა და მოფრინავდა ცოცხალი ქალი თუ ღრუბელი, ახლაც არ ვიცი... თითქოს ღრუბელი იყო, თითქოს ცოცხალი ქალი, მაგრამ ერთი რამ კი ღანამდვილებით შემიძლია გითხრა, სწორეღ ის იყო, ის, ის ქალი იყო!.. იგივე მკერდი, იგივე თეძოები, იგივე ლაღი სიცილი და იგივე სასურველი, იღუმალებით მოცული წიაღი, რომელშიც ჩაფლობა მინდოდა... (ცრემლით აევსო თვალები) მინდოდა, მაგრამ არ კი ვიცოდი, როგორ... ათიათასობით ჭიანჭველამ ღამიარა სხეულზე, მოულოდნელობისაგან პირი ღავაღე... რა უსუსური ვიყავი, რა ხელებჩამოყრილი... მე ხომ ისიც კი არ ვიცოდი, რა ღა როგორ უნდა გამეკეთებინა... ვიწექი ასე პირდაღებული, ბითური ღა საცოდავი... (წამოდგა, ახლოს მივიდა წითელქუდასთან. ფეხები გააშლევინა. მკერდში ჩაიკრა. სიბრაზითა თუ გამწარებით ამოთქვამს ამ სიტყვებს) ახლა ხომ ვიცი!!! ახლა ხომ ვიცი!!! ხომ ვიცი-მეთქი!!! ო, როგორ ვიცი!!! მიპასუხე, იცი, თქვი, იცი!!!

წითელქუდა. იცი, იცი, იცი!!!

ბამნათებელი. ო, ჩემო წითელქუდა... ჰუჰ... (ხანმოკლე პაუზა) აგაშენა ღმერთმა, ჩემგან თავისუფალი ხარ...

წითელქუდა. როგორ, უკვე? მე კი ისე მომეწონა ღრუბლებზე მოთხრობა...

ბამნათებელი (ისევ თავის აპარატურას მიუბრუნდა). ღრუბელზე მე მხოლოდ ერთხელ ვყვები, უფრო სწორაღ, თითო ობიექტთან თითოჯერ (სიგარეტს მოუკიღებს), ახლა შეგიძლია, შენს კოლეგებს გაეცინო უფრო ახლოს. მიდი, იოანეს ღაუმეგობრღი, იცი, რა კარგი ვინმეა... ჩემთან ჩათვლა მიღებული გაქვს...

წითელქუდა. იოანეც ღრუბლებზე მომიყვება?

ბამნათებელი. ეგ იოანეს საქმეა...

წითელქუდა. ღმერთო ჩემო, სულ რაღაც ორი საათის წინ ამ პავილიონში მოხვეღრაზე ვოცნებობდი, ახლა კი ისეთი შინაურია აქაურობა, საკუთარი სახლივით გახდა პირდაპირ... თითქოს აქ ღავიბაღეო... გმაღლობთ, ცხოვრების ბოლომდე შენი მაღლობელი ღავრჩები...

ბამნათებელი. მაღლობა იმ ღრუბელს უთხარი, მე რომ ჩემს ბავშვობაში ვერაფერი მოვუხერხე, იმისი ღილიხორით გავხდი სელექციონერი... როგორ ფიქრობ, ის ღრუბელი ღმერთთან მიფრინავდა?

წითელქუდა. არ ვიცი... მე როგორ გითხრა...

ბამნათებელი. საქმეც მაგაშია, არავინ იცის... მე კი ღღემდე ეჭვიანობა მკლავს, რომ სწორეღ ღმერთთან მიფრინავდა - არც ერთი ქალი არა ღირს იმ ღრუბლაღ, ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ...

წითელქუდა. გამომიჩნდა ესეც... ვინა ხარ, ნეტავი ვიცოდე, წინა კბილი გაკლია, თამბაქოს სუნაღ ყარხარ, მოხუცი ღა, რა ვიცი, კიღევ რა...

ბამნათებელი. მე უბედური კაცი ვარ...

წითელქუდა. ოჰ, საბრალო...

ბამნათებელი. ბედნიერები ისინი იყვნენ, მაშინ რომ მუჭური ჰქონდათ... მე რომ 12-13 წლისა მაინც ვყოფილიყავი, რა სხვანაირაღ აეწყობოდა ყველაფერი... ახლა კი, თითქოს სამოთხიღან გამოძევებული ანგელოზი ვიყო, ისევ სამოთხეში ღაბრუნებაზე ვოცნებობ, მაგრამ ვეღარ ვახერხებ... არც ერთი ქალი არა ჰგავს იმ ღრუბელს, ის კი ნამღვილაღ ღმერთთან მიფრინავდა პაემანზე...

წითელქუდა. გამომიჩნდა ესეც... ჰმ....ღრუბელი... (მიღის)

ბამნათებელი. კაბა გაისწორე...

წითელქუდა. არ გავისწორებ... იქნებ წამყვანი არ ფიქრობღეს ღრუბლებზე...

ბამნათებელი. წამყვანი მარტო თავის ღიმილზე ფიქრობს, მაგისი საფირმო ნიშანი ეგ არის...

წითელქუდა. მაგასაც ვნახავთ...

ბამნათებელი. ნახავ, ნახავ...

ტელეფონის ზარი. გამნათებელი ტელეფონის ყურმილს აიღებს.

ბამნათებელი. ღიახ!

გამოჩნდა წამყვანის თანაშემწე ქალი.

სურათი მეხუთე

გამნათებელი, წამყვანის თანაშემწე ქალი.

ბამნათებელი (შენიშნავს წამყვანის თანაშემწეს). მოდი, შენ გთხოვენ!

წამყვანის თანაშემწე ქალი (ნაჩქარევი ნაბიჯით მიუახლოვდა აპარატს). ღიახ, უკვე მობრძანღიო? ძალიან სასიამოვნოა, სამივენი მანდა ხართ? კი, ბატონო, გადაეცით ყურმილი პოლიციელს. ალო... გამოუშვით, გამოუშვით... ჩვენს გადაცემაზე გააფორმეთ... „ტელეშოუ მიწისძვრის სინღრომით ღაავაღებულთათვის", სრული ღასახელება ასეთია... კარგი... (ყურმილი ღაღო) რა ბიუროკრატიზმია, ავაღმყოფი ხალხი მოღის, ტერორისტები ხომ არ არიან... (გამნათებელს მოხეღა) მოსულან უკვე...

ბამნათეგელი. მოვიდოდნენ, აბა რა იქნებოდა, ოღონდაც ამ პავილიონში ამოყონ თავი და....
წამყვანის თანაშემწე ქალი. კარგი, შენი ჭირიმე, ცინიკოსს ნუ თამაშობ, შენ რატომღა ხარ აქ, თუ ასე მიდგა საქმე...
ბამნათეგელი. სულელო ქალო, მე სამოთხიდან გამოძევებული ანგელოზი ვარ, სხვაგან სადღა უნდა წავიდე, ესღა დამრჩენია. თქვენ კი ყველანი ერთმანეთს ჰგავხართ, ოღონდ კამერის პირისპირ აღმოჩნდეთ და...
წამყვანის თანაშემწე ქალი. დიახაც, ჩვენი სამოთხე ეს პავილიონია, რითი არ არის ვითომ სამოთხე?
ბამნათეგელი. სამოთხეს ასე უდიერად ნუ იხსენიებ. შენ რა იცი, რა არის სამოთხე, სამოთხეში ის ღრუბელი მიფრინავდა...
წამყვანის თანაშემწე ქალი. ოჰ, ეს ღრუბლები, ღრუბლები... მაშინ რომ მოყევი, ხომ გახსოვს, მიუხედავად სულიერი დეპრესიისა საკმაოდ დიდი ინტერესით მოგისმინე... (პაუზა) იქნებ ერთხელაც გეამბნა?
ბამნათეგელი. შენც ხომ იცი, მე თითო ობიექტთან თითოჯერ ვყვები, თანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახლახან მოვყევი...
წამყვანის თანაშემწე ქალი (ინტერესით). ვისთან?
ბამნათეგელი. ვისთან მოვყვებოდი შენი აზრით?!
წამყვანის თანაშემწე ქალი. წითელქუდასთან? (პაუზა) რა გეჩქარებოდა, ღებიუტანტია მაინც, რაც უნდა იყოს...
ბამნათეგელი. თავიდან ყველა ღებიუტანტია...
წამყვანის თანაშემწე ქალი. არა, არა, ნამდვილად მაშფოთებს ეს გოგო, ძალიან სწრაფად ვითარდება... მე კი უკვე საღაცაა ბალზაკის ქალის ასაკში შევალ... რაღაცა უნდა მოვიფიქრო, აღარ შეიძლება ასე... მიწისძვრის ზონაში ხომ არ წავსულიყავი-მეთქი, იმასაც კი ვფიქრობ მარტოობის ჟამს... (გამნათეგელს მოხედავს) რა იქნებოდა, წამყვანმაც რომ მიამბოს ერთხელ ასეთი საინტერესო ამბავი? იქნებ გესწავლებინა?!
ბამნათეგელი. წამყვანს თავისი ღიმილიც ეყოფა...
წამყვანის თანაშემწე ქალი. ღიმილი, იცოცხლე, კარგი აქვს, მაგრამ ერთხელაც ვერ მივაღწიე მის საწოლ ოთახამდე, წარმოგიდგენია?
ბამნათეგელი. რაღ გინდა, ისე, კაცმა რომ თქვას!
წამყვანის თანაშემწე ქალი. როგორ არ მინდა, რას ლაპარაკობ, მემუარებს დავწერ... პატარა მოვლენა ხომ არ არის, ამხელა პოპულარობის მქონე არტისტია... ჰმ,.. რაღ გინდაო... (გასანათებელ აპარატურას აკვირდება) განათება სწორაღ დააყენე ვითომ? (მაყურებლებისკენ გაიშვერს ხელს) კამერა პირდაპირ იქნება, ხომ იცი?
ბამნათეგელი (ჩაიცინა). ნამდვილად ბრძნული ნათქვამია, ქალს გრძელი თმა და მოკლე ჭკუაო... ევასი არ იყოს... (მიდის)
წამყვანის თანაშემწე ქალი (მიაძახებს). ევაზე უფრო სულელი ადამი იყო, ჩემო კარგო, თუ მაინცადამაინც...
ბამნათეგელი (გასვლის წინ). ორივენი ერთმანეთის შესაფერისები იყვნენ... (გავიდა)

სურათი მეექვსე

წამყვანის თანაშემწე ქალი, იოანე, წითელქუდა, დონ კიხოტი. წინ იოანე და წითელქუდა მოდიან, ოდნავ მოშორებით, მათ უკან დონ კიხოტი მოდის.

იოანე. ეს ყველაფერი, იცით, ძალიან დიდი ხნის წინ არის ნაწინასწარმეტყველები. გამოცხადებაში ამას ჰქვია „ღვთის მძვინვარების შვიდი თასის გაღმოღვრა ედემიწაზე“. აი, სწორედ მეშვიდე თასის გაღმოღვრისას მოხდება ყველაზე დიდი მიწისძვრა და ტახტიდან გაისმება ძლიერი ხმა, რომელიც იტყვის: „აღსრულდა“. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ედემიწა ამის შემდეგ ელიფსურ ფორმას მიიღებს, მოძრაობის რადიუსს შეიცვლის და ის ას ორმოცდაოთხი მხედარი, რომელიც ბიბლიაშია ნახსენები და რომელიც, ასე ვთქვათ, უკვე გაარიდეს ედემიწას, რაღგანაც კატასტროფა უცილობლად იქნება, აი, ისინი დაბრუნდებიან და კოსმიური საძმოს სრულუფლებიან წევრებად იქცევიან... ეს ცივილიზაცია კი, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს. ინება სრულიად სხვა, ჩვენთვის უცნობი ედემიწა... მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ასეთი ჰიპოთეზებისა ნაკლებად მჯერა, მე, შეიძლება ითქვას, თავიდან ბოლომდე გამოცხადებაში დაწერილს ვენდობი...
წითელქუდა. იქნებ ცოტა პოპულარული ენით აგეხსნათ... თითქოს სიცივემ დამიარაო, აღარ შემიძლია ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა... პირადად მე ვიქნები თუ არ ვიქნები?
იოანე. თქვენ, როგორც კოსმიური სამყაროს ნაწილაკი, ანუ ერთი რამ მოლეკულა იქნებით, მაგრამ ისე, როგორც თქვენა გაქვთ წარმოდგენილი, ალბათ, არ იქნებით...
წითელქუდა. აბა, როგორ ვიქნები?
იოანე. თუ იმ ჰიპოთეზას მივყვებით, თქვენ ელიფსურ ფორმას მიიღებთ...
წითელქუდა. თავი დავანებოთ ამ ჰიპოთეზებს, მით უმეტეს, რომ მიჭირს ჩემი თავის ელიფსურ მოლეკულად წარმოდგენა... სხვათა შორის... მაინცადამაინც მსიამოვნებს-მეთქი, ვერც ამას ვიტყვი... პოპულარული ენით ამიხსენით, აშ მიწისძვრებს რა მოჰყვება?
იოანე. დიდი ნგრევა მოჰყვება... მთები გადააგდილდებიან, შემდეგ კი სრულიად გაქრებიან... რაც მთავარია, აღარ იქნება ღრო და ადამიანის ცნობიერება სრულიად გადასხვაფერდება... იქამდე კი, კოსმიური რევოლუციის პერიოდში პლანეტების მძაფრი შეჯახებებია მოსალოდნელი, რაც 'მიწისქვეშა ბიძგებს კიდევ უფრო გააძლიერებს... მოკლედ რომ ვთქვათ, მაგარი შეძრწუნებები და შეყარყალებები გველის... მე შენ გეტყვი, ჩინურ კედელზე ათგზის დიდი და ძლიერი ნაგებობაც რომ ააგო, ის დაგიცავს თუ რა...
წითელქუდა.არა, ჩინური კედელი ნამდვილად

ვერაფერს გვიშველის...
იოანე. მეც მაგას არ ვამბობ?! აი, როგორ გავუგეთ ერთმანეთს, იაპონელებმა, ჩემო კეთილო წითელქუდა, მოძრავი სახლებიც კი გამოიგონეს ვიბრაციისთვის, ანუ უსაფრთხოებისთვის, პოპულარული ენით რომ ვთქვათ, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის...
წითელქუდა. რა ვქნა, ისე არ მინდა ელიფსური ფორმის მიღება, რომ ენით ვერ აგიწერ... დებიუტი მაინც მადროვონ, შემარგონ ჩემი ახალგაზრდობა... იქნებ სხვა რამეზე გვესაუბრა? ყველგან ეს მიწისძვრები მესმის, აუტანელია...
იოანე. სხვაზე რაზე უნდა გვესაუბრა, იქცევა ქვეყანა და...
წითელქუდა. რა ვიცი, თუნდაც ღრუბლებზე...
იოანე. არა, ღრუბლები სხვა სფეროდან არის...
დონ კიხოტი. ნება მიბოძეთ, მშვენიერო ქალბატონო, ამ აბეზარი კაცისგან დაგიხსნათ...
წითელქუდა. არა, არა, განა რამე მაკადრა... მაინც, გმადლობთ...
დონ კიხოტი. მხოლოდ ერთი სიტყვა არის საკმარისი და, თქვენ ნუ მომიკვდებით.
წამყვანის თანაშემწე ქალი. თქვენ თუ ამ ტემპით გააგრძელეთ, შოუს დაწყებამდე ეგ გოგო სამსახურს დამაკარგინებს... ცოტა შეაყოვნეთ... დებიუტანტია მაინც... ასეც არ შეიძლება, მე, ფაქტობრივად, ვთვლი, რომ... (ხანმოკლე პაუზა) ბოლოს და ბოლოს, ნაცოლარი ვარ თქვენი, ხომ ვიცი, საითაც უმიზნებს, არა!..
წითელქუდა (დოინჯშემორტყმული). რაო, რაო! რასა ბრძანებთ, იქნებ ერთხელაც გაიმეოროთ?
წამყვანის თანაშემწე ქალი. დებიუტანტი უძახე შენ... დებიუტანტი კი არა, წითელქუდას კაბაში გადაცმული აგრესიული სეპარატიზმი მელაპარაკება... ამ ასაკში ასეთები არიან ეს ქაჯები... საკუთარი გამოცდილებით ვიცი. რა გიდა, გენაცვალე, პირდაპირ წამყვანთან გინდა მოხვედრა?
წითელქუდა. არავითარი წამყვანი არ მაინტერესებს... ჩემი პირადი რაინდი მყავს... დიახ! (ხელმკლავს გამოსდებს დონ კიხოტს).
დონ კიხოტი (წამყვანის თანაშემწეს მიმართავს ნიშნის მოგებით). ხომ დარწმუნდი, რომ, რაცა ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არა ყოფილა... აი, ამ პატარა, ნორჩმა ასულმა რა სწორი არჩევანი გააკეთა... წავიდეთ, დულსინეა, ჩემს სარაინდო ამბებს მოგიყვები, შეიძლება ხიფათიც რამ გამოგვიგზავნოს ღმერთმა და იქ ხომ ჩემს ვაჟკაცობასაც იხილავ...
წითელქუდა. მე დულსინეა არა ვარ, წითელქუდა ვარ.
დონ კიხოტი. უკაცრავად, ძვირფასო, ღრმად შევიჭერი როლში.
წითელქუდა. არა უშავს, ხდება ხოლმე...

სცენის სიღრმეში გავლენ. მოშორებით დადგებიან. დონ კიხოტი რიდით მოიქცევს წითელქუდას ხელის მტევნებს თავის ხელებში. გატაცებით ესაუბრება. წითელქუდა ყურადღებით უსმენს.

წამყვანის თანაშემწე ქალი(თვალი გააყოლა მათ. იოანეს მიმართავს). პირდაპირ მოსვენება აღარ არის ამ დებიუტანტებისაგან... ოღონდ მიზანს მიაღწიონ და, შეიძლება ითქვას, რომ რქებით აწვებიან ცხოვრებას... მე კი, სიმართლე გითხრა, სულიერი დეპრესიიის ნიშნებს ვატყობ ჩემს თავს... საღღა მაქვს იმისი ძალა, ამ დებიუტანტებს ვეომო... ბალზაკის ქალის ასაკში შევალ უკვე საღაცაა... (ხანმოკლე პაუზა) იცი, რას გეტყვი, ჩემო იოანე, შენი რჩევაც მჭირდება... იქნებ მიწისძვრის ზონაში წავსულიყავი-მეთქი... ასეთ უაზრო ყოფასაც ბოლო მოეღებოდა, ალბათ... იქ ვიღაცისთვის საჭირო მაინც ვიქნებოდი... თორემ, წამყვანს, როგორც ვატყობ, თავისი ღიმილის გარდა, მართლა არაფერი აინტერესებს... მე კი ქალი ვარ, შეიძლება ითქვას, მთელი სამყარო არის ჩემში, ქალი რაღაცაში უნდა დაიხარჯოს, ასე არ არის? ქალი მიწას ჰგავს, პატრონი უნდა...
იოანე. მე მგონი, ყველაფერი სულერთია უკვე... ერთი სურვილიღა მაქვს, როგორმე განმარტოება მოვახერხო...
წამყვანის თანაშემწე ქალი. ჩვენი გამნათებელ-სელექციონერისა არ იყოს, მეც უბედური ადამიანი ვარ... ქალი იმისაა, მამაკაცს რომ შეხედავს, მშიერიაო - უნდა იფიქროს ქალმა... ვისზე ვიფიქრო, რა ვქნა... ვარ ასე გაუდაბნოებული., სულიერი დეპრესიის ნიშნებით... მემუარების დაწერას ვაპირებდი, მაგრამ ერთხელაც ვერ შევაღწიე ჩვენი წამყვანის საგრიმიოროში. მოგეხსენება, მემუარების დაწერისას ასეთ ნიუანსებს დიდი მნიშვნელობა აქვს... იქნებ მართლაც მიწისძვრის ზონაში წავსულიყავი?! ჩავიცვამდი თეთრ ხალათს, ვიქნებოდი მოწყალების და, დაჭრილ-დასახიჩრებულებს მოვუვლიდი, ალბათ, მემუარებსაც კი დავწერდი... არა, არა, აღარ შეიძლება ასე, მართლაც ძალიან გაუდაბნოებულ მდგომარეობაში ვარ... ჩვენი გამნათებელი ღრუბლებს დასდევს, მე კი - წამყვანს... როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, დებიუტანტებიც გვაწვებიან... რას მირჩევ, იოანე, რას მეტყვი?!
იოანე. ვერაფერს გეტყვი. მხოლოდ ის ვიცი, რომ მეშვიდე თასი თავზე გვეღვრება... გაზეთებშიც კი ამაზე წერენ...

გამოჩნდებიან კოჭლი ნანა, მორჩილი და ვეტერანი ქალი. ვეტერან ქალს ხელჩანთა უჭირავს.

სუფათი მეშვიდე

წამყვანის თანაშემწე, ვეტერანი ქალი, მორჩილი, კოჭლი ნანა. გამნათებელი, იოანე. მოშორებით, სცენის სიღრმეში დონ კიხოტი და წითელქუდა ესაუბრებიან ერთმანეთს.

წამყვანის თანაშემწე. (სტუმრებს ეგებება). კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს პავილიონში. აქეთ, სკამებზე დაბრძანდით... იოანე, გაიცანი, ჩვენი ტელეშოუს მონაწილეები გვესტუმრნენ...
იოანე. ძალიან სასიამოვნოა... (წასვლას აპირებს)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. საᲓ მიᲓიᲮარ, მოᲓი, სტუმრები შევიქციოთ...
ᲘᲝᲐᲜᲔ. წავალ ჩემთვის, რა... (მიᲓის. Დონ კიᲮოტისა Და წითელქუᲓას შორიაᲮლოს ᲓაჯᲓება ფეᲮᲛორთᲮმით)
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. არ გეწყინოთ, ასეთი უცᲮვირპირო კაცია, რას იზამ... (უშუალო ურთიერთობის ჩამოგᲓებას ცᲓილობს) წავა ახლა Და ᲓაეყუᲓება... (იცინის) თავი Დავანებოთ უცᲮვირპიროებს... იქნებ ყავა ან სიგარეტი გნებავთ? ჩვენ პატარა ბარიც გვაქვს...
ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. სიამოვნებით... მიყვარს ასეთი გარემო...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. თქვენ, ქალᲑატონო, თქვენ რას ინებებთ?
ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. ნუ შეწუᲮᲓები, გენაცვალე, გმაᲓლობთ... (Ხანმოკლე პაუᲖის შემᲓეგ. აკვირᲓება) უკაცრავაᲓ, მაგრამ ᲓაᲚიან მეცნობით...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. (აკვირᲓება). არა მგონია, იცით... რა ვიცი, შეიᲓლება... მე არ მაᲮსოვს...
ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. ღმერთო ჩემო, როგორ მეცნობით... (Ხანმოკლე პაუᲖა) თქვენ მიწისძვრის აქტიურ Ზონაში Ხომ არ ყოფილᲮართ?
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. არა, ჯერ არ მოვᲮვეᲓრილვარ იქით, მაგრამ სულ რამᲓენიმე წუთის წინ სწორეᲓ ამის თაობაზე ვესაუᲑრებოᲓი მეგობარს. (გასᲓაᲮებს) იოანე, ასე არ იყო?!

იოანე უᲮმოᲓ ᲖᲘᲡ.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. იქᲓან მაᲮსოვᲮართ Და... (Ხანმოკლე პაუᲖა) იცით, პატარა გოგონა რომ ვიყავი, მაᲮსოვს, წითელქუᲓას როლი მომცეს... იქნებ იქ... თუმცა, მე რომ წითელქუᲓა ვიყავი, თქვენ ᲓაᲑაᲓებულიც არ იქნებოᲓით მაშინ...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. წითელქუᲓა მეც მითამაშია, მაგრამ მერე Დულსინეას როლი შემომთავაᲖეს.
ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. გავგიჟᲓები, ახლა ნამᲓვილაᲓ გავგიჟᲓები. Დულსინეა Ხომ მეც მითამაშია... რა უცნაური ᲓამთᲮვევებია, არა?! თანაც ისე მეცნობით, რომ მეტი არ იქნება... პირᲓაპირ გასაგიჟებელი ᲓამთᲮვევებია...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ(აკვირᲓება). ᲓიაᲮ, მართლაც უცნაურია... მაგრამ არ მაᲮსოვᲮართ... სამწუᲮაროᲓ...
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ (საუᲑარში ჩაერევა). უკაცრავაᲓ, ჩემო Დაო, რამᲓენიმე კითᲮვით უნᲓა მოგმართოთ!
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. ᲓიაᲮ!
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. უპირველესაᲓ, შემოსასვლელში ნაᲮაᲖები Დავტოვე, Ხომ არავინ აიღებს...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. რა ნაᲮაᲖები?
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ნაᲮაᲖებია, ჩემი გამოთვლები... ახალი ᲓაᲑა-Დასახლების პროექტებია... აიღებს ვინმე?
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ. არა, Ბატონო, Ხელს ვინ ახლებს...
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ᲓაᲚიან კარგი... მეორე - რაიმე ღვთისთვის საუგო Ხომ არ იქნება თქვენს გᲓაცემაში - შიშველი ქალები Და მისთანანი?
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. არა, არა, ღმერთმა Დაგვიფაროს, როგორ გეკაᲓრეᲑათ...
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. მესაᲛე - რა ნიშნით შეგვარჩიეთ Და მოკლეᲓ მოგვაᲮსენეთ თამაშის წესები...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ (ეღიმება). გამოცᲓაᲖე მგონია თავი...
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. გთᲮოვთ, კონკრეტულაᲓ მიპასუᲮოთ, ᲓაᲚიან მნიშვნელოვანია ჩემთვის...
ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. კი, Ბატონო... თქვენი შერჩევა ჩვენი სოციოლოგიური ცენტრის კომპეტენციაშია... იქიᲓან მოგიწვიეს... ამ სინᲓრომით ვინც იყო ᲓაავაᲓებული, მათი მონაცემები შეიტანეს კომპიუტერში. Და არჩევანი თქვენᲖე შეჩერᲓა... თამაშის წესებს რაც შეეᲮება, ᲓაᲚიან მარტივია, აი, ამას Დაატრიალებთ...
ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ (აქტიურაᲓ ერევა). თქვენ, ახალგაᲖრᲓავ, ამ თამაშს არ უყურებთ? მილიონობით კაცი უყურებს Და თქვენ ჟურში ᲖიᲮართ? მოგვცემს შეკითᲮვას წამყვანი Და, ვინც გამოიცნობს, მფრინავი ავტომობილის მფლობელი შეიᲓლება გაᲮᲓეს. რა უნᲓა ამას... კითᲮვებს სვამენ აქა...

მორჩილი კოჭლ ნანას გᲓაᲮᲔᲓავს, მის თვალებში ცეცᲮლი გაიკვესებს, თუმცა თავს შეიკავებს.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ(სიტუაციის განმუᲮტვა სურს.). მართლაც არაფერი რთული არ არის... კითᲮვაᲖე პასუᲮი, მორჩა Და გათავᲓა... მᲮოლოᲓ ერთი თᲮოვნა მაქვს... როᲓესაც წამყვანი სარეკლამო პაუᲖას გამოაცᲮაᲓებს, სასურველია, რაიმე მოძრაობისაგან თავი შეიკავოთ. პირᲓაპირ ეთერში გავᲓივართ, არ არის მაინცᲓამაინც ესთეტიკური ამ Დროს Დაცემინება ან ᲓაᲮველება... ჩვენი წამყვანი ამ პაუᲖების ᲓიᲓოსტატია. გამოაცᲮაᲓებს სარეკლამო Ბლოკს, გაიღიმებს Და ასე გაღიმებულს საათების განმავლობაში შეუᲓლია იᲓგეს. გინესის წიგნშიც კი შეიყვანეს, იცით... საიᲓუმლოᲓ გეტყვით, - საერთოᲓ, ჩვენი შოუს სცენარისტი ინკოგნიტოᲓ რჩება რატომᲓაც, მაგრამ მე ᲓიᲓი ეჭვი მაქვს, რომ სწორეᲓ ჩვენი წამყვანი გაᲮლავთ ეს ინკოგნიტო... ᲓიაᲮ... ᲮშირაᲓ უთქვამს, ღვინით Დაჭრილი ღვინითვე უნᲓა მორჩესო Და აკი ეს გᲓაცემაც ამიტომ ჩაიფიქრა, ალᲑათ... ᲓᲐᲓამიანები ნორმიᲓან ამოვარᲓნენ, მᲮოლოᲓ მიწისძვრაᲖეღა ფიქრობენ... ვიღაცამ Ხომ უნᲓა უწამლოს ამ გატანჯულ ᲮალᲮს...
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. აი, ჩემო Დაო, Და შენც, ჩემო მეორე Დაო!!! (კოჭლ ნანას მიმართა) ჩემი შემᲓგომი კითᲮვაც მაგას ეᲮება... ეს ავაᲓმყოფი ᲮალᲮი ამსიმაღლეᲖე რა ნამუსით ამოგვიყვანეთ? ცასა Და მიწას შორისა ვართ გამოკიᲓებული... ღმერთმა Დაგვიფაროს Და, გᲓაცემის Დროს რომ Ხიოს, საᲓ უნᲓა წავიᲓეთ, საᲓ გავიქცევით... ტანისამოსი არ გამიᲮᲓია ამᲓენი Ხანია, ასე ვწვები საწოლში, რაღაცა რომ მოᲮᲓეს, ჩემი სიშიშვლე არ Დაინახოს-მეთქი ვიღაცამ ნოესავით, თქვენ კიᲓევ ცასა Და მიწას შორის გამომკიᲓეთ აქ...
ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. გᲓამრევს ეს ყმაწვილი, მერე

მიბრძანდი, გენაცვალე, ვინ გაკავებს, კალთას ვინ გახევს... მიბრძანდი აქედან, თუ ასე გეშინია; ათასობით კაცს პირადად მე ვიცნობ, ვინც ამ სინდრომით არის დაავადებული, ახლავე გადავრეკავ და სხვა დაიჭერს შენს ადგილს...

მორჩილი. სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ მე მისია მაკისრია, ჩემს თავს არ ვეკუთვნი, ხალხს უნდა გავაგებინო, სად არის ხსნა...

კოჭლი ნანა. ოჰ, მისია აკისრია თურმე...

მორჩილი. დიახაც...

წამყვანის თანაშემწე ქალი. ნუ ვიჩხუბებთ რა, თქვენი ჭირიმე, ნუ დაიძაბებით... წამობრძანდით, ყავა დავლიოთ...

ტელეფონის ზარი.

წამყვანის თანაშემწე ქალი. უკაცრავად... (ყურმილს აიღებს) დიახ... ნანა? ნანას არ ვიცნობ. ევრობანკიდან? უცნაურია...

კოჭლი ნანა. (ტელეფონისკენ გაემართა). ალბათ, ჩემთან არიან...

წამყვანის თანაშემწე ქალი. ევრობანკი რა შუაში იყო?

კოჭლი ნანა. მე პოლიტიკოსი გახლავართ... თუ შეიძლება! (ყურმილს გამოართმევს)

წამყვანის თანაშემწე ქალი (აკვირდება). ა, თქვენ ისა ხართ?!. მეც არა ვთქვი, რა ნაცნობი სახე აქვსმეთქი, ცხოვრებაში სულ სხვანაირი ხართ...

კოჭლი ნანა (მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმებს). დიახ, გისმენთ! შემაერთეთ ევრობანკს. მე ვარ, მე, ნანა ვარ... დიახ! დიახ! როგორ გიკითხოთ? ო, Yes, Yes, კი, როგორ არა... მშვიდად ბრძანდებოდეთ, რა თქმა უნდა... ენდეთ ჩემს სიტყვას... მიიღებთ, ყველაფერს უდანაკარგოდ მიიღებთ... პროცენტები თავისთავად... აჰ, არ გინდათ პოცენტები?.. თავნს ხომ თავისთავად მიიღებთ და მიიღებთ! მე, პირადად, პროცენტებით მინდა დავაბრუნო... როდის? ნუ, ძალიან მალე... კვარტალის ბოლოსთვის... დიახ... ეს მითხარით, თქვენთანაც იგრძნობა, არა, ბიძგები? ჩვენთანაც, ჩვენთანაც, გაწამდა ხალხი... რაც შეეხება იმ საქმეს, მშვიდად იყავით, თქვენ ყველაფერს უდანაკარგოდ მიიღებთ... კარგად ბრძანდებოდეთ... გუდ ბაი... (ყურმილი დადო, წამყვანის თანაშემწეს მოხედა) ერთობლივი პროექტი შევიმუშავეთ და... (ხანმოკლე პაუზა) უნიტაზები ხომ არ გნებავთ?

წამყვანის თანაშემწე ქალი. ბატონო?

კოჭლი ნანა. უნიტაზები, ფასდაკლებით...

წამყვანის თანაშემწე ქალი. არა, გმადლობთ, ნამდვილად არ მინდა...

კოჭლი ნანა. გასაგიჟებელი ამბავია, არავის არ უნდა უნიტაზები... (მორჩილსა და ვეტერან ქალს მიმართავს) არც თქვენ გნებავთ?

მორჩილი (აღშფოთებით). აი, ახლა, ქალბატონო, შეურაცხყოფას რომ მაყენებ, ვერა ხვდები!

კოჭლი ნანა. რა შეურაცხყოფას გაყენებ, ბიჭო, შენ დალაგებული ხარ? ფასდაკლებით გთავაზობ...

მორჩილი. რამდენჯერ მიჩხუბია ეკლესიაში ამისთანებთან... გაიხედავ და დამდგარა ქალი ხატის წინ, არც თავსაბურავი, არც არაფერი, დაანთებს სანთელს და იმწამს გარბის საღღაც... ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს ისე აირია ქვეყანა, უნიტაზებით ვაჭრობას მთავაზობს და თან ჭკუასაც მარიგებს... მისია არ მაწვეს კისერზე, ჩემი ფეხი არ იქნებოდა აქ...

კოჭლი ნანა. ბიჭო, ბიჭო, ეს რა აგრესიული მორჩილი შეურჩევია კომპიუტერს...

წამყვანის თანაშემწე ქალი. თქვენი ჭირიმე რა, თქვენი ჭირიმე, სადაცაა გადაცემა დაიწყება, პირდაპირ ეთერში გავდივართ... მე მეცით პატივი... წამობრძანდით, ყავა დავლიოთ... პავილიონსაც უფრო გულდასმით დაათვალიერებთ... გთხოვთ...

ბარისკენ გასწევენ. შუა გზაზე მორჩილი შეჩერდება. ჭაღს მიაჩერდება. ყველანი მაღლა აიხედავენ.

მორჩილი (პანიკურ მდგომარეობაში). ქანაობს. (ვერ ინძრევა) ქანაობს! ხომ ქანაობს!

გამნათებელი შემოდის სცენაზე. ამ მდგომარეობაში ხედავს მათ.მიუახლოვდება.

გამნათებელი. რა, ქანაობს?

მორჩილი. (ჭაღისკენ გაიშვერს ხელს). აი, გაინძრა...

გამნათებელი. ქანაობს არა, ისა... ნანა, გამარჯობა.

კოჭლი ნანა ბარისკენ გაემართება...

გამნათებელი (დაადევნებს). კოჭლო ნანა, გამარჯობა!...

კოჭლი ნანა (გაკვირვებული სახით). მე მომმართავთ? მე თქვენ არ გიცნობთ!

გამნათებელი. მე არ მიცნობ?

კოჭლი ნანა. დიახ, არ გიცნობთ... რა, წარგვაღგინეს რომელიმე მიღებაზე?

გამნათებელი (პაუზის შემდეგ). აგური!..

კოჭლი ნანა. ბატონო?!

გამნათებელი. აგური დაგავიწყდა, აგური...

კოჭლი ნანა. რა შუაშია აგური... (თანაშემწეს მიხედა) ვინ არის ეს კაცი?

წამყვანის თანაშემწე ქალი. ჩვენი პავილიონის გამნათებელია.

გამნათებელი. სელექციონერიც მიაყოლე... შეთავსებით სელექციონერიც ხომ ვარ... ვაი, რა სასაცილოები ხართ, თქვენი...

მორჩილი (ამ დროს უკვე მოაშორა ჭაღს თვალი. გამოყოჩაღდა). გინება არ გამაგონოთ... ღვთის გმობაა გინება... არ შეიძლება...

გამნათებელი (წასვლას აპირებდა. ზარმაცად მოხედავს მორჩილს). გაჩუმეთ ეს დოგმებით გატენილი ლაწირაკი ნაბიჭვარი, თორემ აქვე მოვუყვები ამბავს ღრუბელზე...

წამყვანის თანაშემწე ქალი. რა ღღეში ხარ, მართლა და მართლა, რა ამბავია, არ შეგვაწუხა თავისი

ღრუბლებით... წადი, შენს საქმეს მიხედე, ძლივს დავამშვიდე ეს ხალხი, რას მირევ აქ საქმეს... წადი, წადი... თქვენ კი წამობრძანდით, რა, გთხოვთ...

გამნათებელი გაიღიმებს, სცენის მეორე კუთხისკენ გაემართება.

კოჭლი ნანა (თვალს გააყოლებს). ნამდვილად მთვრალია, ვიღაცაა, საიდან უნდა ვიცნობდე... გასაგიჟებელი ამბავი თუ გინდა, ესაა...

ბარისკენ გაემართებიან. სკამებს შემოუსხდებიან.

გამნათებელი (სანამ სცენას ღატოვებს) - წი-თელ-ქუ-და!!!

(ხელს დაუქნევს წითელქუდას. გავა).

სუფათი მეორე

წითელქუდა, დონ კიხოტი.
წითელქუდა და დონ კიხოტი სცენის სიღრმიდან წინ გამოსწევენ.

დონ კიხოტი. აი, ჩემო ძვირფასო დულსინეა, აქვე დავიწეროთ ჯვარი...

(გზადაგზა ესაუბრება)

წითელქუდა. მე რომ წითელქუდა ვარ...
დონ კიხოტი. იყავი რა დულსინეა, რა იქნება! ჩემი ხათრით...
წითელქუდა. კი, ბატონო... ოდესღაც ხომ უნდა გათხოვდეს ქალი... გვარის გამოცვლასავით იქნება. რას იზამ, ასეთია ქალის ბედი...
დონ კიხოტი (ხმალს ამოიღებს. ხმლის წვერს იატაკს მიაბჯენს). - ჩემს ბრძოლებში გამობრძმედილ მახვილსა ვფიცავ, ვფიცავ, რაინდულ სინდისსა და ღირსებას, რომელიც რომ ყველაზე უფრო სუფთად მიმაჩნია, არ ვუღალატო მოხეტიალე რაინდის მაღალ ღირსებას და უამრავი საგმირო საქმით განვამტკიცო შენი ჩემდამი სიყვარული... ო, დულსინეა, თვალთა ჩემთა სინათლევ, ო, ჩემი ოცნების ქალბატონო, რომელიც რომ...
წითელქუდა. არა, არა, ასე არა... ისევ ღრმად შედიხარ როლში... ქორწინების სახლში ხომ არ მოგვეწერა ხელი? სამახსოვრო სურათებსაც გადაგვიღებდნენ?
დონ კიხოტი. რად გვინდა ქორწინების სახლი... ვიღაც-ვიღაცებს ხომ არ ავყვებით... ჩვენ განსაკუთრებული სიყვარული გვაქვს ერთმანეთისა... როგორც მოხეტიალე რაინდს შეჰფერის, ჯვრისწერაც ისეთი იქნება... (ხელზე გაისვამს მახვილს.) მიბოძე ხელი... აჰა!... (წითელქუდასაც გაუსვამს ხელზე მახვილს)
წითელქუდა. აი, სისხლიც... ახლა, თუ ღირსეული კაცი ხარ, ნამდვილად უნდა მომიყვანო ცოლად...
დონ კიხოტი (ხელის მტევნებს შეაერთებს). ერთ სულ და ერთ ხორც, ჩემო დულსინეა, ერთ სულ და ერთ ხორც ვიქეცით!!! იოანე კი იმას მიმტკიცებდა, დულსინეა არ არსებობსო, განა გაუგია ვინმეს ასეთი სიშლეგე, ჩემი ოცნების ქალბატონო, ჩემო წმინდა-თაწმინდა ქალწულო, უნდა გაგიმხილო, რომ ორიოდე მაღალი წრის ქალბატონი მიპირებდა შეცდენას, მაგრამ ვფიცავ ჩემს რაინდულ ღირსებას, ჩემს სიყვარულს შენდამი, ისეთი შეურყვნელი ჩაგბარდი, როგორიც რომ...
წითელქუდა. (დაამთქნარა). იცი, რა!..
დონ კიხოტი. გისმენ, ძვირფასო!
წითელქუდა. ოღონდ ხომ არ გამიწყრები? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ...
დონ კიხოტი. ო, მაგას რაღა თქმა უნდა...
წითელქუდა. იოანესი არ იყოს. შენც ცოტა მოსაწყენი ვინმე ხარ, იცი? აი, შოუს წამყვანი... რა ღიმილი აქვს... რა საყვარელი ვინმეა... შეიძლება ითქვას, რომ ჩემი იდეალია ასეთი მამაკაცი. თითქოს ანათებსო, ერთიანად ბრწყინავს... შენ კი სულ სარაინდო ამბებს მიყვები... ცოტა კონსერვატორი ხარ, იცი... იქნებ შეიცვალო, გალაღდე, გაიღიმო... აბა, გაიღიმე!.. (დონ კიხოტი თავს ჩარგავს) რა დაგემართა? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ... მე თუ არ გითხარი სიმართლე, ვინ გეტყვის, საინტერესოა... რა, არ უნდა მეთქვა?! აი, ასეა, ყველა მამაკაცი ერთმანეთსა ჰგავს. მხოლოდ იმისი გაგება უნდათ, რაც თავად სიამოვნებთ... რა თანასწორობაზეა ლაპარაკი... აზიატებო თქვენ!!!
დონ კიხოტი (ხელმკლავს გამოსდებს წითელქუდას, სცენიდან გაჰყავს). იცი რას გეტყვი, ჩემო დულსინეა, ერთ რამეში უნდა დამეთანხმო... მოგეხსენება, რაცა ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო როდია... მთავარი სულია... და განა მწუხარე სახის რაინდის ტკივილით დასერილ სულზე უფრო ამაღლებული არის რამე?! შენ ღიმილი ახსენე... განა ეს ღიმილია? უკაცრავად ამ სიტყვისთვის, მაგრამ ასეთი ყალბი ღიმილი, ჩვენს წამყვანს რომ აკერია სახეზე, უსირცხვილობაა და მეტი არაფერი... საპნის ბუშტი... კახპის მიერ, აი, ასე, ხელის დარტყმით შემოთავაზებული სხეულის ერთი ნაწილი, სამყაროს სირცხვილი და თავის მოჭრა...
წითელქუდა. ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი...

(გავლენ)

სუფათი მეცხრე

გამნათებელი, კოჭლი ნანა, გენერალური სპონსორი. ტელეფონის ზარი. გამნათებელი აიღებს ყურმილს.

გამნათებელი. ალო, გისმენთ! ნანა? რომელი ნანა, კოჭლი? კი, აქ არის... (გასძახებს) კოჭლო ნანა, თრქმენეთიდან გირეკავენ!

 კოჭლი ნანა (ბარში იჯდა. ყავას შეექცეოდა. ნაჩქარევად დადგამს ფინჯანს). ახლავე!!! (გამნათებლისკენ გამოემართება. გამნათებელი ღიმილით შესცქერის, ყურმილს გაუწვდის) დიახ, სალამ, სალამ!!! კი, ბატონო, რაზეა ლაპარაკი... კი, კი... რა თქმა უნდა, მიიღებთ... დიახ, დიახ, ყველაფერს უდანაკარგოდ მიიღებთ... პროცენტები? პროცენტებსაც მიიღებთ, გენაცვალე, აბა რა იქნება... არ გამოგჭრით, ბატონო, ყელს, ყელს რატომ გამოგჭრით... ხომ გეუბნებით, რომ ყველაფერს თავის დროზე მიიღებთ... მერე რა, რომ ვადას გადასცდა... საქონლით მიიღებთ... დიახ... მართლა, უნიტაზები ხომ არ გნებავთ?.. იმპორტული, ფასდაკლებით... კაი, ბატონო, კაი, არ გნებავთ და ნუ გნებავთ... ისე, საინტერესოა, თქვენთანაც სგრძნობია ბიძგები?.. საგრძნობია, არა? რა ხდება, კაცო, რა ღვთის რისხვაა... არა, ბატონო, არა, ნამდვილად არ გამოგჭრით ყელს, მშვიდობით, კვარტლის ბოლომდე... (ყურმილს დადებს. წასვლას აპირებს, გამნათებელი ხელს დაუჭერს. შეაყოვნებს)

გამნათებელი (იღიმება). მაშ, არ მიცნობ, არა, კოჭლო ნანა?!

კოჭლი ნანა. უსირცხვილო, შენ!!! ხალხში შეიძლება ამაზე ლაპარაკი?!. საარჩევნო კამპანია მაქვს წინ...

გამნათებელი. რა მაინტერესებს იცი, ცვედანიაო, რატომ დამიგდე ხმა... ცვედანი ვარ ვითომ? კაცს გაფრენილი ჩიტი არ დამიტოვებია, არ მომეთხრო ჩემი ამბავი ღრუბლებზე... რისი შეგეშინდა, გაფიცებ, მითხარი, მაშინაც საარჩევნო კამპანია იყო, ალბათ, არა?!

კოჭლი ნანა. ცვედანი ხარ, აბა, რა ხარ, ღრუბლებზე თუ არ მოყევი, ისე ვერაფერს ახერხებ...

გამნათებელი. რა საინტერესო ექსპონატია, კაცო... შენ რა გინდა, ქალო, მე ღრუბლებზე მიდგება თუ ქალებზე? აგურს ხომ კარგად ეძებდი?

კოჭლი ნანა. კაი, კაი, გაჩუმდი ახლა!!! მერე მომიყევი თუ გინდა, ცალკე... ხალხში რა გაღრიალებს, აგრესორო შენ... მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც გინდა სინამდვილეში... ბაზები გინდა... (ყურში ეუბნება) ჩუმად იყავი და მიიღებ ბაზებს... მიიღებ, მიიღებ...

გამნათებელი (იცინის). ღმერთო, ღმერთო, ღირდა ახლა ეს ყველაფერი იმად, რომ ადამიანისთვის ასეთი რთული ოპერაცია გაგეკეთებინა!.. კარგად იყავი, კოჭლო ნანა, დროებით... შევხვდებით კიდე...

კოჭლი ნანა თვალს გააყოლებს გამნათებელს. რაღაცას ჩუმად შეუკურთხებს. ბრისკენ აპირებს გმობრუნებას. სცენის საწინააღმდეგო მხრიდან გენერალური სპონსორი შემოვიდა. ჯერ ვერ ამჩნევდა კოჭლ ნანას. როდესაც შეამჩნია, მოულოდნელობისაგან გახევდა.

გენერალური სპონსორი (გულით ამბობს, თითქოს აღმოხდაო). ღმერთო მაღალო, დიდება შენს სამართალს, რომ ხელში ჩამიგდე ეს გარინჩა ვირიშვილი, მოდი აქეთ, ქალო, სად მიკუსკუსებ... (ხელი ჩაავლო) მოდი-მეთქი, შენი ხორცი უნდა გავსინჯო, სხვა აღარაფერი მინდა... ხორცს გავსინჯავ შენსას, ხორცს... ტვინში ჩაგხედავ ერთი...

კოჭლი ნანა. რაშია საქმე, რა გნებავთ?!

გენერალური სპონსორი. კიდევ ამას მეკითხები?! კიდე მეკითხები, კაცო!!! რას მპირდებოდი კრედიტს, გამაგებინე? დრო ხომ დროდ გამიცდა, ნერვები ხომ ნერვებად დამაწყდა, საგარანტიოში რამდენი გადავიხადე, იცი?! ჩემს შვილებს დღეს პურის ფული ვერ დავუტოვე. თუ თავი არა გქონდა, რას მპირდებოდი, ქალო...

კოჭლი ნანა. როგორ გეკადრება, რისი თავი არა მქონდა... დროებით შეფერხდა ბატონო, რა მოხდა მერე, ცოტა ხანში დავძრავ საქმეს, რა გაყვირებთ, ერთი ვიცოდე...

გენერალური სპონსორი. აი, ვატყობ, ინტონაციაზე ვატყობ, ახლაც უნდა დამიძვრეს ეს მართლა გარინჩა, სამი თვეა დაგდევ, ქალო, სამი თვე, რას მემალებოდი, თუ ასე მართალი ხარ...

კოჭლი ნანა. სხვათა შორის, ადამიანის ნაკლზე მითითება, თანაც ასე ხშირად, ვერაფერი დიდი ვაჟკაცობაა...

გენერალური სპონსორი. აქეთაც რომ მაწვება... იცი, რას გეტყვი, შენთან ბევრი ლაპარაკი არ მინდა... ერთი ხოშიანი სარდაფი მეგულება. წაგიყვან, გენაცვალე, ჩაგამწყვდევ იმ ბნელ სარდაფში და, სანამ შენი პარტიაა თუ რაღაცა ჯანდაბა, რაც საგარანტიოში მაქვს გადახდილი, იმას არ გამისტუმრებს, მეყოლები მძევლად... გამიგე?! აი, ასე არის საქმე!.. შენთან მატაობის თავი მე არა მაქვს... ღმერთო, ღმერთო, მაღალო! უჰ, შენს სამართალს ვენაცვალე, რა... საღ გამიჩითე ეს ჩემი სისხლის მწოველი... რა გინდოდა ისე აქ, რამ მოგიყვანა, საინტერესოა?!

კოჭლი ნანა. მომიწვიეს, ბატონო, მიწისძვრის სინდრომით ვარ დაავადებული...

გენერალური სპონსორი. შენა?

კოჭლი ნანა. დიახაც, მე გახლავარ... ჩემს ხალხს რაცა ჭირს, მეც იგივე მაწუხებს...

გენერალური სპონსორი. აი, ნესტიან სარდაფში რომ ჩაგკეტავ და იქამდე გამყოფებ, სანამ ჭლექს არ აგკიდებ, მერე ნახე, რითიც იქნები დაავადებული...

კოჭლი ნანა. სხვათა შორის, ჭლექი ძალიან პოპულარული დაავადებაა პოლიტიკურ წრეებში, განსაკუთრებით რევოლუციურად განწყობილ პოლიტიკოსებში. ასე რომ მაგით ნუ მაშინებ...

გენერალური სპონსორი (წაყვანას უპირებს). ჰოდა, წამობრძანდი, ჩემო კარგო... წავედით, წავედით!..

კოჭლი ნანა. მოიცადე, რა გეჩქარება... შენ გგონია, რაც შეგპირდი, იმას ვერ მიიღებ?! მიიღებ, ასპროცენტიანად მიიღებ... თუ არა და, ჯარიმაზე ხომ არ ვამბობ უარს. საქონლით გაგისტუმრებ დანაკარგს.... ისეთი იმპორტული უნიტაზები მაქვს ფასდაკლებით, რომ გაგიჟდები...

გენერალური სპონსორი. რა უნიტაზები, ქალო, რას მამასხარავებ, ჩემი საქონელი ვერ გამისაღებია, შენი უნიტაზები წამოვიკიდო კიდევ. აფერისტი ხარ და სხვა არაფერი, ფინტებს მიტარებს აქა...

კოჭლი ნანა. ღმერთო ჩემო, ეს არის სამამულო

ბიზნესის სახე... რეკეტია, ნამდვილი რეკეტი... ევრო-ბანკთან გამოვნახე საერთო ენა და ეს რა სიტყვებით მლანძღავს... მაცალე, ბატონო, მაცალე, ყველაზე არსებითს მივადექით... მიაღწიე შენსას და ისაა... მე ხომ ვიცი, რაც გინდა სინამდვილეში, არა... ჩატარდეს ჯერ არჩევნები და მიიღებ, რაც გინდა...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (დაიბნა). რა მინდა?!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ (ყურში ჩასჩურჩულებს). ბაზები გინდა... მიიღებ, მიიღებ ბაზებს, ნუ ღელავ...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. ჩამახედეთ ამ ქალის ტვინ-ში, გამასინჯეთ ამისი ხორცი; შენ შეშლილი ხარ, ვიღა-ცა ხარ; რა ჯანდაბად მინდა ბაზები, შეპირებული კრედიტი მომეცი... ბაზები შენთვის გქონდეს... მეც რას ვლაპარაკობ აქა, წამოდი-მეთქი, წამოდი, ჩაგამწყვდევ სარდაფში და იქ დაურიგე ვირთხებს ბაზები... წამოდი-მეთქი!.. (მიათრევს)

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. ნელა, კაცო, სად შემიძლია ასე სწრაფად სიარული...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (მიათრევს). რომ მემალე-ბოდი, მაშინ მარჯვენა გარემარბივით ცქვიტად დარ-ბოდი, შე მართლა გარინჩა, შენა, ახლა ითრევ ფეხს... მეორე ფეხსაც მოგტეხავ კოჭში და, მერე როგორ დამემალები, იმასაც ვნახავ...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. რას ვამბობდი, რეკეტია-მეთქი, ნამდვი-ლი რეკეტი... აბა, ესაა თანამედროვე ბიზნესი?

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. რეკეტს და თანამედროვე ბიზნესს განახებ მე შენ, ცოლ-შვილს პურის ფული ვერ დავუტოვე დღეს, ეს სამამულო ბიზნესზე მელაპარაკება აქ....

გონგის ხმა. (გენერალური სპონსორი შეყოვნდა)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. ყურადღება! ვიწყებთ! (ნანასა დ გენერალურ სპონსორს შენიშნავს) საით, ქალბატონო ნანა, უკვე ვიწყებთ, აქეთ, ამ მაგიდასთან მობრძანდით...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. დიახ,პოლიტეკონომიკის რამდენიმე ძირითად პრინციპს გავარკვევ ამ ბატონთან და ახლავე გეახლებით... (გენერალურ სპონსორს) კარგი, მართლა და მართლა, რა ბავშვივით იქცევი... ჩატარდეს შოუ და წავიდეთ, სადაც გინდა... მე არავის არ ვემალები...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (არ უნდა ხელის გაშვება, თუმცა მაინც გაუშვებს). ამ გადაცემის გენერალური სპონსორი არ ვიყო, მე ვიცი, სადაც გაგაქანებდი ახლა...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ (თავი გაითავისუფლა). შენა ხარ გენერალური სპონსორი?

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. მაინც ვერსად გამექცევი... გადაცემის შემდეგ პირდაპირ ნესტიან სარდაფში გიკრავ თავს... ახლა მიბრძანდი...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. არც ვაპირებ გაქცევას... როდის იყო, ვინმეს გავურბოდი... რაც გითხარი, იმას წყალი არ გაუვა, შენ შენსას მი-ი-ღებ...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. მიდი, მიდი, მე ვიცი რასაც მივიღებ...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. რა კეთილშობილური იდეა გაგჩენიათ... შესაშური გულისხმიერებაა.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. გაჩერდი-მეთქი, თორემ მართლა მოგამტვრევ მეორე ფეხს, რა თავს მიქონავ აქა...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. ქალბატონო ნანა, გთხოვთ!..

(მორჩილი და ვეტერანი ქალი უკვე მაღალსაზურგიან სკამებზე სხედან)

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. მოვდივარ, გენაცვალე, (გზად) რა უცნაური ხალხია, კაცო, მსოფლიო საკრედიტო-სავალუტო ფონდთან და ევრობანკთან გამოვძებნე საერთო ენა და ამას მშობლიურ ენაზე ვესაუბრები, მაგრამ მაინც ვერაფერს ვაგებინებ... მე რომ ვეტყვი ადამიანს, მიიღებ-მეთქი, მიიღებს ის ადამიანი, აბა, რა იქნება... რა არის აქ გაუგებარი, გასაგიჟებელია პირდაპირ...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ(სკამზე ჩამოჯდა.). ყურადღება! ვემზადებით! გთხოვთ, გაათავისუფლოთ პავილიონი...

(გენერალური სპონსორი სცენიდან გავა. წამყვანის თანაშემწე ქალი სცენას შეავლებს თვალს. სცენის სიღრმეში ფეხმორთხმით მჯდარ იოანეს შენიშნავს)

იოანე! რას დაყუდებულხარ, მართლა და მართლა, იწყება უკვე, გაათავისუფლე პავილიონი, ჯერ არ არის შენი გამოსვლა...

(იოანე გამოფხიზლდა. წამოდგა. სცენა დატოვა)

სურათი მეათე

წამყვანის თანაშემწე ქალი, მორჩილი, ვეტერანი ქალი, კოჭლი ნანა, გამნათებელი.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ(მოთამაშეებს მიმართავს). კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ეცადეთ, სარეკლამო პაუზის გამოცხადებისას არ გაინძრეთ, იგივე პოზა შეინარჩუნოთ... სხვა მხრივ, თავი ბუნებრივად დაიჭი-რეთ, სანერვიულო არაფერია, ჩვენი წამყვანი ისეთი უშუალო არტისტია, რომ ნამდვილად არ მოგაწყენთ, ექსპრომტად მუშაობს, იმპროვიზაციებს აკეთებს, მაგრამ სცენარის ძირითად ხაზს არა ცვლის... ჰო, როდესაც ხანგრძლივი სარეკლამო რგოლი გამოცხადდება, მაშინ მოქმედება ფოიეში გადავა და თქვენც შესაძლებლობა გექნებათ თხუთმეტი წუთით დაისვენოთ... სამივეს გისურვებთ მფრინავი ავტო-მობილის მოგებას. მართალია, სამივე ვერ მოიგებთ, მაგრამ მე მაინც გისურვებთ...

მეორე გონგის ხმა.

სცენაზე სტვენა-სტვენით შემოვა გამნათებელი.

დამატებით შუქს მისცემს სცენას. ისევ გავა.

მორჩილი. ერთი წუთით, კიდევ მინდა შეგახსენოთ, ჩემო დაო, რომ თუ ღვთის სააუგო რამ იქნა, აქაურობას დავტოვებ... მე...
წამყვანის თანაშემწე ქალი. ჩუმად... (თითს მიიდებს ტუჩთან.) წამყვანის თანაშემწე ქალი სცენის სიღრმისკენ გასწევს. ბარის უზურგო სკამზე ჩამოჯდება. ფეხს ფეხზე გადაიდებს. (სხვათა შორის, ლამაზი ფეხები აქვს, ეს თავადაც იცის). იღიმება.

მესამე გონგის ხმა. ყველა სარეკლამო დაფა აბდღვრიალდა. მუსიკა. კიბეზე ელეგანტურად ჩაცმული, სუფთად წვერგაპარსული, ბაგეგახსნილი წამყვანი გამოჩნდა.

სურათი მეთერთმეტე

წამყვანი, დონ კიხოტი, წითელქუდა, წამყვანის თანაშემწე ქალი, კოჭლი ნანა, მორჩილი, ვეტერანი ქალი.

წამყვანი (კიბეზე ეშვება, იღიმება)... და, აი, ბოლოს და ბოლოს ეს ნანატრი შეხვედრაც შედგა: თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი მართლაც მოუთმენლად ველოდი ამ დღეს...თავისუფლად მოთავსდით სავარძლებში, მამაკაცებმა მოიდგით თითო ქილა ლუდი, ქალებმა სასწრაფოდ შეწყვიტონ ყოველგვარი ხელსაქმე, ცისფერი ეკრანი გთავაზობთ შოუს მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის... მოკლე ექსკურსი - საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გახშირდა მიწისძვრები, შედეგი - საუკუნის ბოლოს უამრავი მიწისძვრის სინდრომით დაავადებული ტელემაყურებელი... ტელემაყურებელი, რომელიც ჩვენ გვიყვარს, ტელემაყურებელი, რომელიც ერთობ გაიტანჯა ყოველგვარი მოლანდებებითა და შიშებით (ამას თამაშობს). ჰა, იძრა?! მიწა იძრა? ვაიმე, დედა! საღ წავიდე, თავს როგორ ვუშველო... ჭაღი! საღ არის ჭაღი?! ჭაღი მიდის-მოდის... კედელი ჭრიალებს! ტელემაყურებელი გაოგნებულია, ტელემაყურებელი ჭაღს შესცქერის! (წელში გასწორდა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ) ნუ უცქერით ჭაღს! უცქირეთ ცისფერ ეკრანს. ის არის თქვენი ერთგული მეგობარი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, სისხლით ნათესავი და კარის მეზობელი... უცქირეთ, გაერთეთ, დაივიწყეთ ყოველგვარი პრობლემები, გაათავისუფლეთ აურა გამუდმებული შიშისაგან, აურა მიდის მაღლა, მერე ისევ გვიბრუნდება მიწაზე - შედეგად კი გახშირებულ მიწისძვრებს ვიღებთ... არაფერი არ იკარგება ბუნებაში უკვალოდ - გაათავისუფლეთ, გაათავისუფლეთ აურა... აბა, ჰე, ჭიქით წყალი მოიდგით, იქ შევრეკოთ ცუდი ემოციები... თვალები დახუჭეთ... აი, ასე... (თვალებს ხუჭავს თავადაც. ხანმოკლე პაუზის შემდეგ თვალს გაახელს. გაბრაზებული იერით მიმართავს დარბაზს) არ გესმის, შენ! (ხელს გაიწვდის, ვიღაცაზე უთითებს დარბაზში) შენ მოგმართავ სწორედ! ჰო,ჰო, აი, ზუსტად შენ, სავარძელში რომ მოკალათებულხარ!!! ნუ გეშინია-მეთქი, გელაპარაკები!.. რისი გეშინია, შე ლაჩარო, კაცი არა ხარ?! გამაგრდი, გაყოჩაღდი, შენთანა ვართ ჩვენც... არასოდეს მიგატოვებთ... გინდა, ფოკუსს განახებ? მე მიცქირე, ოღონდ, მე მიცქირე, ჭაღს ნუ უყურებ!!! ფოკუსი!!! (ხელს უკან გაიშვერს, თავად მაყურებლის დარბაზისკენ იცქირება, თითქოს აგიპნოზებსო მაყურებელს. წამყვანის თანაშემწე ქალს ცილინდრი მოაქვს. გაიღიმებს, თითქოს ეკრანიდან შემოგვცინაო, ისევ თავის ადგილს დაუბრუნდება. წამყვანი ცილინდრს გამოართმევს თანაშემწეს, დარბაზს თვალს არ აშორებს, ასე აკეთებს ერთ-ერთ ბანალურ ფოკუსს) აი, მიყურე, მიცქირე პირდაპირ ხელებში! თვალი არ მომაცილო... ვიღებ ცილინდრს. ჩვეულებრივი ცილინდრია, ხომ მეთანხმები?! (თავზე დაიხურა, შემდეგ მოიხადა, მაყურებლებს აჩვენა) ვდებ ცილინდრში ცხვირსახოცს... კარგად მიცქირე ხელებში, ჭაღს ნუ უყურებ, უნდა მოგატყუო ახლა, გაიგე! ხომ არ გინდა, მოტყუებული დარჩე!.. ხელებში მიცქირე! ჩავდე ცხვირსახოცი! ჰოპ, ჰოპ, ჰოპლა!!! ვნახოთ, რა არის ცილინდრში! (პრეზერვატივს ამოიღებს ცილინდრიდან) აი, რა. დაგიცავს შენ შიდსისაგან! წაიღეთ ცილინდრი! მე და იმ მეგობარმა გავუგეთ ერთმანეთს! (წამყვანის თანაშემწე ქალი მიუახლოვდება, ისევ შემოგვცინებს „ეკრანიდან". ცილინდრს გამოართმევს, უკან გაბრუნდება) ჩემს მეგობარს აღარ ეშინია! ჩემი მეგობარი გრძნობს, რომ ცისფერი ეკრანი და შოუს წამყვანი მის გვერდით არიან. ასე არ არის, ძმობილო?! ახლა კი მოდი, მე და შენ ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ, დიახ, დიახ, სწორად მიმიხვდი... (იღიმება) სარეკლამო პრაუზა!!! (გაღიმებული პირისახით რჩება, სანამ სარეკლამო რგოლი არ ჩათავდება)

სცენაზე წითელქუდა გამოჩნდა.

წითელქუდა (მღერის). წითელი ქუდი მახურავს,
სულსა და გულს უხარია!

წითელქუდა (სცენის ცენტრალურ ნაწილს მიაღწია. სიმღერა შეწყვიტა). ბავშვებო! ბავშვებო! მგელი ხომ არ დაგინახავთ? მგელს ისეთი საშინელი კბილები აქვს, ისეთი საშინელი, რომ მისი კბილების გახსენებაზე ახლაც კი ვკანკალებ... (თითქოს შეაჟრიალაო) უუუ... იცით, რატომა აქვს საშინელი კბილები?! თურმე სიგარეტს ეწევა და თანაც ძილის წინ კბილებს არ იხეხავს... ძალიან მალე, შეიძლება, სულაც უკბილოდ დარჩეს... მე კი, ნახეთ, რა კარგი, რა ჩაწიკწიკებული კბილები მაქვს. (იღიმება. ლამაზ კბილებს გამოაჩენს) ხედავთ! იცით, რატომ? იმიტომ რომ ყოველ საღამოს, დაძინების წინ, ჯონსონ ბეიბის მარწყვის კბილის პასტას ვხმარობ... ო, რა სურნელოვანი, რა სასიამოვნოა ჯონსონ ბეიბის მარწყვის კბილის პასტა!!! უთხარით დედიკოებს და ბებიკოებს, აუცილებლად შეიძინონ თქვენთვის ჯონსონ ბეიბი... ჰი, ჰი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ჩაიკუზება. თითქოს კამერას მოშორდაო. მცირე მანძილს ასე ჩაკუზული გაივლის. შემდეგ წელში გაიმართება, სცენიდან გავა. როგორც კი წითელქუდა ჩაიკუზა, იმწამს დონ კიხოტი გამოჩნდა სცენაზე.)

ДОН КИХОТИ. ო, დულსინეა, თვალთა ჩემთა სინათლევ! ო, ჩემი ოცნების ქალბატონო, როგორ მომენატრე!!! ვინ გაიგოს მწუხარე სახის რაინდის სევდა... ვინ გაიგოს მისი მაღალი სულის ტანჯვა... სადა ხარ, ძვირფასო, სად?! ყველაზე მძიმე წუთებში, მაშინაც, გოლიათებს რომ ვებრძოდი, სულელი სანჩო კი მიმტკიცებდა, ქარის წისქვილი არისო, მაშინაც შენზედ ვფიქრობდი, შენი ხატება მამხნევებდა... განა არ ვიცი, რომ მოხეტიალე რაინდის ბედი მძიმეა, მერწმუნე, მეც ვაჟკაცურად ვიტან ბედის ყოველ გამოცდას, მაგრამ ხანდახან კი ისე მომენატრები ხოლმე, რომ, აღარ ვიცი, რა ვქნა... (ხანმოკლე პაუზა) თუმცა არა, რატომ არ ვიცი, ძალიანაც კარგად ვიცი... (უბიდან სუნამოს გამოაძვრენს) სუნამო „ტურბულენსი“ ცხადად გაგრძნობინებთ მწუხარე სახის რაინდის საყვარელი ქალის სიახლოვეს... შეიძინეთ თქვენი სასურველისთვის სუნამო „ტურბულენსი!“.. (სუნამოს ცხვირთან მიიტანს) ო, დულსინეა!!!

ისიც წითელქუდასავით ჩაიჩოქებს, მცირე მანძილს ასე გაივლის, შემდეგ სცენას დატოვებს. როგორც კი დონ კიხოტი ჩაიჩოქებს, აქამდე უძრავად მდგარი, სახეზე ღიმილშეყინული წამყვანი გამოცოცხლდება).

წამყვანი. მაშ ასე, ძვირფასო ტელემაყურებლებო, ვაგრძელებთ შოუს! სადაცაა გამოჩნდებიან ჩვენი სოციოლოგიური ცენტრიდან შერჩეული მოთამაშეები და თამაშსაც დავიწყებთ... იქამდე კი შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა პრიზებთან ერთად ღღეს თამაშდება მფრინავი ავტომობილი... რკინაში განსხეულებული კაცობრიობის მარადიული ოცნება ცაში ფრენისა, პლუს მიწაზე ქროლვისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, წყალში კატერივით ცურვისაც... ეს ხომ ყველა თქვენთაგანის ოცნებაა, ჩემო ძვირფასებო, და სწორედ ღღეს, ჩვენს შოუში თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, ამ საოცნებო პრიზის მფლობელი იხილოთ... ასევე შეგახსენებთ, რომ ღღევანდელი თამაშის თემაა მიწისძვრა, ანუ რაიმე კატასტროფა... რომელი კითხვა გათამაშდება, სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცი, ჩავიყოფ უბეში ხელს, სადაც ჩვენი სოციოლოგიური ცენტრის მიერ შერჩეული რამდენიმე კითხვა მიდევს და, რომელიც ხელს ამოყვება, სწორედ იმ კითხვას გავთამაშებთ... (საათზე დაიხედავს) თუმცა, მე მგონი, ჩვენი მოთამაშეები იგვიანებენ... (სათვალეს გაიკეთებს) რა ხდება, რომელი საათია, თვალი ხომ არ მატყუებს... არა, წესით, აქამდეც უნდა მოსულიყვნენ... (პავილიონს მოავლებს თვალს) ღმერთო ჩემო, აქ არა ყოფილან?! აი, ამ სათვალემ მომცა შესაძლებლობა დამენახა ჩვენი ძვირფასი სტუმრები. შეიძინეთ იაპონურ ფირმა კიკომოტოს სათვალე და თქვენ მხედველობიდან არაფერი გამოგრჩებათ... (მოთამაშეებს მიუახლოვდა) მაპატიეთ, თქვენ გენაცვალეთ, შემინდეთ ჩემი უყურადღებობა, მერწმუნეთ, უნებურად მომივიდა ასეთი სამარცხვინო რამ... უსათუოდ, უსათუოდ უნდა გამოვისყიდო დანაშაული! მიართვით ჩვენს ძვირფას სტუმრებს პრიზები! პრიზები სტუდიაში!!!

წამყვანის თანაშემწე ქალს ლანგარზე დაწყობილი პრიზები შემოაქვს. მოთამაშეებს დაურიგებს. „ეკრანიდან“ შემოგვცინებს. ისევ თავის ადგილს დაუბრუნდება.

წამყვანი (მოთამაშეებს მიმართავს. იღიმება). ხომ შემინდეთ, არა... თქვენ გენაცვალეთ, თქვენ გენაცვალეთ, გულში ცუდი რომ არ გაივლოთ ჩემზე. მე კი სულ რამდენიმე წუთით დაგტოვებთ. ვგრძნობ, რომ ერთ-ერთი ტელემაყურებელი ისევ ჭაღს მიაჩერდა... სულ ერთი წუთი... (მაყურებელთა დარბაზს მოუბრუნდა. გაბრაზებული სახე აქვს) შენზე მქონდა საუბარი, ყმაწვილო! შენზე, ჰო, შენზე, ბიჭო! ნუ უყურებ-მეთქი ჭაღს, აქეთ მომხედე... ცისფერ ეკრანს უცქირე, რა დაგრჩენია ჭაღზე... ჭაღზე ბუზი ზის, ბუზის ყურება გირჩევნია თუ ცისფერი ეკრანისა... არ ინძრევა ჭაღი, არა... ერთმანეთს ვუცქიროთ, ასე არ აჯობებს, შელაჩარო! ხომ ხედავ, რა კაცურადა ვარ, ავიხედე თუნდაც ერთხელ ჭაღისკენ? გამექცა თვალი?! აი, შენ რას გეტყვი, შენ!.. მკაცრად გითხარი, ფოკუსიც გაჩვენე, რა გინდა ახლა, შეგეხვეწო? ამასაც ვიზამ... გეხვეწები რა, მე მიყურე... გეხვეწები, ბიჭო, გემუდარები, მე მიყურე. მიყურე, თორემ მოვკვდები ახლა შენ თვალწინ... არ გებრალები? მართლა ვკვდები... (თვალებს გადაქაჩავს, ხორხიდან უცნაურ ბგერებს ამოუშვებს, თითქოს გადართული ტელევიზორის ხმებიაო. ხან თათრული ბაიათის ნაწყვეტი გაიჟღერებს, ხან საინფორმაციო გადაცემის მცირე მონაკვეთი... ერთხანს ასე მაიმუნობს. შემდეგ ჩვეულ ფორმაში ჩადგება. გაიღიმებს). ისევ ერთაღა ვართ!!! ყოჩაღ, ძმობილო, არჩევანს გიწონებ. ეს თქვენი შოუა... დარჩით ჩვენთან და, მერწმუნეთ, არ წაგებთ... ცისფერ ეკრანზეა ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის... მომავალი თაობა ისევე, როგორც ძველი თაობა, ანუ ორივე თაობა ერთად ირჩევს ჩვენს შოუპროგრამას... დარჩით ჩვენთან!!! ახლა კი ფოიეში გადავინაცვლოთ... ჩვენი ხანგრძლივი სარეკლამო რგოლი! ანტრაქტ!!!

იღიმება, ხელებს გადაიჯვარედინებს, ასე შეყოვნდება ერთხანს. ეშვება ფარდა.

ანტრაქტი

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ანტრაქტში გათამაშებული წარმოდგენის მხოლოდ ზოგად ხასიათზე მივანიშნებ რეჟისორს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მსგავსი წარმოდგენა არ შედგეს. პიესის საერთო ქსოვილი ამითი არ დაირღვევა, თუმცა, შესაძლოა,

ავტორის წარმოსახვაში დანახულ სურათს ფერი გაუხუნდეს...

ზოგადად კი ავტორს დაახლოებით ასე წარმოუდგენია ანტრაქტი: ფარდის დაშვებისთანავე სცენის ორივე კუთხიდან აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი მსახიობები გამოჩნდებიან (თითქოს ათას ერთი ღამის პერსანაჟები გაცოცხლებულანო), ისინი ხმამაღლა, ხალისიანად ეპატიჟებიან მაყურებელს ფოიეში. მსახიობებს სარეკლამო ღაფებიც ჰკიდიათ კისერზე, საიდანაც ცხადი ხდება, რომ რომელიღაც ტურისტული ფირმის წარმომადგენლები არიან და არა მარტო ფოიეში გვეპატიჟებიან, არამედ სტამბულში, თეირანსა და დუბაიშიც გვთავაზობენ სასიამოვნო მოგზაურობას, რაღა თქმა უნდა, ასი კილოგრამი ბარგის უფასო ჩამოტანით.

ფოიეშიც ნაცნობ პერსონაჟებს ვხედავთ - ისინიც სხვადასხვა ფირმების წარმომადგენლები აღმოჩნდებიან. მათ შორის ვარჩევთ ოტელოს, ქალის ცხვირსახოცებს რომ უწევს რეკლამას; ანა კარენინას, რომელსაც მატარებლების მიმოსვლის განრიგი ჩამოუკიდია კისერზე; სირანო დე ბერჟერაკს, რომელიც კონფიდენციალურად გვთავაზობს ვესტუმროთ „წოპეს"; მაკბეტს სამზარეულო დანების კომპლექტით ხელში; გარგანტუასა და პანტაგრუელს, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ არსებობს რომელიღაც პანსიონატი, სადაც უეჭველად გაგათავისუფლებენ ჭარბი წონისაგან; ვხედავთ სხვადასხვა ზღაპრების პერსონაჟებსა და ისტორიიდან ცნობილ თუ რეალურად მოქმედ პოლიტიკურ მოღვაწეებს, მაგალითისთვის შეიძლება კამოც ვიკმაროთ, რომელიც აქვე, სახალხოდ დაგმობს თავის რევოლუციურ თუ ბანდიტურ წარსულს და გამოგვიცხადებს, რომ ერთ-ერთ პიცერიაში დაიწყო მზარეულად მუშაობა, თანაც თავდაჯერებულად, ერთგვარი სიამაყის გრძნობით დასძენს, რომ მის მიერ გამომცხვარი პიცა საუკეთესოა მსოფლიოში.

ფეიერვერკულ განწყობილებას გვიქმნიან კუდიანები და ანგელოზები, ქუჩის ქალები და ქუჩის მუსიკოსები, ისინი ერთმანეთში მასლაათობენ, მიდიმოდიან, რაღაცას გვთავაზობენ ან ჩვენ გვეკითხებიან თუ საღ შეიძლება ამა თუ იმ ნივთის ყიდვა... მოკლედ რომ ვთქვათ, აქ ყველაფერი იყიდება, ყველანიარ საქონელს გვთავაზობენ...

ანტრაქტის დასასრულს აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი მსახიობები ისევ დარბაზში გვეპატიჟებიან... კარებში, შესაძლოა, „საბაჟოს" წარმომადგენლები გაიხირონ და აქაც გათამაშდეს რაიმე სასაცილო, ყოფითი სცენა...

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მხოლოდ ზოგადად მივუთითე იდეაზე, განხორციელდება თუ არა ეს იდეა ან განხორციელების შემთხვევაში კონკრეტულად რომელი გმირებით დასახლდება ფოიე და რა ფერებს შეიძენს ეს პატარა წარმოდგენა, მთლიანად რეჟისორის ფანტაზიასა და გემოვნებაზეა დამოკიდებული.

მეორე მოქმედება.

სურათი მეთორმეტე:

წამყვანი, წამყვანის თანაშემწე, კოჭლი ნანა, მორჩილი, ვეტერანი ქალი.

იხსნება ფარდა. მოთამაშეები ჩიკორთან შემდეგი თანმიმდევრობით ჩამწკრივებულან: კოჭლი ნანა, მორჩილი, ვეტერანი ქალი.

წამყვანი იღიმება, ხელები გადაუჯვარედინებია, თითქოს არც განძრეულაო.

წამყვანი (ფარდის გახსნისთანავე გამოცოცხლდა). ვაგრძელებთ შოუს... როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელი თამაშის თემაა მიწისძვრა. აი, კითხვებიც... (უბიდან დაკეცილ ფურცლებს ამოიღებს) ავარჩიოთ... (მაგიდაზე დაყრის ფურცლებს) რომელი ავარჩიოთ?! რომელი ავარჩიოთ და, აი, ეს ავარჩიოთ (ერთ-ერთ ფურცელს აიღებს. გაშლის) ყურადღება! (კითხულობს) ქალაქი, რომელშიც მოხდა ძლიერი მიწისძვრა, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში... ღმერთო ჩემო, როდის იყო ეს მეოცე საუკუნე? სოციოლოგიური ცენტრი ჰქვია ახლა ამას?! სოციოლოგიური ცენტრი კი არა, მწვალებლები არიან... (გაურკვეველია, ვის მიმართავს) ცოტა ახლო წარსულიდან ვერ შეარჩიეთ კითხვა?! ჰმ... მეოცე საუკუნე... რას იზამ, რაც არის, ეს არის... მაშ ასე, ვიმეორებ კითხვას - ქალაქი, რომელშიც მოხდა ძლიერი მიწისძვრა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში... დააზანზარა, კედლები აჭრიალდა, ადამიანები ერთმანეთზე გადაღიოღნენ... ჭაღი მიდი-მოდიოდა, შემდეგ კი უეცრად ხია და... გთხოვთ! (კოჭლ ნანას მიმართავს) დაატრიალეთ ჩიკორი...

კოჭლი ნანა (იღიმება). უკვე დავატრიალე, რამღენი ხანია...

წამყვანი. სწორედაც მოქცეულხართ... 300 ქულა... მაშ ასე, ასობგერა?!

(კოჭლ ნანას მიაჩერდება)

კოჭლი ნანა. ჭ...

წამყვანი (გაიკვირვა). ჭ? არა, ასეთი ასობგერა აქ არ არის. ჰმ... ჭოპორტს ხომ არ გულისხმობდით? ჭოპორტი, რამდენადაც მე ვიცი, 21-ე საუკუნის შუა წლებიდან დაწინაურებულა როგორც ქალაქი. იქამდე ჭოპორტი ძირითადად პამიდვრით ყოფილა ცნობილი... ჭოპორტი იგულისხმეთ?

კოჭლი ნანა. არა... რატომღაც ჭერამი მომენატრა...

წამყვანი. ჭერამი? მერედა, მაგას რა უნდა. ოღონდ ინატრეთ რამე და... ჭერამი სტუდიაში!!!

წამყვანის თანაშემწე ქალს თეფშით ჭერამი შემოაქვს. „ეკრანიდან" შემოგვცინებს. თავის ადგილას დაბრუნდება.

კოჭლი ნანა (ტაშს შემოჰკრავს). აი, ამიტომ მიყვარს თქვენი გადაცემა. ისე მომესურვილა ჭერამი, გეგონება, ფეხმძიმედ ვიყოო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

 წამყვანი. მიირთვით, მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ!
კოჭლი ნანა. (ჭერამი გასინჯა. გულით ამბობს). ხომ არაფერი სჯობია შენი სამშობლოს ჭერამს... არის რაიმე ამაზე უფრო ტკბილი? დამისახელეთ თუნდაც ნებისმიერი სხვა ხილი, რომელიც ჩემი სამშობლოს ჭერამსა სჯობდეს... დიდი მადლობა...
წამყვანი. გაამოთ... (მორჩილისკენ მიტრიალდა. ისევ კოჭლ ნანას მოხედა. თითქოს ახლა იცნოო) ღმერთო ჩემო! ჭერამის ხსენებამ გამინათა გონება... თქვენ ხომ ისა ხართ?! (სათვალე გაიკეთა. ასე აკვირდება.) ნამდვილად ისა ხართ, კი!!!
კოჭლი ნანა. (მრავალმნიშვნელოვნად იღიმება). გააჩნია, რას გულისხმობთ...
წამყვანი. როგორ თუ რას ვგულისხმობ... ძვირფასო ტელემაყურებლებო, შეიძინეთ იაპონური ფირმა კიკომოტოს სათვალე და თქვენ ნამდვილად იცნობთ ქალბატონს, რომელსაც ხალხში სიყვარულით ეძახიან... (პაუზა. ხელს გაიწვდენს ნანასკენ)
კოჭლი ნანა. (იღიმება). კოჭლ ნანას... მართალია, ასე შემარქვეს...
წამყვანი. დიახ!!! ჩვენი შოუს სტუმარია კოჭლი ნანა! დარჩით ჩვენთან! თქვენ ბევრი საინტერესო რამის მოწმენი იქნებით, არ დაგვტოვოთ, ჩვენთან დარჩით... ქალბატონო ნანა, რას უნდა ველოდოთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესში? თქვენი მოკლე კომენტარი!
კოჭლი ნანა. ამჟამად, იცით, საარჩევნო კამპანია ახლოვდება და მთავარი მაინც პარტიული პროგრამების გაცნობა გახლავთ... ხალხამდე მიტანა... საეთერო დროის მოპოვება... ჩვენს პარტიას, მაგალითად, ძალიან შეზღუდულად აძლევენ დროს... არ შეიძლება ასე... ხალხი თავის ლიდერებს უფრო ახლოს უნდა იცნობდეს... ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც, აი, ეს მილიონობით ტელემაყურებელი... გვეშინია მიწისძვრის, გვიყვარს სიმშვიდე და სურათების თვალიერება საოჯახო ალბომიდან...
წამყვანი (აწყვეტინებს. აღფრთოვანებული). რა კარგი რამ გამახსენეთ... ფოტოსურათი ხომ არ გადაგვეღო სამახსოვროდ, ჰა?! მომცემთ უფლებას...
კოჭლი ნანა. რას ბრძანებთ, სიამოვნებით... ძალიან ვაფასებ თქვენს შოუპროგრამას, აღრე რომ გქონდათ აღმზრდელობითი ხასიათის გადაცემა, მე მგონი - „გმადლობთ - ბოღიში“ - ერქვა. ისიც ძალიან აქტუალური იყო. ზოგ-ზოგებს აღზრდა აკლიათ, ისე მიგითითებენ ფიზიკურ ნაკლზე, რომ თვალსაც არ დაახამხამებენ... ამაზე დიდი უზრდელობა შეიძლება წარმოვიდგინოთ? თქვენ, ტელევიზიის მუშაკებს, დიდი მისია გაკისრიათ, მოგეხსენებათ, მეოთხე ხელისუფლება ბრძანდებით...
წამყვანი. სასიამოვნოა ჩვენი შრომის ასეთი მაღალი შეფასება. გმადლობთ... დიახაც, გარკვეულწილად ჩვენც პოლიტიკოსები ვართ...

(კოჭლ ნანას მიუახლოვდება. ისე ჩამოართმევენ ერთმანეთს ხელს, როგორც ორი პოლიტიკური ლიდერი ოფიციალურ შეხვედრაზე. სახეს მაყურებლებისაკენ მიაქცევენ. ორივე გაიღიმებს. პირველი რიგიდან ფოტოკამერის შუქი იფეთქებს.)

წამყვანი. მადლობთ... (მოსცილდება ნანას. შემდეგ მიუტრიალდება) ჩვენ ისევ ვისაუბრებთ, მანამდე კი ჭერამით შეიქციეთ თავი. ხომ მართლაც ტკბილი გამოდგა?
კოჭლი ნანა. კი... შაქარივით...
წამყვანი. რა არის მაინც ეს სამშობლო... რა გრძნობაა!
კოჭლი ნანა. (გულით ამბობს) ო, ნუ იტყვით, „სამშობლო დედის ძუძუი...“ აი, ეს ტკბილი და მწიფე ჭერამი მკვახეც რომ ყოფილიყო, თუ ჩემს სიტყვას ერწმუნებით, ისიც არ ამიშლიდა კუჭს...
წამყვანი. თქვენ სიტყვას როგორ არ ვერწმუნები, მაგრამ ფიზიოლოგიური პროცესი, მე მგონი, მაინც თავისას იზამდა...
კოჭლი ნანა. არ დაიჯეროთ, მერწმუნეთ, რომ არა... სამშობლო აუხსნელი ფენომენია... მშობელ მიწაზე დაგდებული უბრალო ქვაც კი თითქოს რაღაცას ნიშნავს, თითქოს სწორედ ასე და აქ უნდა ეგდოს... როგორ გითხრათ, ძვირფასია ეს ქვა და ამიტომაც გვეჩვენება ასე... სამშობლო ჩვენს ძარღვებში დავლილი სისხლია... სამშობლოს ცრემლის გემო აქვს... და როდესაც ასე მძაფრად ვგრძნობთ მშობლიურ მიწას, განა შეიძლება მისი წიაღიდან ამოსულმა ნაყოფმა რაიმე გვავნოს?
წამყვანი. პირდაპირ ტანში დამაზრიალა... გმადლობთ ამ წამისთვის... უსმინეთ, ძვირფასო ტელემაყურებლებო, უსმინეთ და უცქირეთ, ჩვენს ტელეშოუში თქვენ ყველაზე ამაღლებული, ყველაზე კეთილშობილური და მძაფრად განცდილი გრძნობების მოწმენი იქნებით... ერთ ჭერამს მეც გავსინჯავ!.. თქვენ რომ ცრემლი ახსენეთ, ცოტა პირი გამიმწარდა... (მიუახლოვდა) თქვენის ნებართვით!
კოჭლი ნანა. მიირთვით, მიირთვით,.. მეც გეახლებით... (წამყვანი და კოჭლი ნანა ჭერამს გახლიჩავენ.)
წამყვანი. მართლაც ტკბილი ჭერამი ყოფილა... (მორჩილისაკენ) გთხოვთ, თქვენი რიგია... (მორჩილი დაატრიალებს ჩიკორს). თუ შეიძლება, გაგვეცანით... ვინა ხართ, ვინ ბრძანდებით, თქვენი ჩაცმულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სასულიერო გზაზე უნდა იყოთ შემდგარი...
მორჩილი. დიახ, მორჩილი ვარ.
წამყვანი. საინტერესოა, თავისუფალ დროს როგორ ატარებენ მორჩილები?
მორჩილი. სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მე კი თავისუფალი დრო არ მრჩება... და თუ რატომ არ მრჩება, დიდი იმედი მაქვს, რომ ამისი გამხელის შესაძლებლობას მომცემთ... ფაქტობრივად, ამიტომ დავთანხმდი თქვენს გადაცემაში მონაწილეობაზე...
წამყვანი. კი, ბატონო, დროის მეტი რა გვაქვს... ახლა კი გთხოვთ, გულწრფელად მიპასუხოთ ერთ კითხვაზე. გული არ გწყდებათ თქვენს ტოლ-ამხანაგებს რომ გამოაკლდით?.. თქვენ ხომ ასე ახალგაზრდა ხართ...
მორჩილი. მე არავის გამოვკლებივარ. თუ უნდათ, მოვიდნენ და ისე მივიღებ, როგორც მამამ მიიღო ძე შეცდომილი... ჩავიხუტებ, გულში ჩავიკრავ და ხბოსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავუკლავ... მხოლოდ აქ ერთი პირობა არსებობს, ისეთივე წრფელი გულით მოინანიონ, როგორც ძე შეცდომილმა მოინანია, სიგარეტის წევას, ჟვაჩკის ღეჭვას და ჭიპი-ჭიპზე მიკრულ ცეკვას თავი ანებონ და ეკლესიაში გოგონები თავშალით შემოვიდნენ... ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ისე აირია ქვეყანა. ადამიანები ყოველდღიურად უამრავ ღვთის საგმობ საქციელს სჩადიან. აი, სახალხოდ მინდა განვაცხადო - ტუალეტში რომ გამოკიდებენ გაზეთს და არც კი კითხულობენ, რა წერია შიგ... იქნებ ღვთის სახელის ხსენებაა იმ გაზეთში... არ ჩავდივართ ცოდვას? ჩავდივართ!.. ანდა ნათლობას სწორად ატარებენ? არ ატარებენ სწორად... ამიტომაც გვჭირს, რაც გვჭირს... რამდენჯერ მიჩხუბია ეკლესიაში, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი...

წამყვანი. თქვენ ხუთასი ქულა გაქვთ. ეკლესიაში ვისთან გიჩხუბიათ?

მორჩილი. რა ვიცი, საჩხუბარის მეტი რა არის... გაიხედავ და დამდგარა ქალი, მკერდი მოუშიშვლებია, დაანთო სანთელი და იმწამს აპირებს ეკლესიიდან გავარღნას... საჩხუბარი არ არის? დადექი, რა, ცოტა ხანი, განიწმინდე, ისევ შენთვის არ არის კარგი?.. ანდა...

წამყვანი. უკაცრავად, გაგაწყვეტინებთ... თქვენ ხუთასი ქულა გაქვთ... ასობგერა?!

მორჩილი. ასობგერა - ა.

წამყვანი. მართალია, არის ასეთი ასობგერა და იმასაც გეტყვით, რომ ამ სიტყვაში იგი მეორეა... დიახ... ყოჩაღ, ბიჭო... აბა, ისევ თქვენი რიგია, დაატრიალეთ ჩიკორი...

მორჩილი (ჩიკორს ატრიალებს). ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს ყოფილ კლასელებს მივმართავ აქედან... მოდით ჩემთან... განიწმინდენით სულით და მოდით... მერე გვიან იქნება... თქვენ კი ისევე დარჩებით კარს მიღმა, როგორც მათეს სახარებაშია ნათქვამი ხუთ უგუნურ ქალწულზე... „ჰოდა, იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე“ (მათე 25.13) იცოდეთ, კარს მიღმა დარჩებით... „იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენა. ვინაიდან მოწვეული ბევრია, რჩეული კი ცოტა“ (მათე. 22. 13. 14) განიწმინდეთ სულით, მე მინდა, რომ რჩეულთა შორის იყოთ და ამიტომაც მოგმართავთ პირველ რიგში თქვენ... მოდით, მე ისეთი რამ ვიცი, რომ ნამდვილად მირონად მოეცხება თქვენს სულს - ოღონდ ბიჭებმა შაყირს თავი დაანებონ... და სხვათა შორის, გოგოებმაც დაანებონ შაყირს თავი... (ხანმოკლე პაუზა) აღარ არის შაყირის დრო...

წამყვანი. რა საინტერესოა, რა იცით მაინც ამისთანა? იქნებ ჩვენს ტელემაყურებლებსაც გააგებინოთ...

მორჩილი. კი, ბატონო, მაგისთვის მოვედი ზუსტად...

წამყვანი. დიახ, გისმენთ!

მორჩილი. ნოეს კიდობანი, ვიცი, სადაცაა...

წამყვანი. რას ბრძანებთ! მართლა?!

მორჩილი. კი, დანამდვილებით...

წამყვანი. სენსაცია!!! სენსაცია!!! უყურეთ ჩვენს შოუპროგრამას, უყურეთ ცისფერ ეკრანს, თქვენ შეიძლება სენსაციის მოწმენი გახდეთ... აი, აქვე, თქვენს თვალწინ შეიძლება გაიხსნას კაცობრიობის ისტორიის ერთი გაუხსნელი ფურცელი.

მორჩილი. ისე, რომ იცოდეთ, ადგილმდებარეობაზე უფრო მნიშვნელოვანი კიდობნის ფორმა გახლავთ... აი, იმ ფორმაშია ჩვენი ხსნა...

წამყვანი (აღფრთოვანებული) - გამაგებინეთ, რას მელაპარაკება ეს ყმაწვილი! გვითხარით, ბატონო, საღ არის ხსნა და გავათავოთ ამაზე ჩვენი საუბარიც... თორემ ზოგ-ზოგიერთები ისევ ჭაღს მიაჩერდნენ... გვითხარით, გვითხარით... გაგვაგებინეთ...

მორჩილი. სასურველია, ჯერ ჩემს კლასელებს ვუთხრა... არ მინდა, კარს მიღმა დარჩნენ: ბავშვობა ერთად გაგვიტარებია...

წამყვანი. ძვირფასო ტელემაყურებლებო, დავირაზმოთ ყველა, შევადგინოთ ორგკომიტეტი, თუ გნებავთ, მე ვითავებ, ამ საქმეს, მივიდეთ ჩვენი მორჩილის კლასელებთან, ერთობლივად ვთხოვოთ, რამენაირად ესტუმრონ ამ პატიოსან ყმაწვილკაცს... (მორჩილს მოხედა) ისე, კაცმა რომ თქვას, საიდან იცით, საღ არის ნოეს კიდობანი?

მორჩილი. გამოვთვალე...

წამყვანი. ღმერთო ჩემო, ასეთი ახალგაზრდა და ამისთანა გამოთვლები?!

მორჩილი. თქვენ ვერ გამიგეთ, ის კი არ არის მთავარი თუ სადაა ნოეს კიდობანი, არამედ ის თუ რა ფორმისაა... თავად ეს ფორმა კოდირებულად მიგვანიშნებს ახალი ტიპის დაბა-დასახლებაზე, რომელშიც მიწისძვრის ბიძგები, ფაქტობრივად საგრძნობი არც იქნება...

წამყვანი (დაეჭვებით შეხედავს). მრგვალი ხომ არ არის თქვენი ახალი დაბა-დასახლება? ერთი გვთავაზობდა, იცით...

მორჩილი. არა, მრგვალი გავლილი ეტაპია... სამკუთხედია... სამივე კუთხე მაგრად ჯდება ერთმანეთში და ვიღებთ უმყარეს ნაგებობათა სისტემას.

წამყვანი. ნოეს კიდობანიც სამკუთხედი იყო? (დაეჭვებით)

მორჩილი. რა თქმა უნდა. აბა, წყალში როგორ მიცურავდა?! აქა მაქვს ნახაზები, შემოსასვლელში დავტოვე, შემიძლია განახოთ...

წამყვანი. (ჩიკორს დააკვირდა). სამწუხაროდ, თქვენ ბანკროტი ბრძანდებით... დროებით გადავდოთ ჩვენი საუბარი. (ვეტერან ქალს მიუბრუნდა) ახლა კი ამ ქალბატონის ჯერია... ქალბატონო, სიმართლე გითხრათ, სოციოლოგიური ცენტრიდან მივიღე ინფორმაცია თქვენი ღიდი დამსახურებების შესახებ... თქვენ ნებაყოფლობით გაემგზავრეთ მიწისძვრის ეპიცენტრში და, ვინ მოთვლის, რამდენი დაჭრილ-დასახიჩრებული იხსენით, რამდენ მწყურვალს მიაწოდეთ ჭიქა წყალი, რამდენ სისხლნაკლულს გადაუსხით თქვენი სისხლი. მიიღეთ ჩემგან უღრმესი პატივისცემა, მოკრძალება და დედაშვილური სიყვარული... გმადლობთ... ყვავილები სტუდიაში!!!

(წამყვანის თანაშემწე ქალი ყვავილებს გადასცემს წამყვანს. თავის მხრივ, იგი ვეტერან ქალს მიეახლება.

ხელზე ეამბორება. ყვავილებს მიართმევს. ვეტერანი ქალი თვალზე მოწოლილ ცრემლს შეიმშრალებს).

ვეტერანი ქალი (აღელვებულია). პირიქით, მე ვარ მადლობელი... აღარ შემიძლია... (ცრემლს შეიმშრალებს, გრძნობების სიჭარბისაგან უხერხულად იცინის) მართლა აღარ ვიცი, რა გითხრათ... სათქმელი კი იმდენი მქონდა თითქოს... ხომ გვიცხოვრია თურმე, ხომ დაგვითესია რაღაცა... ისე მიყვარხართ... იცით, მემუარების დაწერას ვაპირებდი, მაგრამ... არა, ჯერ ყოჩაღად ვარ, მაგრამ რა ვიცი, ვერ მოვაბი თავი... მინდა, რაღაცა კარგი გითხრათ ყველას და თითქოს ენა მებმება, აზრს ვერ ვუყრი თავს... რა საშინელებაა?.. დავიბენი... აი, პატარა გოგონა რომ ვიყავი, წითელქუდას ვთამაშობდი... იქნებ ამან დაგაინტერესოთ... სულ პატარა გოგონა ვიყავი... **(მოულოდნელად ამღერდება)**

წითელი ქუდი მახურავს,
სულსა და გულს უხარია... (სიმღერას შეწყვეტს.)
(დარცხვენით) ხმაც თითქოს მიწყდებაო, არა?

წამყვანი. რას ბრძანებთ, პირდაპირ მოხიბლული შემოგცქერით...

ვეტერანი ქალი. ეჰ, იტყვით თქვენც... მოხიბლული... ნეტა იმ დროს გენახეთ... მაშინაც იყო, სხვათა შორის, შოუპროგრამები... ძალიან პოპულარული წამყვანიც ჰყავდა, მაგრამ იმის ღიმილს თქვენსას როგორ შევადრი... ის მარტო იღიმებოდა... თქვენ კი ისეთი ახლობელი ხართ... ისეთი შინაური... ყვავილებიც მომართვით... რა ლამაზი ყვავილებია... შეიძლება გაკოცოთ?

წამყვანი კეთილი ღიმილით შესცქერის. ხელებს გაშლის. ვეტერან ქალს მოეხვევა. ერთმანეთს გადაკოცნიან. ვეტერან ქალს კვლავ ცრემლი ეძალება, თან უხერხულობისაგან იცინის...

ვეტერანი ქალი. მე თქვენთვის სიურპრიზი მაქვს... (ხელჩანთიდან ხელსახოცში გახვეულ ნამცხვარს იღებს) დიახ, დიახ... (ხელსახოცს ხსნის) ნამდვილად მოგეწონებათ... აი, ნაზუქის ქადა გამოგიცხვეთ... შეიძლება მოგართვათ?

წამყვანი. ქადაო!!! რას ამბობთ, ქალბატონო, ვგიჟდები ნაზუქის ქადაზე... (ქადა ჩამოართვა) უჰ, შენი გულისა! სურნელიც ამასა ჰქვია...

ვეტერანი ქალი. ეს ქადა მხოლოდ თქვენ უნდა მიირთვათ... თქვენთვის გამოვაცხვე... ყველას თქვენ ასაჩუქრებთ და... აი, მეც ძღვენი მოგართვით... ხომ მართლა გიყვართ ნაზუქის ქადა?

წამყვანი. მიყვარს კი არა, სული მიმდის ნაზუქის ქადაზე... რას ამბობთ!.. ამ ნუგბარს დილას გეახლებით და თანაც თქვენ გამახსენდებით... (წამყვანის თანაშემწეს მიაწვდის ქადას. მას მიმართავს) კარგად შემინახე, არავინ შემიჭამოს...

ვეტერანი ქალი (იცინის). მეც ზუსტად ეს მინდოდა, დილით მიგერთვათ და მე გაგხსენებოდით. ისეთი გაღასარევი გრძნობაა, როცა ვიღაცას ახსოვხარ... ზიხარ შენთვის და იცი, რომ ახლა, ამ წუთას, ვიღაცა შენზე ფიქრობს, ვიღაცას გაახსენდი... ამისთვის ხომ ღირს სიცოცხლე? იმდენი მაქვს თქვენთვის სათქმელი და სიტყვებს ვერ ვპოულობ... რაღაც კარგი მინდა გითხრათ... ჩვენ კიდევ დიდხანს ვიქნებით... ჩვენ ერთმანეთის სიყვარული გაგვაძლებინებს... ძალიან ბანალურ რაღაცებს ვამბობ, არა? (წამყვანს მოხედა) მთელი ღამე ვერ დავიძინე გუშინ... თვალი ვერ მოვხუჭე... თქვენთან შეხვედრაზე ვფიქრობდი... იმდენი მაქვს მოსაყოლი, იმდენი, რომ... ახლა კი ენა ჩამივარდა, აღარც ვიცი, რა გიამბოთ ჩემზე... იცით, ეს თმა ერთ დღეში გამითეთრდა სრულიად... დიახ... აი,იქ, მიწისძვრის ეპიცენტრში... თუმცა, რაში გაინტერესებთ ჩემი თმის გათეთრების ამბავი... არც არის სასურველი ახლა ამაზე ლაპარაკი...ეტყობა, ცოტა გავუცხოვდი გარესამყაროსთან... ძალიან ვღელავ... მთელი დღე ზიხარ სახლში მარტო... დამლაპარაკებელიც არავინაა... ახლა კი ამხელა აუდიტორია მისმენს... ყველაფერს აჯობებს, თუ ერთხელაც მამღერებთ... შეიძლება?

წამყვანი. კი, ბატონო, რაზეა ლაპარაკი... თქვენ ორასი ქულა გაქვთ... იქნებ ჯერ ასო-ბგერა ღაგესახელებინათ?

ვეტერანი ქალი. რა ასობგერა? აჰ, ჩვენ ხომ ვთამაშობთ... რა მნიშვნელობა აქვს. ო - იყოს...

წამყვანი. ო? არა, სამწუხაროდ, ამ სიტყვაში ო არ ურევია. ახლა კი თქვენს სიმღერასაც მოვუსმინოთ, გთხოვთ!

ვეტერანი ქალი. წითელქუდას სიმღერა ხომ ვიმღერე. ახლა ესპანური სიმღერა მინდა გიმღეროთ... რა დასამალია და, ჩემს ახალგაზრდობაში ერთი მოხეტიალე რაინდის ოცნების ქალბატონი გახლდით... ეს სიმღერაც იქიდან მახსოვს (სიმღერისთვის განეწყობა)... ფორთოხლის ბაღში მღერის დულსინეა, რომელმაც არც კი იცის მოხეტიალე რაინდის არსებობა, მხოლოდ გუმანითა გრძნობს, რომ ვიღაცას ძალიან უნდა უყვარდეს... (ვეტერან ქალს სიმღერის ღრეს რამდენჯერმე ხმაც ჩაუწყდება. თუმცა იხტიბარს არ იტეხს. თვალდახუჭული, მთელი გატაცებით მღერის... თითქოს დიდი ხნის ოცნებას შეეხოო ხელით... როდესაც მოხუცები მღერიან ასე, მსმენელებს თვალების დახრის სურვილი ებადებათ. ამ დროს უხერხულობის, დისკომფორტის შეგრძნება ჩნდება. თითქოს მის მაგივრად გრცხვენიაო, თითქოს სინდისის ქენჯნის შემაწუხებელ შეხებას ვგრძნობთო, თითქოს იმას ვხედავთ, რაც არ გვსიამოვნებს, რასაც გავურბივართ... ვეტერანი ქალი შუაში გაწყვეტს სიმღერას. ჭაღს მიაჩერდება. თავის ადგილს მოშორდება, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ჭაღზე თვალმიბჯენილი. ორიოდეჯერ კიდევ წაიმღერებს ამ მდგომარეობაში. შემდეგ გაჩუმდება. მხოლოდ ჭაღს არის მიჩერებული) იყო ღიღ, როდესაც მე და მიწა ერთად ვიწექით... კი, კი... ასე იყო... მე და მიწა ერთად ვსუნთქავდით... სწორედ იმ დღეს ერთიანად გამითეთრდა თმა... საველე საავადმყოფოში სკამზე ჩამძინებოდა... ჩუ, დაიკო, ჩუო! გავიგე და მხოლოდ შემდეგ კოგრძენი,

რომ ვიღაცა პირზე ხელს მაფარებდა... მაშინ ვიფიქრე, რაღამც ასე მეუბნებიან, მართლაც ჩუმად უნდა ვიყო-მეთქი... ბევრნი იყვნენ... ხეიბრები, დასახიჩრებულები, შიშისა და სასოწარკვეთისაგან სახეშეშლილები, თვალებში თითქოს მინა ჩაასხესო, ისე იცქირებოდნენ... სასოწარკვეთას ნაღირის სუნი ასდის... მათაც ასეთი სუნი ასდიოდათ და კიდევ რაღაც წამლის ტკბილი სუნიც ასდიოდათ, წამლის და ოფლის... მიწაზე დამაწვინეს და მაშინვე ვიფიქრე... მე და მიწა ერთად ვწევართ-მეთქი... თითქოს წყალს ეწაფებიანო, ისე იხრებოდნენ ჩემზე... სახე არც კი ეცვლებოდათ... იხრებოდნენ და დგებოდნენ, იხრებოდნენ და დგებოდნენ... მერე კი ყველანი საღღაც გაქრნენ... მხოლოდ ერთი დარჩა... ისიც გვერდით მომიწვა... ქარის ხმას დავუგდოთ ყურიო, - მითხრა და მაშინ გავიგე, რომ ქარი წუოდა... ქარი ღრუბლებს მოდენის, გინახავს, რა ლამაზია ღრუბლებიო, - ესეც მითხრა... მე და მიწა კი ერთად ვიწექით... სწორედ იმ დღეს ერთიანად გამითეთრდა თმა...

წამყვანი (გამოცოცხლდა. ვეტერან ქალს მიუახლოვდა. ხელმკლავი გაუკეთა). ქალბატონო, ქალბატონო, მე მგონი, სცენარს გადავუხვიეთ...

ვეტერანი ქალი (თითქოს გამოფხიზლდაო). არ ქანაობდა?

წამყვანი. არა, ქალბატონო, მერწმუნეთ, არა... გთხოვთ თქვენი აღგილი დაიკავოთ. ამ შეშინებულ ხალხს კიდევ შეშინება უნდა? (დარბაზისკენ) არ ქანაობს ჭაღი, არა... აქეთ მიცქირე, ბიჭო! მივაცილებ ამ ქალბატონს თავის აღგილამდე და მოგელაპარაკები მე შენ... (ვეტერან ქალს) ახლა ხომ უკეთ ბრძანდებით!

ვეტერანი ქალი. კი, კი... მე კარგადა ვარ... სიმღერა ვერ დავასრულე, მე მგონი... ხმა ჩამიწყდა, არა?.. ისე მეუხერხულება...

წამყვანი. არა, ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა, შესანიშნავად იმღერეთ... (თავის აღგილამდე მიაცილა, ხელზე ეამბორა) კაცობრიობა არ დაივიწყებს თქვენს დამსახურებას... (შემოტრიალდა) ისე, რა ბრძანეთ, ერთ ღღეში გამითეთრდა თმაო?

ვეტერანი ქალი. დიახ, ერთ ღღეში სრულიად გავთეთრდი... თუმცა, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, რა სასიამოვნოა ამაზე ლაპარაკი...

წამყვანი. ამაშია, ქალბატონო, საქმე!.. თქვენ ამდენ ჭირ-ვარამნანახი ბრძანდებით და მაინც როგორ მაგრადა ხართ, ის ძალ-ღონით გატენილი ყმაწვილი კი ახლაც ჭაღსაა მიშტერებული. უკაცრავად!!! (დარბაზს მიუბრუნდა) ბიჭო, მომხედე შენ მე აქეთ... ბიჭო, მოაცილე-მეთქი ჭაღს თვალი... არ გაფრენილა ბუზი არსად, ისევ ჭაღზე ზის... რას მიაშტერდი მაგ ბუზს... მე მიყურეთ, მე... ჩვენს შოუპროგრამას უცქირე, რას ნახავ უკეთესს, ეი, ძმობილო! დამუწე, ბიჭო, პირი, თორე ჩაგიფრინდა პირში ბუზი... დამუწე პირი და მომხედე აქეთ, ახლა გენერალურ სპონსორს გაგაცნობ! რა კაცია, იცი? იცნობ, საერთოდ? არ გინდა კაცური კაცი გაგაცნო? ჰოდა, მოიხედე აქეთ, ასე! გენერალური სპონსორი სტუდიაში!!! (მუსიკა)

სურათი მეცამეტე:

იგივენი და გენერალური სპონსორი.
სცენაზე გენერალური სპონსორი შემოვა. გზადაგზა ოფლით დაცვარულ სახეს იმშრალებს ცხვირსახოცით. წამყვანი მას მიუახლოვდა. ხელი ჩამოართვა.

წამყვანი. რას ეტყოდით ჩვენს ტელემაყურებელს, რით გაახარებდით, გავიგე, საქონლის დიდი პარტია შემოგიტანიაო! ხომ კარგად საღღდება?!

გენერალური სპონსორი. რა თქმა უნდა... ხელიდან მტაცებენ...

წამყვანი. ჯანსაღი ბიზნესი თქვენი და ჩვენი შეხვეღრის გარანტიაა, ძვირფასო ტელემაყურებლებო... მივესალმოთ ჩვენს გენერალურ სპონსორს! რამ გადაგაწყვეტინათ ბიზნესის ნარეკლიან გზაზე შედგომა, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, თქვენ აღრე ძალიან, მშვიდი პროფესია გქონღათ... ვიოლინოს დაკვრას ასწავლიდით პატარა, ერთი ბეწო ბიჭუნებსა და გოგონებს... ახლა კი ასეთი ხიფათიანი გზა აგირჩევიათ... რა მოხდა, რაშია საქმე?

გენერალური სპონსორი (იღიმება). ერთმა კეთილმა კაცმა მირჩია... მართლაც უხერხული არის, იცით, ჩემი გაბარიტების კაცი პატარა ბავშვებს ვიოლინოს დაკვრას ასწავლიღეს... კაცმა კაცური საქმე უნდა აკეთოს...

წამყვანი (მაყურებლისაკენ). რა გითხარი, ბიჭო, კაცურ კაცს გაგაცნობ-მეთქი. (გენერალური სპონსორისკენ) ის, ვინც თქვენ გირჩიათ, თავადაც ბიზნესმენია...

გენერალური სპონსორი. არა, არა, არვითარი საერთო არა აქვს ბიზნესთან. მაგის მთელი სიყვარულობა აპარატურაა, უბრალოდ, საუბარში მირჩია და მეც ჭკუაში დამიჯდა...

წამყვანი. მაინც, კონკრეტულად, რა ჩამოგვიტანეთ? იქნებ ორიოდ სიტყვით გაგეცნოთ ჩამოტანილი საქონლის ნუსხა ჩვენი ტელემაყურებლისთვის...

გენერალური სპონსორი. მე მართლაც ბევრი რამ ჩამოვიტანე... თანაც, არ დაგავიწყდეთ, ყველაფერი უმაღლესი ხარისხის... კარბიურატორები ჩამოვიტანე, აკუმულატორები, ბოტასები, ხელსაწმენდები, საბეჭდი ქაღალღი ჩამოვიტანე ოცი რულონი, სიგარეტი „ლმ“-ი და სიგარეტი „მალბორო“, ჯინსები, აი, აქ, მოტკლეცილად რომ ჯღება, „ვარიონებს“ ეძახიან, ტუალეტის ქაღალღი, საბურავები, ვირთხის წამალი ჩამოვიტანე ჩინური, პატარ-პატარები, ვარდისფერი, კანფეტი გეგონება, ოღონდ არ უნდა შეჭამო - მოგკლავს... რძის ფხვნილი ჩამოვიტანე და კაკაო, შაქარიც ჩამოვიტანე, „ლიფჩიკები“ 0-დან 6 ნომრამღე, უფრო სწორად ექვსი ნომრის ჩათვლით, ფეხსაცმელები, ის რომ არის, სქელ ძირებზე, ახლა მოღაშია... ტრუსები, ტამპექსები, პერანგები ჩამოვიტანე უჯრედებიანი, პენუარები - ცისფერი და ვარდისფერი და ბოქსის ხელთათმანები, იაპონური ტელევიზორი ჩამოვიტანე, ჯიბეში ჩაიღებ ისეთია,

„ჟუვაჩკებიც“ ჩამოვიტანე, წამლები ანალგინი და დიმედროლი, აბაჟურები - მაგარ ინტიმს ქმნის, შტანგისტებისთვის შტანგები ჩამოვიტანე, რეფრეჟერატორები, კარბურატორები... კარბურატორები ხომ ვთქვი... ჰუჰ... (ოფლს შეიმშრალებს სახეზე, გაგრძელებას აპირებს, წამყვანი შეაწყვეტინებს)

წამყვანი (აღფრთოვანებული. ორივე ხელს გაშლის). აი, ჩამოტანაც ამას ჰქვია!

გენერალური სპონსორი. არა, გავაგრძელებ, მაცალე... კიდე ბევრი დარჩა...

წამყვანი. საკმარისია, საკმარისია... ახლა ამ კითხვაზე გამეცით პასუხი. თქვენს ძირითად ფირმას რამდენიადაც მე ვიცი „შავი არწივი“ ჰქვია. ხომ არ მეშლება?

გენერალური სპონსორი. არა, მართალი ბრძანდებით!

წამყვანი (იღიმება). მერე „შავი არწივი“ რამ დაგარქმევინათ, რამდენადაც ვიცი, არსებობს ველის არწივი, ასევე არსებობს მთის არწივი, თეთრი არწივიც არსებობს, მაგრამ ეს შავი არწივი რაღა არის, ვერ გავიგე... არწივი არწივია! ასე არ არის! შავი არწივი რა, ყვავია?!

გენერალური სპონსორი. რაღაც ვერ გაგიგეთ...

წამყვანი. გეხუმრები, გენაცვალე, გეხუმრები... გაიღიმე, აბა, გაიღიმე, გაიღიმე!..

(გენერალური სპონსორი გაიღიმებს. წამყვანი ხელს გადახვევს გენერალურ სპონსორს) ასე, გაიღიმოთ, არ სჯობია! (თავადაც გახსნის ბაგეს) სარეკლამო პაუზა!!! (ამ მდგომარეობაში რჩებიან ყველანი) სცენაზე წითელქუდა შემოდის.

სუფთა მეთოთხმეტე:

იგივენი, წითელქუდა და შემდეგ იოანე.

წითელქუდა (სიმღერით უახლოვდება სცენის ცენტრალურ ნაწილს).

წითელი ქუდი მახურავს,
სულსა და გულს უხარია.
ბებიკოს მოქსოვილია,
ბებიკოს ნაჩუქარია.

ბავშვებო, ბავშვებო! მგელი ხომ არ დაგინახავთ? მგელს ისეთი საშინელი კბილები აქვს, ისეთი საშინელი, რომ მისი კბილების გახსენებაზე ახლაც კი ვკანკალებ... (თითქოს შეაჟრიალაო) უუუ... იცით, რატომა აქვს საშინელი კბილები? თურმე სიგარეტს ეწევა და თანაც ძილის წინ კბილებს არ იხეხავს. ძალიან მალე შეიძლება სულაც უკბილოდ დარჩეს. მე კი, ნახეთ, რა კარგი, რა ჩაწიკწიკებული კბილები მაქვს (იღიმება. ლამაზ კბილებს გამოაჩენს) ხედავთ! იცით, რატომ?! იმიტომ, რომ ყოველ საღამოს, დაძინების წინ, ჯონსონ ბეიბის მარწყვის კბილის პასტას ვხმარობ... ო, რა სურნელოვანი, რა სასიამოვნოა, ჯონსონ ბეიბის მარწყვის კბილის პასტა!!! უთხარით დედიკოებს და ბებიკოებს, აუცილებლად შეიძინონ თქვენთვის ჯონსონ ბეიბი... ჰი, ჰი...

წითელქუდა ჩაიკუზება. ასე გაივლის მცირე მანძილს, შემდეგ სცენიდან გავა. როგორც კი წითელქუდა ჩაიკუზება, სცენაზე მკაცრი სახით შემოვა იოანე.

იოანე. მე ვარ იოანე, თქვენი ძმა და მოზიარე ჭირში და სუფევაში. ვიყავი კუნძულზე, რომელსაც ეწოდება პატმოსი და ზურგსუკანიდან შემომესმა დიდი ხმა, საყვირის მსგავსი. მივბრუნდი, რომ დამენახა ხმა, რომელიც მელაპარაკებოდა და მიბრუნებისას ვიხილე შვიდი ოქროს სასანთლე.

შვიდი სასანთლის შუაში ვიხილე მსგავსი კაცის ძისა, რომელსაც ემოსა მოსასხამი და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა.

მისი თავი და თმა თეთრი იყო, როგორც თეთრი მატყლი, როგორც თოვლი; თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი.

მისი ფეხები, როგორც მოელვარე სპილენძი, როგორც ქურაში გავარვარებული; მისი ხმა, როგორც ბევრი წყლის ხმაური.

მარჯვენა ხელში ეჭირა შვიდი ვარსკვლავი, მისი პირიდან გამოდიოდა ორლესული მახვილი; მისი სახე იყო როგორც მზე, თავისი ძალერებით მბრწყინავი.

როცა ვიხილე იგი, მკვდარივით დავეცი მის ფერხთით, მან თავისი მარჯვენა დამაღო და მითხრა: (ხანმოკლე პაუზა) თუმცა, რაც მითხრა, ეს მე და მან ვიცით, (სახე გაიმკაცრა) ჩემი მხრივ კი თქვენთვის მითქვამს - შეიძინეთ გენერალური სპონსორის მიერ ჩამოტანილი საქონელი... შეიძინეთ, თორემ!!!

(ჩაიკუზება. მცირე მანძილს ასე გაივლის. სცენიდან გავა. როგორც კი ჩაიკუზება, წამყვანი გამოცოცხლდება, გენერალური სპონსორი კი ღრმად ამოისუნთქავს და ოფლს შეიწმენდს სახეზე)

წამყვანი. მართლაც, მეგობრებო, შეიძინეთ გენერალური სპონსორის მიერ ჩამოტანილი საქონელი... თორემ ასე რა გამოვა...

გენერალური სპონსორი (საუბარში ჩაერია). აი, ზუსტად ჩემი სათქმელი თქვით... მართლაც, რა გამოვა ასე... (მხრებს აიჩეჩავს) რა ვიცი... შემიძლია კიდევ ბევრი დასახელება ჩამოგითვალოთ, ყველაფერი უმაღლესი ხარისხისაა...

წამყვანი. არა, არა, აღარ არის საჭირო, მე მგონი, ტელემაყურებელმა ყველაფერი ხუთიანზე გაგვიგო... გთხოვთ, დაბრძანდეთ...

გენერალური სპონსორი მხრებს აიჩეჩავს. სავარძლისკენ გაემართება.

წამყვანი. ახლა კი ისევ ქალბატონ ნანას, როგორც ხალხში ეძახიან სიყვარულით, ჩვენს კოჭლ ნანას მივუბრუნდეთ... დაატრიალეთ ჩიკორი, თქვენი რიგია.

კოჭლი ნანა ჩიკორს დაატრიალებს. წამყვანს გაულიმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამყვანი. მაშ, ჭერამი ტკბილი იყო, არა? (ისიც უღიმის)
კოჭლი ნანა. ერთობ...
წამყვანი. მე სულ აღარ დამიტოვეთ? (იცინის)
კოჭლი ნანა (ისიც იცინის). თქვენ სტუდიაში ბევრი გექნებათ კიდევ.
წამყვანი. მართალია, ჩვენი სტუდია ხომ ჯადოსნური სკივრია, რასაც ვინატრებთ, ყველაფერი ახდება... ო, ქალბატონო ნანა, თქვენ 700 ქულა გაქვთ... მაშ ასე, ასობგერა!..
კოჭლი ნანა. ა.

წამყვანი გაოცებული სახით შეაცქერდება კოჭლ ნანას.

წამყვანი (პაუზის შემდეგ). ა ხომ უკვე ითქვა, კაცო... რა დაგემართათ?! თუმცა, მივხვდი, მივხვდი, ეტყობა, ატამი მოგენატრათ, არა? ატამი სტუდიაში!!!
კოჭლი ნანა (შეაჩერებს). არა, არა, ატამი არ მინდა, შემეშალა, უბრალოდ... ბ-ს ვამბობ...
მორჩილი. პროტესტს ვაცხადებ...
წამყვანი (გამოცოცხლდა). აი, კონფლიქტური სიტუაცია... (მორჩილს მიეჭრა) რატომ აცხადებთ პროტესტს? თქვენი არგუმენტები მოახსენეთ ტელემაყურებლებს...
მორჩილი. მაგან ხომ უკვე თქვა ა.
წამყვანი. კი თქვა, ბატონო, ა, მაგრამ ეს ა ხომ თავიდან თქვენა თქვით, არა?! ასე არ იყო?
მორჩილი. მერე რა... ხომ თქვა ა. მეორედ რატომ უნდა თქვას...
წამყვანი. (ახლა კოჭლ ნანას მიუახლოვდა). ქალბატონო ნანა, თქვენ რა აზრისა ხართ? თქვენც გააგებინეთ თქვენი პოზიცია ჩვენს ტელემაყურებელს.
კოჭლი ნანა. ჩემს პოზიციას მე კი გაგაგებინებთ, მაგრამ ერთი კითხვა მაქვს, შეიძლება?
წამყვანი. ბრძანეთ.
კოჭლი ნანა. ეს მორჩილი თქვენმა კომპიუტერმა შეარჩია? (გაბრაზებული გახედავს მორჩილს)
წამყვანი. დიახ...
კოჭლი ნანა. ძალიან აგრესიული მორჩილი შეურჩევია... პირადად მე შემიძლია კომპრომისზე წასვლა. ჩავთვალოთ, რომ მორჩილი მართალია... შეცდომას აღიარება უხდება... (მორჩილისკენ) თქვენ მართალი ბრძანდებით... (გაუღიმებს...)
მორჩილი (ამ ღიმილისგან იშმუშნება). თუ თამაშია თამაში იყოს...
წამყვანი. აი, მესმის! საკუთარი შეცდომის აღიარებაც ასეთი უნდა... ეს თქვენ მხოლოდ ღირსებასა გძენთ, ქალბატონო ნანა...
კოჭლი ნანა. მეც ასე ვფიქრობ, ადამიანები ვართ, შეცდომა ვის არ მოსვლია, არაფერი ადამიანური კონკრეტულად ჩემთვის და ზოგადად ჩემი პარტიისთვის უცხო არ არის... არის ასეთი პარტია!!!
წამყვანი. ბრავო, ბრავო... იქნებ მოახლოებულ საარჩევნო კომპანიაზეც გვითხრათ რამე... თქვენთან ურთიერთობის ამ უნიკალურ შანსს ჩვენი სტუდია ხელიდან ვერ გაუშვებს...
კოჭლი ნანა. მოგახსენებთ... ჩემო კეთილო, ჩემო ძვირფასო ტელემაყურებლებო, ჩემო ხალხო! თქვენი თვალით ხედავთ, რომ, რაც თქვენა გჭირთ, მეც იგივე დღეში ვარ... გავწამდით პირდაპირ, ეკოლოგიურად ფეთქებადსაშიში სიტუაციის გამო... მეც და ჩემი პარტიაც ამ სიტუაციის გამოსწორებისთვის ვიბრძოლებთ... ბევრს ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ ძალასა და შემართებას რომ არ დავზოგავთ, ამის პირობას კი გაძლევთ... მე არ მიყვარს ტყუილი დაპირებები, ბევრს რომ შეგპირდეთ და გითხრათ, ხვალვე გამოვასწორებ-მეთქი ამ ფეთქებადსაშიშ სიტუაციას, ხომ არ ვიქნები მართალი. მე კი უფლება არა მაქვს, ჩემი ხალხი მოვატყუო... საერთოდაც არ მიყვარს ტყუილი, ხომ იცნობთ კოჭლ ნანას... კოჭლ ნანას ტყუილი არ უყვარს... აი, ასე... მოკლედ ეს შემიძლია გითხრათ... და კიდევ, იცით, რა?! ერთი ჩემი ოცნება მინდა გაგიმხილოთ... (წამყვანს მოხედავს) შეიძლება?!
წამყვანი. მაგას რაღა თქმა უნდა, ბრძანეთ!..
კოჭლი ნანა. მე ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც ადამიანები იმდენად გათავისუფლდებიან ამ გამუდმებული შიშისგან, რომ პარტიის ხელმძღვანელებს, ანუ ლიდერებს, დასხამენ თუნდაც ასეთ სტუდიაში და სიტყვებს კი არ წარმოათქმევინებენ ან პარტიის პროგრამაზე კი არ ალაპარაკებენ, არამედ... (წამყვანს მოხედა) აბა, თუ გამოიცნობთ რაზე ვოცნებობ, რას დაურიგებენ ლიდერებს სტუდიაში?
წამყვანი. არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი... ჭერამს ხომ არა?!
კოჭლი ნანა. არა... (ხანმოკლე პაუზა) მუსიკალურ საკრავებს. თქვენ ხედავთ ამ სურათს? წარმოიდგინეთ, რა ჰარმონიული საარჩევნო კამპანია იქნებოდა... პირადად მე ამ დღეზე ვოცნებობ...
წამყვანი. გადასარევი აზრია, ქალბატონო ნანა, გაქვთ რაიმე მუსიკალური განათლება მიღებული?
კოჭლი ნანა. არასრული, არასრული... მუსიკალურ ტექნიკუმში ვსწავლობდი... მერე პოლიტიკამ გამიტაცა...
წამყვანი. ეს ჩემთვის სიახლე იყო... მაინც რა საკრავზე უკრავთ...
კოჭლი ნანა. ცოტ-ცოტას ვცოდვილობ, იცით... როიალზე შემიძლია... სხვათა შორის, საქსაფონზეც შემიძლია... ისე კი, ძირითადად, არფაზე ვუკრავ...
წამყვანი. შესანიშნავია, ფენომენალურია! სიახლე! სიახლე! კოჭლი ნანა არფაზე უკრავს... საჩქაროდ, ამწამსვე, აბა, არფა სტუდიაში!!!

წამყვანის თანაშემწე ქალს არფა შემოაქვს. გამოსაჩენ ადგილას დადგამს.

წამყვანი. გთხოვთ, ქალბატონო ნანა!
კოჭლი ნანა (თავპატიჟს იდებს). ასე მოუმზადებლად?..
წამყვანი. გვეცით პატივი... მილიონობით ტელემაყურებლის გულის გასახარად!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. რა გაეწყობა, რაკი მთხოვთ... (ინსტრუმენტისკენ გაემართა)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. გთხოვთ კი არა, მუხლებზე დაგიჩოქებთ, ისე გთხოვთ...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. არა, არა, მუხლებზე ნუ დამიჩოქებთ, მთლად დემოკრატიული არ იქნება, შუასაუკუნეები ხომ არ არის... სხვათა შორის, არც მეოცე საუკუნეა... ისედაც დავუკრავ... (არფას მიუახლოვდა, სკამზე ჩამოჯდა, პროფესიული ჟესტით დაიკაპიწა ხელები. სიმებს შეეხო... წამყვანს მოხედა) აწყობილი არფა ვერ მოიტანეთ?!

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. მომიკვდეს თავი, ასაწყობია?

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. არა უშავს, ახლავე ავაწყობ... ორი წუთის საქმეა... (ისევ სიმებს ჩამოჰკრა ხელი. ერთხანს არფას აწყობს. უეცრად ჭაღისკენ ააპარებს თვალს)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რაშია საქმე, გთხოვთ?!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ (წამოდგა). არა, ახლა არ შემიძლია...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რატომ, ქალბატონო ნანა, რამენი ტელემაყურებელი შემოგცქერით, ძალიანა გთხოვთ, რა!!!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ (გამწარებით). არ შემიძლია, ბატონო, მიწისძვრის სინდრომით ვარ დაავადებული, გამიგებს მე ჩემი ხალხი, რაც იმას ჭირს, მეც იგივე დღეში ვარ... (თავის აღგილს დაუბრუნდა)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რა გაეწყობა, დროებით გადავდოთ მუსიკალური ნომერი. ისე კი, ნურაფრის შეგეშინდებათ, არავითარი ჭაღი არ ქანაობს... მოეჩვენა კოჭლ ნანას... (დარბაზისკენ) ქალბატონო! მოეჩვენა-მეთქი, მოეჩვენა, მიწისძვრის სინდრომითაა დაავადებული... ავად არის, ავად და იმიტომ მიაჩერდა... ქალბატონო, რას მისჩერებიხარ-მეთქი ჭაღს. ქმარ-შვილი არა გყავს? ჰოდა, რომ გყავს, ქმარ-შვილს მიხედე, შენი ქმარ-შვილი ცისფერ ეკრანს უყურებს... ფოკუსი განახო? თუმცა, ხომ განახე უკვე ფოკუსი... თუ გინდა, მატარებელს გავცინებ... უყურე! უყურე, ქალბატონო, უყურე... ჯერ იღვიძებს... (ნელ ტემპში ამბობს) ჩუქუ, ჩუქუ... მერე თითქოს გაიზმორა, (უფრო სწრაფ ტემპში) ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ... მერე აიღო ტემპი და შეუბერა... (სწრაფ ტემპში) ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ, ჩუქუ... კუ, კუ!.. მივადექით ჩვენს მორჩილს (დარბაზისკენ). აი, ასე... მე მიყურე, არ წაადგე. (მორჩილს მოხედა. დააკვირდა.) რატომა გაქვს ასეთი სახე?

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ბატონო?

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. სახე რატომა გაქვს-მეთქი ასეთი. ვის უბრაზდები?

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. არავის არ ვუბრაზდები...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რა ვიცი, რაღაცა იბღვირები უშნოდ და... თანაც ეს მუწუკები რა არის, ბიჭო, რა... მოდი აგერ გენერალურ სპონსორთან, მაგან ჩამოიტანა მაგისი წამალი. იბერება სხვათა შორის... (გენერალურ სპონსორს გასძახებს) ხომ ჩამოიტანე?!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. კი, როგორ არა, უნდა ვინმეს?!

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. როგორ არ უნდა, შეხედე, რა სახით მიყურებს.

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ (სახეზე შეივლო ხელი, ბრაზდება). რა სახით გიყურებ, ჩვეულებრივი სახით გიყურებ...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ჰოდა, თუ ჩვეულებრივი სახით მიყურებ, დაატრიალე მაგ ჩიკორი...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. (თვალები აენთო. წამყვანს მიაჩერდა). აჰა, დავატრიალე... (მართლაც დაატრიალა)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ნახე, ნახე, კაცო!!! შეხედე ერთი, რა თვალებით მჭამს... რა იყო, სამკუთხედად ხომ არ აღმიქვამ...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. სამკუთხედად რატომ უნდა აღგიქვა... (მისჩერებია)

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რა ვიცი, აბა, სამკუთხედი დაბა-დასახლებაო, გაიძახი... სამი კუთხე თუ გაამაგრებს ერთმანეთს, ოთხი კუთხე რატომ ვერ გაამაგრებს ვითომ... ოთხკუთხედი დასახლება რომ გავაკეთოთ, რა უჭირს, არის განსხვავება?!

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ (თვალს არ აშორებს, ბრაზიანად). არის!

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რა განსხვავებაა, ბიჭო, რა ტვინს უმღვრევ ამ ხალხს...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. რა განსხვავებაა და ის განსხვავებაა...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. რა განსხვავებაა-მეთქი მაინც, მიპასუხე!

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ძალიანაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა... სამი კუთხე უფრო მყარად ჯდება ერთმანეთში, გაიგე?!

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ (ჩიკორს შეხედა). ვერაფერიც ვერ გავიგე... მაგრამ, მეგობრებო, ძვირფასო ტელემაყურებლებო, სექტორი არჩევანი არ გაარტყა ამ მორჩილმა, კაცო! სექტორი არჩევანი!!! რეალური შანსი მფრინავი ავტომობილის მოგებისა... ჰა, იღბალიც ამას ჰქვია... ყუთები სტუდიაში!!! (წამყვანის თანაშემწეს ორი ერთნაირი ყუთი შემოაქვს.) აბა, არჩევანი შენზეა, შე ინჟინერ-დამპროექტებელო, შენ... (იღიმება) ერთ-ერთ ყუთში მფრინავი ავტომობილის გასაღები დევს. მეორეში, მოგეხსენებათ, მუყაოსაგან გამოჭრილი ბრანწი. მარჯვენა თუ მარცხენა?! მარჯვენა თუ მარცხენა?! ჰე, მიდი, შენ იცი, ასე ახლოს მიზანთან არავინ ყოფილა... აქედან პირდაპირ შეგიძლია გაფრინდე... თან, არ დაგავიწყდეს, წყალშიც დაცურავს, კატერივით... ჰე, მარჯვენა თუ მარცხენა?!

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ (ყუთებს მისჩერებია. პაუზის შემდეგ). შეიძლება ხელები დავადო?

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. კი, ბატონო.

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ (ორივე ხელს დააოდებს ყუთებს. თვალებს დახუჭავს. პაუზის შემდეგ) ... მარჯვენა.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ხომ არ გეშლება, იქნებ მარცხენა?

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. არა, მარჯვენა.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. დარწმუნებული ხარ?

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. კი, მარჯვენა მინდა...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ჩვენი თამაშის წესებიდან გამომდინარე, მე შემიძლია გევაჭრო, ასე არ არის? ან მიიღებ, ასე ვთქვათ, ბრანწს, ან მიიღებ მანქანას და ან კიდევ ფულს... ესე იგი, შენ აირჩიე მარცხენა...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. არაფერიც, მე მარჯვენა ავირჩიე...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. უკაცრავად... ესე იგი, მარჯვენა... აი, ამ ყუთში მე შენ გაძლევ მილიონს. ნულარ ვივაჭრებთ, ჩაიდე მილიონი ჯიბეში და იალა... თავისუფალი ხარ...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. არა, ყუთი გავხსნათ...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ბიჭო, კაცი არა ხარ? ჩაიდევი მილიონი და შეირგე კაცურად... ჯანდაბას შენი თავი, მილიონნახე-

ვარი იყოს, მეტი რა გინდა...
მორჩილი. ყუთი გახსენი...
წამყვანი. ორი!
მორჩილი. რა, ორი?!
წამყვანი. რა ორი და ის ორი... ორი მილიონი... იცი, რამდენია? შეიძლება აქ ბრანწიც დაგხვდეს, ხომ იცი?
მორჩილი (შეყოყმანდა). ცოტა მოუმატე და დავფიქრდები...
წამყვანი. აზარტული მოთამაშეა, სხვათა შორის, არა, ძვირფასო ტელემაყურებლებო?! მაგრამ არა უშავს, მოვუგრეხავთ კისერს, მეც ვიცი ვაჭრობა... ვერ მოვუმატებ, გენაცვალე, ან ის, ან ეს...
მორჩილი (ბრაზიანად შესცქერის). ფული კი არა, შენ რომ ჭკუაში მაჯობო, ის არ მინდა, გახსენი!..
წამყვანი ვხსნი...
მორჩილი. არა...
წამყვანი. რა, არა...
მორჩილი. ფული...
წამყვანი. ისე, სხვა მხრივ რომ შეხედოს კაცმა, შეიძლება რაღაც საცოდავი ორი მილიონის გამო მფრინავი ავტომობილი დაკარგო... ეხუმრები მფრინვ ავტომობილს? თან წყალშიც დაცურავს, ტრასაზეც მიქრის... ესე იგი, ფული!
მორჩილი. ჰო, ფული...
წამყვანი. დავიძახო, ფული სტუდიაში?
მორჩილი. არა...
წამყვანი. აბა რა ვქნა...
მორჩილი. ყუთი გახსენი.
წამყვანი. გავხსნა?
მორჩილი. ჰო, გახსენი...
წამყვანი. დარწმუნებული ხარ?
მორჩილი. გახსენი-მეთქი, ნერვებს ნუ მიშლი...
წამყვანი. (ოდნავ ასწევს ყუთის თავსახურს). მეგობრებო! თქვენ ყველანი მოწმენი ხართ იმისა, რომ ჩვენს მორჩილს ორ მილიონს ვთავაზობდი, მან კი ყუთის გახსნა ინება. გავხსნათ ყუთი... (ყუთიდან ბრაწს ამოიღებს) აი, თქვენი პრიზი!
მორჩილი. დაგხოცავთ, თქვენი!!! (უბიდან მაუზერი გააძრო. ისე უჭირავს იარაღი, როგორც ამერიკულ კინოებში გვინახავს. მუხლებში ოდნავ მოხრილი აქეთ-იქით აბრუნებს ლულას. ყველანი იატაკზე წვებიან. წამყვანი გახოხდა. მორჩილი მას ეძებს). მე მაშაყირებ, არა? სად მიხოხავ, გამოეთრიე აქეთ... არიფი მნახა თავის ჭკუით...
წამყვანი (უკვე სცენის კუთხეშია). არ ისროლო, ბიჭო, ცოდვა არ დაიდო!.. სარეკლამო პაუზა! პაუზა! პაუზა!!!

სურათი მეთხუთმეტე

იგივენი, წითელქუდა, იოანე, დონ კიხოტი.

სცენაზე დონ კიხოტი, წითელქუდა და იოანე შემოვლენ. იოანეს მკაცრი სახე აქვს. სცენის ცენტრალური ნაწილისკენ გამოსწევენ. მომხდარ არეულობას თავიდან ვერ ამჩნევენ. წამყვანი მათი გამოჩენით ისარგებლებს და სცენიდან ფორთხვით გავა. მორჩილი კვლავ აქეთ-იქით ატრიალებს იარაღს, ისიც ღაბნეული ჩანს, არ იცის, რა ქნას.

იოანე (მკაცრი სახით). ვიხილე სხვა ანგელოზი. ძლიერი, ციდან ჩამომავალი, თავზე ცისარტყელით; მისი სახე იყო, როგორც მზე და მისი ფეხები, როგორც ცეცხლის სვეტები.

მარჯვენა ფეხი ზღვას დააბიჯა, ხოლო მარცხენა მიწას. დაიძახა დიდი ხმით, როგორც ლომი ღრიალებს და, როდესაც დაიძახა, თავ-თავისი ხმით ალაპარაკდა შვიდი ქუხილი.

ანგელოზმა კი, რომელიც ვიხილე ზღვასა და მიწაზე მდგომი, ცისკენ აღაპყრო თავისი მარჯვენა ხელი და დაიფიცა უკუნითი უკუნისამდე, რომ აღარ იქნება დრო. შემდეგ კი მომხედა და მითხრა... (ხანმოკლე პაუზა) თუმცა, რაც მითხრა, ეს მე და მან ვიცით, ჩემის მხრივ კი დავსძენ; გაღაეცით ყველას, სასწრაფოდ შეიძინონ გენერალური სპონსორის მიერ ჩამოტანილი საქონელი, შეიძინონ, თორემ...
წითელქუდა. იოანე, იოანე, ჩვენმა გენერალურმა სპონსორმა, თუ იცი, ჯონსონ ბეიბის მარწყვის კბილის პასტა ხომ არ ჩამოგვიტანა?
იოანე. რა თქმა უნდა, ჩამოგვიტანა...
წითელქუდა. ჩამოუტანია, ბავშვებო, ჩამოუტანია, რა კარგია! ჰი, ჰი...
დონ კიხოტი. იოანე, სუნამო „ტურბულენსი" ჩამოგვიტანა?
იოანე. სუნამოც ჩამოგვიტანა.
დონ კიხოტი. სუნამო „ტურბულენსი" ცხადად გაგრძნობინებთ მოხეტიალე რაინდის საყვარელი ქალის სიახლოვეს. შეიძინეთ თქვენი სასურველისთვის სუნამო „ტურბულენსი..." ო, ღულსინეა! (მიიხედ-მოიხედა) - რა ხდება?
მორჩილი. ვინა ხარ შენ, ვინ!!!
დონ კიხოტი. მე მომმართავთ?!
მორჩილი (იოანესკენ). იმას, იმას!!! ვინა ხარ-მეთქი...
იოანე (იბნევა). მე?! იოანე ვარ...
მორჩილი. მერე, იოანე რომ ხარ, არ იცი, გამოცხადებიდან არც არაფერს რომ არ უნდა მოუმატო და არც არაფერს მოაკლო?!
იოანე (აღელდა). არა, მე ხომ არტისტი ვარ, გენაცვალე! ჩემი როლია, გამიგე?! პურს ამითა ვჭამ...
მორჩილი. მოგივლით მე თქვენ ყველას... თქვენი ცოდვებით გვჭირს, რაც გვჭირს... დაწექით იატაკზე, ჩქარა!!!
წითელქუდა. დავწვეთ, დავწვეთ!!! (წვება. იოანეც დაწვა).
დონ კიხოტი. ყმაწვილო, თქვენის მხრივ, მე მგონი, ვერაფერი დიდი ვაჟკაცობაა ხალხის აგრე აბუჩად აგდება... მე უარს ვაცხადებ დაწოლაზე... (ამაყად შეიმარჯა. მკერდი მიუშვირა. თვალებს ხუჭავს)
მორჩილი. კიდევ მე გიგდებთ აბუჩად, არა?! მე გიგდებთ აბუჩად?! რა იცით, თქვენ ჩემზე? არაფერი არ იცით... გამოხეული შარვლით დავდიოდი სკოლაში... მამაჩემს, მაგისი ღედა მ....ნ მე, არც შვილი ახ-

სოვდა და არც არაფერი... ოღონდ ჩამსკდარიყო სადმე... დედაჩემიც კარგი ვინმე იყო... დედა არა, ისა... მიმაგდეს საღღაც... თავიდან მომიშორეს... ჩემი კლასელები ჩაეხუტებოდნენ ერთმანეთს და ცეკვავდნენ ჭიპი-ჭიპზე მიკრულები... მე იმის ფიქრში ვიყავი, უკანგამოხეული შარვალი არ გამომჩენოდა როგორმე... წეროს მეძახდნენ, მაშაყირებდნენ... არ მახსოვს, ჩემი შარვალი მღირსებოდეს... სულ ვიღაცის გამონაცვალი მეცვა... კოჭს ზემოთ მქონდა შარვლის ტოტი და დაუკემსავი წინდები მიჩანდა... მე გიგდებთ, არა, კიდევ აბუჩად... გაგინათებიათ აქაურობა, გაგიკაშკაშებიათ. იქცევა ქვეყანა, წალეკა თქვენმა ცოდვებმა... სად არის ის წამყვანია თუ ვიღაცა ნაბიჭვარი... რატომ დამცინა სამკუთხედ დაბა-დასახლებაზე... თქვენთვის ვწვალობ, თქვენთვის ვზრუნავ, ეს კიდე ბრანწს მაძლევს აქ... ბრანწი შენთვის გქონდეს! არავითარი გასაბერი ქალი არ მჭირდება მე... ღვთის გზაზე ვარ შემდგარი... ისიც დანამდვილებით ვიცი, ნოეს კიდობანი სად არის... გამინათა ღმერთმა გონება და გამოვთვალე... დასაცინი ვარ? დასაცინები თქვენა ხართ, თქვე უბედურებო!!! კარს მიღმა რომ დარჩებით ყველა, მერე ნახავთ, ვინც არის დასაცინი... არ იყო ინკვიზიცია მართალი? ხომ ყოფილა თურმე მართალი... რასა ჰგავს, აბა, დღევანდელი ჩვენი ყოფა... პროგრესულ აზრს ახშობდაო, ყველაზე პროგრესული, მე თუ მკითხავ, ინკვიზიცია იყო... გაიგოს ყველამ, მე აღმოვაჩინე ბიბლიაში კოდირებულად გაცხადებული ხსნის გზა... მე ვითხოვ საეთერო დროს და მოქმედების სრულ თავისუფლებას, სხვანაირად ეს პლანეტა განწირულია... (თავისი მონოლოგის დროს სცენის იმ კუთხისკენ გამოსწია, სადაც გენერალური სპონსორი იწვა).

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (პანიკაში). არ გეგონოს, ბიჭო, ფული მქონდეს. მე ნუ ამიყვან მძევლად, არა მაქვს ფული, მიდი აგერ, გამნათებელს კითხე თუ გინდა, დღეს ვესესხე პურის ფული... არ დამიობლო ცოლ-შვილი, საქონელი წაიღე თუ გინდა, მანიც ვერ ვასაღებ... მოაშორე, ეგ მაუზერი...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ხმა!!! არავის სჭირდება არც თქვენი ფული და არც თქვენი მფრინავი ავტომობილი... მე სხვა მოთხოვნები მაქვს...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ (ერთ-ერთ სარეკლამო დაფას იყო ამოფარებული. თავს გამოაჩენს). ტერორიზმი, ძვირფასო ტელემაყურებლებო, ტერორიზმი ჩვენი საუკუნის მოურჩენელი სენია... აი, ასეთი პროფესია გვაქვს... ორგანიზებული ტერორიზმი შუასაუკუნეებიდან იღებს სათავეს. ჯვაროსნული ლაშქრობებიდან შემოგვრჩა ცნობები ასასინებზე, დიდად სისხლისმსმელი ხალხი ყოფილა, ფანატიკოსები. და აი, ჩვენი სტუდია მე მგონი, ერთ-ერთი მათი ნაშიერის ხელშია, დარჩით ჩვენთან, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ეს კიდევ ბევრს ლაპარაკობს!!! გამოეთრიე აქეთ!!! გამოდი ერთი, დამენახე, განახებ მე შენ, როგორ უნდა შაყირი...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. გამოსვლით ვერ გამოვალ, მაგრამ ბოდიშს მოგიხდი, თუ გინდა... ბოდიში!

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. თქვენთვის შეინახეთ თქვენი ბოდიშიც, ხელის ჭუჭყიც, ფულს რომ ეძახით და ის ჟანგიანი რკინის ჟეშტიც, დაფრინავსო რომ ამბობ... ფრენით ის იფრენს სასუფეველში, ვინც მე გამომყვება, მაგრამ ისე გაქვთ გონება ამღვრეული, ცოტა თუ არ შეგაყანყალათ კაცმა, ვერაფერს ხვდებით... ამიტომაც მივმართავ უკიდურეს ზომას. მაშ, ასე... მოთხოვნები! - პირველი...

(ხანმოკლე პაუზა. მორჩილი ჯერ იატაკზე დაიხედავს, შემდეგ ნელ-ნელა, შიშით ააპარებს თვალს ჭაღისკენ. სახეზე თანდათან ეხატება შეძრწუნება. ხელებს ჩამოყრის) იძრა! აი, ჭაღიც ქანაობს! იძრა!..

გენერალური სპონსორი ამ შესაძლებლობით ისარგებლებს. იარაღს გამოსტაცებს მორჩილს. ერთს მაგრად მიარტყამს კიდეც... მორჩილი მოიკეცება. მაინც ჭაღისკენა აქვს თვალი.

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. ვერა ხედავთ, ქანაობს...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ (ჭაღს ახედა). ქანაობას განახებ მე შენ... (ცხვირსახოცით შეიმშრალა სახე. თავში წაუთაქა მორჩილს) კინაღამ არ დამიობლა ცოლ-შვილი ამ ლაწირაკმა, აღექით, განვაიარაღე... (ისევ შეიმშრალა სახე) სად არის პოლიცია! (ერთხელაც წაუთაქა)

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲔ. ცემა რა საკაღრისია... ყმაწვილი მიწისძვრის სინდრომითაა დაავადებული... შევუნდოთ, ჯერ ხომ ასე ახალგაზრდაა!!!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. რა უნდა შევუნდო, ამხელა კაცი მიწაზე გამაგორა, გენერალური სპონსორი მაინც არ ვიყო... ახლავე პოლიციაში ვუკრავ თავს...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲔ. მენდეთ, პატივცემულო გენერალურო სპონსორო, ამ ყმაწვილზე მე ვიქნები თავდები, რა რთული ბავშვობა ჰქონია, ჩემზე ძლიერ იმოქმედა მისმა ნაამბობმა... ხომ განვაიარაღეთ, განიარაღებული რას იზამს...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ. მაუზერი უნდა დამიბრუნოთ...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. აი, ბატონო, თქვენ კიდევ თავდებში უდგებით... (ერთხანს დააკვირდა მორჩილს. ისევ წაუთაქა) აი, შენ მაუზერი...

ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ (გამწარებით. თითქოს საღაცაა იტირებსო). სათამაშოა, სათამაშო... მართალს რომ ჰგავს, მართალი კი არ არის... მომეცი ჩემი მაუზერი, ბიძაჩემის ნაჩუქარია... ცხოვრებაში ერთხელ მაჩუქეს რაღაცა... მაგ სათამაშოს ჩავიხუტებდი და ისე ვიძინებდი ბავშვობისას... ერთხელ ვნახე მარტო ბიძაჩემი, მაჩუქა ეგ სათამაშო მაუზერი და ისევ წავიდა საღღაც... სამასოვრო საჩუქარია... ერთხელ მაჩუქეს ცხოვრებაში რაღაცა...

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲔ (გენერალურ სპონსორს). მიბოძეთ მაუზერი... (იარაღს დახედავს) - მართლაც სათამაშო ყოფილა. აჰა, ყმაწვილო... (გაუწვდის) მეორეც ასეთი რამ აღარ ჩაიდინო, იცოდე, თავდებში მე გიდგები... (გენერალურ სპონსორს) ბალღია, შევუნდოთ აღამიანურად და მოვრჩეთ ამ არასასიამონო ინციდენტზე საუბარს - ნუ გავწირავთ ყმაწვილს...

წამყვანი (სცენაზე გამოჩნდა). მართალია ჩვენი რაინდი, მეტი გულისხმიერება, მეტი გაგება, მეტი თანადგომა სჭირდება ახალგაზრდობას...

ბენერალური სპონსორი (ხელს ჩაიქნევს). რაც გინდათ, ის გიქნიათ, ნამდვილი რომ ყოფილიყო, თქვენ გგონიათ, ასე იოლად გადავრჩებოდით!.. (სავარძელში ჩაჯდა)

წამყვანი (მორჩილს). წადი, დაიკავე შენი ადგილი!

მორჩილი (თავდახრილი. ბრაზით ამბობს). ბრანწი შენთვის გქონდეს...

(თავისი ადგილსკენ გაემართა)

წამყვანი (თვალი გააყოლა). მართლაც რომ ბალღია; თამაშია, ბიჭო, თამაში! შოუა, შოუ!.. ჰმ... სამკუთხედი სოფელი... მრგვალი არ გვეყოფოდა, ახლა სამკუთხედი მომინდომეს!..

კოჭლი ნანა (კაბას იფერთხავს) - აი, ახლავე, სახალხოდ ვითხოვ შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას. ტეროორისტები ასე არ უნდა პარპაშებდნენ ტელესტუდიებში... დაგვაწვინა აქ....

ტელეფონის ზარი. წამყვანის თანაშემწე ყურმილს აიღებს.

წამყვანის თანაშემწე. დიახ... სავალუტო-საკრედიტო ფონდიდან? ერთი წუთით! (კოჭლი ნანასკენ) ქალბატონო ნანა, თქვენ გთხოვენ!

კოჭლი ნანა. გადაეცი, ახლახანს გავიდა-თქო... კითხე ისე, მაგათაც აყანყალებთ?

წამყვანის თანაშემწე. ახლახანს გავიდა, იცით!.. თქვენთანაც იგრძნობა ბიძგები? ჩვენთან მაგრად იგრძნობა...ნახვამდის... (ყურმილი დადო) კი, გვაყანყალებსო...

კოჭლი ნანა. რა არის, რა ღვთის რისხვაა...

მორჩილი. ჩვენ კიდე ცასა და მიწას შორის გამოგკიდეს, ამ სიმაღლეზე... პირველ სართულზე არ შეიძლებოდა პავილიონის გაკეთება?!

კოჭლი ნანა. გაჩუმდი, ბიჭო!.. ამოიდგა ენა...

ვეტერანი ქალი. უკაცრავად, მაგრამ მე ქალაქის დასახელება ვიცი... აი, ახლა გამახსენდა...

წამყვანი. რაო! ქალაქის დასახელება ვიცი!!! ბრძანეთ მერე, რას უდგეხართ, ბრძანეთ!!!

ვეტერანი ქალი. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ქალაქ ტაშკენტში მოხდა საკმაოდ მნიშვნელოვანი მიწისძვრა... დიახ, ტაშკენტი უნდა იყოს...

წამყვანი. ტაშკენტი... სწორედაც რომ ტაშკენტი... აბსოლუტურად მართალია ჩვენი მხცოვანი ქალბატონი... გილოცავთ, მივესალმოთ გამარჯვებულს!..

მორჩილი. პროტესტს ვაცხადებ...

წამყვანი (მოხედა). რა იყო, ბიჭო, რას გადამეკიდე. რა სულ პროტესტს აცხადებს... არ შემჭამა, კაცო!

მორჩილი. პროტესტს ვაცხადებ... თამაშის წესებით, ბრანწის მერე ერთი შანსი კიდევ მქონდა... ის არ მეყოფა, ბრანწი რომ მივიღე?!

კოჭლი ნანა. ეს კიდე თამაშის წესებს ეკითხებოდა თანაშემწეს... ყველაფერი ზეპირად სცოდნია...

მორჩილი. რა, ხომ არ მეშლება, ასე არ არის? (წამყვანს)

წამყვანი. მერე, ცოტა აღრე ვერა თქვი?! გამოგვრჩა, ბატონო, ვერ გაგვახსენე? რა ვუყოთ ახლა ამ ქალბატონს... გეთქვა ცოტა აღრე, ბიჭო...

მორჩილი. რა ვიცი, მეუხერხულა...

წამყვანი. მაუზერი რომ დააძრე, ის არ გეუხერხულა?

მორჩილი. მაუზერი სათამაშო იყო...

წამყვანი. რა ვქნათ ახლა, დიდ ბოდიშს ვიხდი ვეტერან ქალბატონთან, მაგრამ...

წამყვანის თანაშემწე. არაფერი შეგეშალოთ! თუ ასე მიდგა საქმე, ახლა მე ვაცხადებ პროტესტს!!! დიახაც!

წამყვანი (მაყურებლებისკენ გაიხედავს). ვაიმე, შინაგან საქმეთა ლობა დაიწყო...

წამყვანის თანაშემწე ქალი. დიახაც, დიახაც და დიახაც... რა არის, ბოლოს და ბოლოს, მოხუცებული ქალი რომ არ დაჩაგროთ, არ შეგიძლიათ? საერთოდ, რასა ჰგავს აქაური წესი და რიგი, რა დღეში ვართ ქალები, ვერ ხედავთ? სულიერი დეპრესიის ნიშნები მაქვს უკვე, აღარ ვიცი, რა გზას დავადგე, შენ კი მათრევინებ აქ ამხელა რაღაცებს (წამყვანს მიმართავს) - არფა სტუდიაში! - ჭერამი სტუდიაში, - პრიზები სტუდიაში... ბაზარში მე დავდივარ, ბატონო, ამსიმძიმე არფებს მე დავათრევ, თან სულ ფორმაში უნდა ვიყო, შენ კი დაბრძანებულხარ სამზარეულოში, მიგიდგამს ჭიქა ჩაი, გადაგიდევს ფეხი ფეხზე და, ერთი თუ შემომცინე, იმაზეც მადლობელი უნდა ვიყო, არა? აღარ მინდა ასეთი უაზრო ცხოვრება, რაღაცა კარგი საქმე მინდა ვაკეთო, კარგი და საჭირო საქმე... ავდგები და აქტიური მიწისძვრის ზონაში გავემგზავრები, რამდენი დაჭრილ-დასახიჩრებულია, ქე მაინც გასახსენებელი მექნება სიბერეში, რაღაცა კარგი საქმე გამიკეთებია-მეთქი... მე მაწუხებს ქალთა ბედი ღღევანდელ საზოგადოებაში. დიახაც... წითელქუდა, შენ ვისკენა ხარ?

წითელქუდა. რა თქმა უნდა, ქალებისკენ... მე რომ ცხოვრება მაქვს, იმას ცხოვრება კი არა, არც ვიცი, რა დავარქვა... თითქოს სარაინდო რომანების მუდმივი რადიომსმენელი ვიყო, ქალებისკენ ვარ, აბა, ვისკენ ვიქნები...

ორივენი ვეტერან ქალს მიუახლოვდებიან. აქეთ-იქიდან დაუდგებიან. ვეტერან ქალს ცრემლი ადგება თვალზე, ორივეს ხელს გადახვევს.

ვეტერანი ქალი. ჩემო ძვირფასებო, ჩემო გვრიტებო! აი, ახლა მივხვდი, რაშიცაა საქმე. იოანემ რომ ბრძანა, დრო აღარ იქნებაო... აღარ არის დრო... განა ეს წითელქუდა და ეს ბალზაკის ასაკს მიახლოებული ქალბატონი მე არა ვარ?.. ხედავთ, როგორ ცოცხალი აღამიანებივით დადიან?.. დრომ სამივენი ერთ სიბრტყეზე დაგვაყენა... აი, ამას ჰქვია უღროობა... ჩემო ლამაზებო, ჩემო გვრიტებო...

კოჭლი ნანა (შეაფასა არსებული სიტუაცია. გადაწყვეტილება მიიღო). ჩაიწიე იქით, შე მტარვალო,

მეც ქალებთან მიმიშვი... (ძალით ჩასწევს მორჩილს. ქალების გვერდით დადგება)

ᲓᲝᲜ ᲥᲘᲮᲝᲢᲘ. თუ ასეა, მეც თქვენი ღირსების დამცველი ვიქნები, რაინდი ხომ გჭირდებათ? იოანე, შენ საით?

ᲘᲝᲐᲜᲔ. მე აქაურ ამბებს გამარიდეთ, ნუ გამრევთ...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. არავითარი რაინდი არ გვჭირდება!.. ჩვენს პარტიულ რიგებში უმკაცრესი კონტროლია... ჩვენ ვზრუნავთ პარტიის სიწმინდისთვის, დიახაც, ახლა განახებთ, რას ჰქვია პარტიული ბრძოლა... სამყაროს ერთი ნახევარი ღაუპირისპირდება მეორე ნახევარს და ნახავს ის მეორე ნახევარი, რამხელა ძალას წარმოვაღგენთ ქალები... ჩვენ შევიკვრებით ერთ მუშტად და, რაც სტიქიურად დაიწყო, იმას ორგანიზებულ ხასიათს შევძენთ. ნურავინ იფიქრებს, რომ სპონტანურად დაწყებულ მოძრაობას ლიდერი არა ჰყავს... ლიდერი ვარ მე. საქმე გაქვთ ჩემთან... ამიტომაც გაფრთხილდით, მე კოჭლი ნანა ვარ, არავის მივცემ უფლებას, ადამიანის უფლებები შეზღუდოს... მომეცით ერთი ჭიქა წყალი... წითელქუდა, წყალი დამალევინე, ვდუღდები ნელ-ნელა...

წითელქუდა გაიქცევა. წყალს ჩამოუსხამს გრაფინიდან. ისევ კოჭლი ნანასკენ გამოსწევს.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. პოლიტიკური სკანდალი!!! შინაგაზლილობა!!! ძვირფასო ტელემაყურებლებო, დარჩით ჩვენთან, თქვენ პოლიტიკური სკანდალის მოწმენი იქნებით.

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ (წყალი მოსვა). გმადლობთ. (ისევ დარბაზისკენ) მამაკაცებმა დაატერორეს ქალები... მამაკაცი თავისი ბუნებით აგრესორია... მამაკაცის მიზანსწრაფვა მიმართულია საბრალო ქალის დაუფლებისაკენ... აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ თავდაცვით ბრძოლას ვაწარმოებთ, ისიც ჰუმანური ხერხებით... ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი აგრესიისა, არ გვინდა ომი და გვინდა მშვიდობა, მაგრამ აქვე ვაცხადებთ, რომ ამ მაღალი იდეალისთვის ბრძოლაში ყოველი ქალი მზადაა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მედგრად იდგეს თავის პოზიციაზე... ჩვენ იძულებულნი გაგვხადეს, შოუპროგრამის საეთერო დრო გამოვიყენოთ, რათა თქვენ მოგმართოთ, ძვირფასო ქალებო! გავერთიანდეთ, ერთ მუშტად შევიკრათ და თავი დავიხსნათ ამ პირუტყვული აგრესიისაგან!!! ზოგიერთი მამაკაცის თავხედობა იქამდეც მიდის, რომ ქალს ბნელ და სველ სარდაფში დამწყვდევით ემუქრება, რა გვინდა ბნელ და სველ სარდაფში! ჩვენი საქმეა შვილების გაზრდა და ოჯახური კერის გათბობა... ჩვენი ოცნებაა პატარა ქალური ბედნიერება, რომელსაც ასეთი უხეში ხელებით გვინგრევენ ეს მტარვალები... ოჯახში სრულიად უნიტარული ატმოსფერო სუფევს... აგრესორების ერთმმართველობა და ტოტალიტარული რეჟიმი ქალს არ აძლევს საშუალებას, ლაღად იგრძნოს თავი... აგრეთვე, ჩვენ მოვითხოვთ, რაც შეიძლება მკაცრად შემოწმდეს ყველა უპრაგორიდ გაცემული საგარანტიო წერილი... მოვიდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ, აი, ასეთი ყალბი საგარანტიო წერილებით გააქვთ უშველებელი კრედიტები...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲥᲐᲚᲘ. კრედიტები რა შუაშია?!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. ნუ მაწყვეტინებ, ჩვენ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან ვლაპარაკობთ... დიახ! ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია შემოწმებული და გადამოწმებულია, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ გაცემულია ყალბი საგარანტიო წერილები და ყალბისმქნელებს მკაცრად უნდა მოეკითხოთ...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. ქალბატონო ნანა!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. მე თქვენთან არაფერი მესაქმება!!!

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. ქალბატონო ნანა, უმორჩილესად გთხოვთ, ერთი ცეკვა მაჩუქოთ! გემუდარებით!

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. მე მხოლოდ სამეჯლისო ცეკვებსა ვცეკვავ...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. ჯანდაბას, სამეჯლისო ცეკვა იყოს...

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ. ვაცხადებთ სამეჯლისო ცეკვის საღამოს! ამ ცეკვის პლასტიკურ ნახაზში შესანიშნავადაა განსხეულებული მამაკაცისა და ქალის ურთიერთლტოლვა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთვნება და საბოლოო ჯამში ვღებულობთ ჰარმონიული თანაარსებობის რომანტიკულ სურათს... სიყვარულის ნოველას ან, უფრო სწორად, ნოველას სიყვარულზე...უკაცრავად, ბევრი ვილაპარაკე... დარჩით ჩვენთან, არსად წახვიდეთ, ახლა კი - ცეკვა!

მუსიკა. კოჭლი ნანა და გენერალური სპონსორი სცენის სხვადასხვა კუთხიდან უმზერდნენ ერთმანეთს... გენერალური სპონსორი ნანასკენ გაემართა. (ეს დიალოგიც ცეკვის დროს იმართება მათ შორის)

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. რა ჯუსტად შენიშნა ჩვენმა წამყვანმა, ჰარმონიულ თანაარსებობას რომ გაუსვა ხაზი... თქვენც იშვიათი გემოვნება გაქვთ, მიყვარს სამეჯლისო ცეკვები...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. თუ გგონია, პოლიტიკური პროსტიტუტკის როლში მიხილავ, ძალიანაც შემცდარხარ... მე დაწყებულ საქმეს არ მოვეშვები...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. ისეთი კარგი მოძრაობა დაიწყეთ, ქალბატონო ნანა, რომ ლამისაა, ჩემი ცოლი ჩემივე ხელით მოვიყვანო თქვენთან... აქტივისტად თუ არ ივარგა, მსმენელად ხომ მაინც გამოდგება... მართლაცდა, სჭრიდება ქალს თავისი პატარა ქალური ბედნიერება... იქნებ ისიც აზიაროთ თქვენს მოძრაობას, ხანდახან უნდა შეგიძახოს ქალმა, თორემ ისე გაღაგვქანცა საქმემ, რომ ბევრი რაღაცა შეიძლება ღაავიწყდეს კიდეც კაცს... მაგალითად, თაიგულის მირთმევა და ასე შემდეგ...

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. მერედა, საღ გინდა პატარა ქალურ ბედნიერებას აზიარო შენი ცოლი - ბნელ და სველ სარდაფში? რამდენადაც მახსოვს, ასეთი სარდაფი გეგულება საღღაც ფეხმოკლე ქალებისთვის...

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ. ღმერთო კი მომკალი.... ბნელი და სველი სარდაფი რა სახსენებელია, ჩვენ ჰარმონიულ თანაარსებობაზე ვლაპარაკობთ... ეშმაკ-

საც წაუღია ბნელი და სველი სარდაფები... სიყვარულზე ვისაუბროთ... რა კარგი ცეკვაა, კაცო... არც ყალბი საგარანტიო წერილების ხსენებაა ამ ლამაზი ცეკვის დროს საჭირო, კაცმა რომ თქვას...

 კოჭლი ნანა. ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი... დამღალა პოლიტიკამ, ევრობანკიდან აღებული კრედიტით ქვეყნის უნიტაზები შევისყიდეთ და იმას, არ ვიცი, რა ვუყო, აქ კი ამხელა საზოგადოებრივი დატვირთვა მაწვება კისერზე... დავიღალე, სიმართლე გითხრა...

გენერალური სპონსორი. რას ლაპარაკობთ, ქალბატონო ნანა, თქვენა გაქვთ უნიტაზები?

კოჭლი ნანა. კი, ჩვენა გვაქვს...

გენერალური სპონსორი. რამდენი ხანია უნიტაზებს ვეძებ... ბევრია?

კოჭლი ნანა. ბევრია...

გენერალური სპონსორი. ფასდაკლებით?

კოჭლი ნანა. რატომ ფასდაკლებით, თავის ფასში...

გენერალური სპონსორი. გაღასარევია პირდაპირ, საღ იშოვნი ახლა უნიტაზებს თავის ფასში... ისე, კრედიტი რომ გაგეკეთებინათ, დიდი სიამოვნებით შევიძენდი „ოპტომ“... რამდენი ხანია უნიტაზებს ვეძებ თავის ფასში...

კოჭლი ნანა. ჩატარდება ახლა არჩევნები, მივიღებთ ხმებს და ვნახოთ მერე...

გენერალური სპონსორი. ჰოდა, ცოტა მეტს შეპირებოდით ამ ხალხს, ქალბატონო ნანა, ისე მინდა უნიტაზების ყიდვა, ვერ წარმოიდგენთ... რომ ვერ გახვიდეთ არჩევნებში, ხომ უნდა ავიღო ხელი ამ მომგებიანი საქმიდან... რას ამბობ, უნიტაზი თავის ფასში?.. საღია იშოვნი, გეთქვათ, მართლა, რაღაცა იმედისმომცემი... კაცი იმედით ცოცხლობს...

კოჭლი ნანა. ასე უფრო ებმებიან, შე სულელო... მე მასწავლი?.. მოვილაპარაკეთ, მორჩა ცეკვა...

გენერალური სპონსორი. აგაშენა ღმერთმა, საღ შემიძლია ამდენი, ამხელა მასა მაწვება გულზე...

კოჭლი ნანა (გენერალურ სპონსორს). ვინ თქვა ისე, პოლიტეკონომია, როგორც მეცნიერება, არ არსებობსო... (ქალებისკენ გასწია)

გენერალური სპონსორი. აბა, აბა... (ოფლს იმშრალებს)

(ჩუმად შეუკურთხებს) შენი გარინჩა დედა...

კოჭლი ნანა (შემოტრიალდა). ბატონო?! რაღაცა მომესმა....

გენერალური სპონსორი. არაფერი, გულზე ღავიჩივლე... ჰუჰ...

კოჭლი ნანა. გულს გაფრთხილება უნდა.... ქალებო, შეხედეთ, რა ღღეში ჩავაგდე ეს კაცი... (იცინის) რა სუსტები არიან, რა საბრალოები... ვინ მიხედავს ამ უბედურებს, ჩვენ თუ არა... სხვათა შორის, სტატისტიკის მიხედვით ეს საწყლები უფრო ნაკლებს ცოცხლობენ ჩვენზე... ქალი მაგარია... ქალი უფრო სრულყოფილია და ამიტომაც; ისევ ჩვენ, ქალებო, ისევ ჩვენ გაღავდგათ პირველი ნაბიჯი. სამყარო ჩვენს კეთილგონიერებასა და სითბოზე ღგას, შევინღოთ, შევიბრალოთ; გამოვასწოროთ ბოლოს და ბოლოს, მაგრამ აქტიური პოლიტიკური ბრძოლით კი ნუ გავწყვიტავთ წელში... კაცის ნეკნიდან ვართ შექმნილი, არც ეს დაგვავიწყდეს... მივცეთ სიყვარულის მაგალითი, მივცეთ შანსი... (წამყვანის თანაშემწეს მიუახლოვდა) მიღი, დაელაპარაკე- ჰო, შენ ღაელაპარაკე... (წამყვანისკენ უბიძგებს ხელს) კაცი ქალითაო და ქალი კაცითაო. ჰე!..

წამყვანი. ძვირფასო ტელემაყურებლებო, მელოდრამის მოყვარულთ ჩვენი შოუ სთავაზობს ერთ-ერთ სერიას... (წამყვანის თანაშემწეს მიხედა. ხანმოკლე პაუზა) მიღიხარ?

წამყვანის თანაშემწე ქალი (ცრემლნარევი ხმით). ჰ ო... მივდივარ.

წამყვანი (შესცქეროდა. ახლა სახეს მიაბრუნებს. ცრემლი აუკიაფდება თვალში). საღაც გინდა, იქ წაბრძანდი... მე აღარ მიყვარხარ...

წამყვანის თანაშემწე ქალი. ო, ნუ იტყვი მაგას... ისე მეშინოდა, რომ ამ სიტყვას იტყოდი... როგორ არ გესმის ჩემი, როგორ... ახლა მე ძალიან მძიმე პერიოდს განვიცდი, სულიერი დეპრესია მაქვს... იქნებ იქ ვარ საჭირო, იქნებ დაჭრილ-დასახიჩრებულების მოვლაში გადავივიწყო ჩემი აუტანელი ყოფა... მე ხომ გაუღაბნოებული ვარ... რამდენჯერ გთხოვე, ბავშვი ვიყოლიოთ-მეთქი...

წამყვანი. ბავშვი ჩვენს ღიდ სიყვარულს შეუშლიდა ხელს... ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, საღაც გნდა, იქ წადი... აკი გითხარი, აღარ მიყვარხარ.

წამყვანის თანაშემწე ქალი. ნუ ამბობ-მეთქი ამ საშინელ სიტყვას, გულს ნუ მიკოდავ... ერთმანეთისკენ მიმავალ ყველა ბილიკს ნუ წაშლი... მე მხოლოდ მცირე ხნით მინდოდა განშორება და ჩემს გრძნობებში გარკვევა. როგორ არ გესმის ჩემი... ნუთუ ეს შენა ხარ, შენ - ვისი ღიმილიც ასე მიყვარდა, ნუთუ ეს შენა ხარ, ვისაც ასე ესმოდა ჩემი... თოჯინაღ გადამაქცია, გამაუღაბნოე, გამომფიტე და ახლა მეუბნები აღარ მიყვარხარო... ან კი რა გთხოვე ისეთი... (პაუზა) მე ასე აღარ შემიძლია... იქნებ შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს, იქნებ არც აღარასოდეს შევხვდეთ... მშვიდობით...

წამყვანი (სახეგაციებული ღგას). მშვიდობით.

წამყვანის თანაშემწე სცენიდან გასვლის წინ ცრემლიანი თვალებით მოხედავს წამყვანს. ღრმად ამოისუნთქავს. სცენიდან გავა.

წამყვანი (მას შემდეგ, რაც ქალი გავიდა). მე ხომ ვგრძნობ, რომ მატყუებს. რა მწარე გრძნობაა ეჭვი... მატყუებს, ნამდვილად მატყუებს... საყვარელი ჰყავს, ალბათ, და მასთან წავიდა... რაღაც სულელური ამბავი მოიგონა სულიერ ღეპრესიაზე... მატყუებენ, ალბათ, ღამცინიან კიდეც... მე კი ასე ვიტანჯები...კერძო ღეტექტივი ხომ არ ღამექირავებინა?! (იცინის) ხა, ხა, ხა... ეს მართლაც კარგი აზრია... ფაქტზე ღავიჭერ ღა ცბიერ თვალებში ჩავხედავ... (ამ როლიდან გამოღის) ღაიჭერს თუ არა ფაქტზე ჩვენი მელოდრამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი თავის მეუღლეს, ამას შემდეგ სერიაში იხილავთ, ახლა კი მოსწყვიტეთ თვალი ჭაღს, ჭაღზე არაფერი საინტერესო არ ხდება. საინტერესო ჩვენთან ხდება, ჩვენს შოუში, დარჩით ჩვენთან, ჩვენ გვიყურეთ... (მიიხედ-მოიხედა) ჩვენ კი გვიყურებთ, მაგრამ მე რომ თანაშემწის გარეშე დავრჩი... (წითელქუდას შეხედა) წითელქუდა, ჩემი თანაშემწეობა არ გინდა?

წითელქუდა (ეს ჟესტი ამერიკული ფილმებიდანაა). ო, Yes, მან ეს თქვა... (აღფრთოვანებას ვერ მალავს). Yes, Yes, Yes, მან ეს თქვა...

წამყვანი (გაღიმებული შესცქეროდა). მე მგონი, თანახმა არ, არა?

წითელქუდა (ახლა აღფრთოვანების დაოკებას ცდილობს). გააჩნია პირობებს!..

წამყვანი. პირობები ჩვეულებრივი... წამყვანის თანაშემწე იქნები...

წითელქუდა. მაშინ, თუ ჩვეულებრივი პირობებია, თანახმა ვარ...

დონ კიხოტი. კი, მაგრამ, ძვირფასო! (ხანმოკლე პაუზა) დულსინეა! ჩვენ ხომ საუკუნო ერთგულება შევფიცეთ ერთმანეთს!..

წამყვანი. ეს უკვე მეორე მელოდრამის სერიალია, მეგობრებო, ყურადღებით უცქირეთ, ჭაღს ნუ შეხედავთ, ჩვენ გვიცქირეთ...

წითელქუდა ტუჩებს გაბუშტავს. დონ კიხოტი მას მიუახლოვდება. გასაწყლებული სახე აქვს.

დონ კიხოტი. ნუთუ შენც... შენც იმის ღიმილს აჰყევი - აკი გაფრთხილებდი, რაცა ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის-მეთქი... ეს ყალბი ღიმილი ხომ სამყაროს სირცხვილი და თავის მოჭრაა, ჩემო დულსინეა.

წითელქუდა (აწყვეტინებს). მომბეზრდა, მომბეზრდა ამღენი სარაინდო ამბების მოსმენა, გესმის ადამიანური ენა! მომბეზრდა... სარაინდო რომანების რაღიომსმენელად ვიქეცი... ცხოვრება კი ლამაზია, კაშკაშებს, ჩვენი წამყვანივით იღიმება... აღარა ვარ დულსინეა, მორჩა და გათავდა!..

დონ კიხოტი. ნუ წახვალ, ნუ დამტოვებ, ჩემო დულსინეა, ჩვენ ხომ ერთურთის სულის ხვეულებსა ვგრძნობდით, განა ეს ცოტაა.... მე კიდევ ბევრი საგმირო საქმე დამრჩა, წავალ, ვიხეტიალებ, რამდენი გოლიათი და ავსული დაიარება ქვეყანაზე, შენი სიყვარულის ძალით ყველას დავამარცხებ, შენ კი, როგორც მშვენიერ, ამაღლებული სულის ქალბატონს შეჰფერის, ჩემს დაბრუნებამდე ხელსაქმით შეიქცევ თავსა...

წითელქუდა. აღარ შეიძლება ამ კაცთან ლაპარაკი... არა ვარ-მეთქი დულსინეა, მორჩა... (წამყვანისკენ გასწევს. მიუახლოვდება) აბა, შემომცინე!

წამყვანი გაუღიმებს.

წითელქუდა (წამყვანს მისჩერებია). აჰ!

დონ კიხოტი. ისღა დამრჩენია, იოანესავით დავეყუდო და ჩემს სიყვარულზე ვივიშვიშ-ვივაგლახო... ო, სიყვარულო! (უბრალ მჯდარ იოანეს მიუახლოვდა) იოანე, დავეყუდები მეც შენს გვერდით....

იოანე (თვალდახუჭული იყო). დაეყუდე, ოღონდ უხმოდ... ტრანსიდან არ გამომიყვანო...

დონ კიხოტი (იოანეს გვერდით ჩამოჯდა, ფეხი მოირთხა). ო, სიყვარულო! ო, დულსინეა...

იოანე (უკმაყოფილოდ). ჩუმად დაეყუდე რა, განმარტოებასაც არ გაცლიან კაცს!

(ისევ თვალებს ხუჭავს)
დონ კიხოტიც მის მაგალითს მიბაძავს.

გენერალური სპონსორი (აღშფოთებული). კაცო, გამაგებინე! (წამყვანს მიმართავს) ეი, მეგობარო!..

წამყვანი (გრაფინისკენ გაემართა). ერთ ჭიქა წყალს დავლევ, თუ შეიძლება, მომწყურდა (წყალს ჩამოისხამს)

გენერალური სპონსორი. შენ კი დალევ, ძმაო, წყალს, მაგრამ ეს შენი არტისტები რომ დაყუდებულან აქა, ჩემს საქონელს მე თვითონ ხომ არ გავუწევ რეკლამას?

დონ კიხოტი (თვალს გაახელს). რა უნდა ამ ღვინის ტიკს ამას! ერთხელ ხომ უკვე გავგმირე ხმლითა, კიდევ ბევრს ლაპარაკობს... (ისევ დახუჭავს თვალებს)

გენერალური სპონსორი. ამ სცენარზე მე ხელი მოწერილი არა მაქვს, ჩემს მიერ ხელმოწერილ სცენარში უამრავი სარეკლამო პაუზა იყო; რასა ჰგავს აქაურობა, ბარდაგია, სუფთა ქაოსი, ანარქია...

ქოჭლი ნანა. სწორედაც რომ ანარქია, დიახ, დიახ... ჩემს პარტიას, ფაქტობრივად, საეთერო დროს არც აძლევენ... მიმიშვით არფასთან და მუსიკალურად გაგაცნობთ ჩემი პარტიის პოგრამას...

მორჩილი. თუ ასეა, შემოსასვლელში მაქვს ჩემი ნახაზები, პატარა შრომა კი არ ჩავყარე შიგ... თან რეალური ხსნის გზას გთავაზობთ... შემოვიტან ნახაზებს და ნახოს ხალხმა ჩემი ნაღვაწი, თქვენ გგონიათ, მიმღევრები არ მეყოლება?

ქოჭლი ნანა. ღმერთო ჩემო, რა კომპიუტერმა გამოაგდო მაინც ეს მორჩილი, იმისი ნაცოდვილარით უნდა გაიხარჯოს ასეთი ძვირფასი საეთერო დრო...

ვეტერანი ქალი. საქმე რაშია, იცით?! დრო, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობს... მერწმუნეთ! აი, წითელქუდა რომ დგას, ხომ ხედავთ?! თქვენ გგონიათ, მართლა წითელქუდაა? არა, მე ვარ, მე... უდროობამ ერთ სიბრტყეზე დაგვაყენა... ის ქალბატონი რომ წაბრძანდა, ახლა უკვე აქ არის, ჩემშია... დაბრუნდა ის უკვე, ისიც მე ვარ... ეს წითელქუდაც მე ვარ და ისიც მე ვარ... ვერ გამიგეთ?! ისეთი მარტივია და...

წითელქუდა. ხან ელიფსური ფორმის მიღებით მაშინებენ, ხან ღრმად მოხუცებული ხარო, მეუბნებიან... გავაგრძელოთ, რა, შოუ! (წამყვანს) დაიძახე, - პრიზები სტუდიაში!

წამყვანი. შემარგეთ ერთი ჭიქა წყალი, ამოვისუნთქო ცოტა...

გენერალური სპონსორი. არა, გენაცვალე, არა, ასე არ გამოვა... საღა მაქვს გადასაყრელი ფული... ხმამაღ-

ლა, დაბეჭითებით ვამტკიცებ, სცენარი, რომელზეც მე ხელი მოვაწერე, უამრავი სარეკლამო პაუზით იყო სავსე... მოიყვანეთ სცენარისტი და დამემოწმება... საღ არის სცენარისტი?..

წამყვანი (გამოცოცხლდა). მუსიკა!.. მუსიკა! მუსიკა!!! სცენარისტი სტუდიაში!!!

ისმის გუნდის მიერ შესრულებული „ოსანა“ ოპერა „სუპერვარსკვლავიდან“.

კიბეზე შავ ფრაკში გამოწყობილი გამნათებელი გამოჩნდება. სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებს. ხელში ტროსტი უჭირავს.

სურათი მეთექვსმეტე:

იგივენი და გამნათებელი.

წამყვანი (მიეჭრა გამნათებელს). რას მივაწეროთ ასეთი მეტამორფოზა? ძვირფასო ტელემაყურებლებო, რომ იცოდეთ, ჩვენი სტუდიის გამნათებელია. რამდენი წელია უკვე ერთგულად ემსახურება ჩვენს საქმეს. არ ამხელდა, თორემ სცენარისტიც ეს იყო, რეჟისორიც, გამნათებელიც და შეთავსებით სელექციონერიც... მოკრძალების უბადლო მაგალითი თუ გინდათ, სწორედ ესაა! ახლა კი სახე გამოგვიჩინა... საინტერესოა, რაშია საქმე... დარჩით ჩვენთან, თქვენ...

გამნათებელი ტროსტით გვერდზე გასწევს წამყვანს, გზიდან ჩამოიშორებს.

წამყვანი შემცბარი გაქცევა.

გამნათებელი (მიიხედ-მოიხედა). პალმის რტოები საქაა?

წამყვანი. პალმის რტოები ხომ ამოიღეთ სცენარიდან...

გამნათებელი. ვითომ?!

წამყვანი. სინდისს გეფიცები... ღრუბლებზე მოთხრობა იყო, ტერორისტის სცენაც იყო, სენსაციაც, მელოდრამის სერიალები და პოლიტიკური სკანდალი თავისთავად, საშეჯლისო ცეკვის საღამოც იყო, მარტო ერთი პატარა გადახვევა გვქონდა, ვეტერანმა ქალბატონმა თმის ერთ დღეში გათეთრების ამბავი რომ მოყვა, მაგრამ ისიც დროზე შევაჩერე. პირველი წელი კი არ არის, რაც ამ საქმეს ვემსახურები. პალმის რტოები ბოლო წუთს ამოიღეთ პირადად თქვენ სცენარიდან... ისე, შეგვიძლია შევცვალოთ... გზა სტუდიაში!!!

გამნათებელი (შეაჩერებს). იყოს, იყოს... არ არის საჭირო... პრინციპში, ფორმალობაა - გზა, პალმის რტო, ნაძვის წიწვი, თუ რას ხმარობენ კიდევ? თანაც, კი არ შემოვდივარ, ფაქტობრივად, უკვე მივდივარ... ჩემი დრო გასრულდა...

წამყვანი. მიდიხართ?! საღ მიემგზავრებით თუ საიდუმლო არ არის?

გამნათებელი. არავითარი საიდუმლო არ არის... (ხანმოკლე პაუზა) კოსმიურ უსასრულობას უნდა მოვედო, იქ ვეძებო ჩემი ღრუბელი... აქ ვერა ვნახე... დიდხანს ვეძებე, მაგრამ ვერსად ვნახე... თქვენ ხომ არ იცით, საღ შეიძლება იყოს?

წამყვანი. მეე?! მე არა, ნამდვილად არ ვიცი...

გამნათებელი. სამწუხაროა... არავინ იცის... ძალიან გულდასმით გადამალეს, ეტყობა...

წამყვანი. აქ კარგად ნახეთ? იქნებ არის სადმე... ეხუმრებით კოსმიურ უსასრულობას?

გამნათებელი. არა, აქ ნამდვილად არ არის... ყველა ქალი ერთმანეთსა ჰგავს. გოჯითაც კი ვერავინ მიუახლოვდა ჩემს სულისთქმას, ჩემს სიყვარულს, ჩემს თეთრ ღრუბელს... აქ მე ჩემს ბედნიერებას ვერ წავაწყდები... სწორად ბრძანა ვეტერანმა ქალბატონმა... წითელქუდაც და ბალზაკის ასაკს მიახლოებული ქალბატონიც ის არის... უდროობის ერთ სიბრტყეზე დავაყენე სამივე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველა ქალი ერთია... ვერავინ, ვერავინ შეედრება იმას, ასე რომ მტანჯავს, ასე. რომ მაეჭვიანებს... საიდუმლოდ გაგიმხელთ - მე და ღმერთს ერთი ქალი გვიყვარს... - ლამაზი, პატარა, თეთრი ღრუბელი... საღ არის, ნეტავი? საღ გადამალეს? რომელ განზომილებაში? კოსმიური უსასრულობის რომელ წერტილში... განუცდია ვინმეს სიყვარულის ამგვარი ვნებათაღელვანი? ან კი ვნებულა ვინმე ჩემებრ?.. მე ხომ სიყვარულის გამო გამომაძევეს იქიდან... სიყვარული არ მაპატიეს... თორემ ის ბიჭები, მუჭური რომ ჰქონდათ და დაცლას ახერხებდნენ, ახლაც იქ არიან... მე მეტი მოვინდომე, მე ნამდვილი სიყვარული მოვინდომე და არ მაპატიეს... (ხანმოკლე პაუზა) სიმართლე რომ გითხრათ, ამითი ამაყიცა ვარ... მე, სიყვარულისთვის ვნებული, სამოთხიდან გამოძევებული ანგელოზი, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ამაყი ვარ, რადგან არასოდეს არ მიღალატია ჩემი სიყვარულისთვის, ვევნე და ვეწამე, მაგრამ ერთგული დავრჩი და დღესაც, მასთან შეხვედრის იმედით, ბრძოლაზე ხელს არ ვიღებ... კოსმიურ უსასრულობას უნდა მოვედო და, ბოლოს და ბოლოს, ჩემს დიდ მოწინააღმდეგესთან პირისპირ დავდგე... ამაყი ვარ, რადგან არასად, არასოდეს, არავის ჰყოლია ისეთი მოწინააღმდეგე, როგორიც მე მყავს... დაიწყება ახალი კოსმიური ერა... პლანეტები ერთმანეთს შეასკდებიან, რადგან ჩემი სიყვარულის ბიოველი დედამიწიდან კოსმიურ უსასრულობაში გადაინაცვლებს... ჩემი ბიოველი კი ძალუმად ფეთქავს, რადგან ჩემს გულს ძალუმად უყვარს... (ხანმოკლე პაუზა) მოგიყვეთ კიდევ ჩემს გრძნობებზე? (ხანმოკლე პაუზა) თუმცა, ცოტ-ცოტა ხომ ყველასთან მოყოლილი მაქვს... ასე არ არის?

მორჩილი. პროტესტს ვაცხადებ!

გამნათებელი. ზანტად მოხედავს.

წამყვანი. აი, კიდევ პროტესტს აცხადებს...

მორჩილი. ჩემთან არავის არაფერი მოუყოლია...

გამნათებელი (იღიმება). როგორ არ მომიყოლია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომიყოლია, ჩემო ბიჭუნა, შენთანაც მომიყოლია და, საერთოდ, ყველასთან.
მორჩილი. მე თქვენ არ გიცნობთ და არც არანაირი სურვილი არ მაქვს, გიცნობდეთ...
ბამნათებელი. პირდაპირ კოჭლი ნანას სიტყვებით მელაპარაკება ეს ყმაწვილი... შვილო, კარგად დამაკვირდი, საკუთარ ბიძას ვერა სცნობ? მართალია, ერთხელ ნახე მარტო, მაგრამ საჩუქარი რომ დაგიტოვა, ის ხომ მაინც გახსოვს.
მორჩილი. ტყუილია!.. ბიძაჩემს სხვა სახე ჰქონდა.
ბამნათებელი (იღიმება). ნახა ამანაც პრობლემა... სახეში შეცვლა კი არა, ზუსტად ექვსას სამოცდაექვს ნაწილად ვიყოფი და ამდენი წლის განმავლობაში, ყოველდღე, ექვსას სამოცდაექვს ნაწილად დაყოფილი, პლანეტის ყველა კუთხეში ვეძებ ჩემს სიყვარულს...
იოანე (მიაჩერდება. თითს გაიშვერს გამნათებლისკენ, ხმადაბლა). ეს არის სატანა, რომლის პიველსახელია გველი. ეს არის შემაცდენელი კაცთა...

მორჩილი მალიმალ იწერს პირჯვარს.

ბამნათებელი. რას არ დაგარქმევენ ეს მართლაც რომ ადამის ძენი, ესენი... რა სახელს არ მოგაკერებენ, ოღონდაც სინდისი დაიმშვიდონ, თავისი ავი ზნე სხვას გადააბრალონ და არანაირ ცილისწამებას არ ეპუებიან... მე კი მხოლოდ და მხოლოდ ღრუბელზე შეყვარებული, უმიზეზოდ დაჩაგრული ანგელოზი ვარ... ამდენი წელია, კარდაკარ დავდივარ, იქნება საღმე გადავაწყდე-მეთქი ჩემს სულისთქმას... ვეძებ და ვეძებ და ამ ძებნაში ყველა ადამიანი მეტ-ნაკლებად გავიცანი... ეს არის და ეს... განა ეკრძალება ვინმეს, თავისი საყვარელი არსება ეძებოს? რაც შეეხება გაცნობას, მერწმუნეთ, მთელი პლანეტა ისე კარგად გავიცანი, იმდენჯერ მოვყევი ჩემი სიყვარულის ამბავი რომ, სიმართლე გითხრათ, აქ უკვე მომბეზრდა კიდეც... ჰავა უნდა შევიცვალო...
იოანე (თითმიშვერილი, ხმამაღლა). ეს არის სატანა, შემაცდენელი კაცთა!!!

დონ კიხოტს თვალები დახუჭული ჰქონდა. თითქოს ეძინაო. ახლა ფართოდ დააჭყეტს თვალებს.

დონ კიხოტი. საღ არის სატანა! საღ არის ის ავსული!!!
ბამნათებელი. აი, მეორე ბეღოვლათმაც გაიღვიძა... რა გნებავს, რაინდო?!
დონ კიხოტი (წამოდგა). აჰ, ეს შენა ხარ სატანა?!
ბამნათებელი (იღიმება). რა ვიცი, ტელესტუდიის ჟარგონზე მე მგონი უფრო სცენარისტი მქვია...
დონ კიხოტი. შე მართლა სცენარისტო, შენა, რას გაგვამაიმუნე მე და ჩემი მეგობარი, რა როლები დაგვიწერე, ეს მაღალი სულის ხალხი რად გადაგვაქციე?! სუნამოებს მაყიღინებ აქა... მაგრამ მორჩა შენი ბატონობა, გონებას ჯანღი გადაეყარა. ყველამ მიცქირეთ! ახლა გამოჩნდება ჩემი ჭეშმარიტი სახე. ეს მურდალი ამ მახვილით გაიგმირება...

გამნათებელი დონ კიხოტისაგან გვერდულად დგას. მაყურებლებს შესცქერის. მოწყენილი სახით გახედავს დონ კიხოტს, ისევ მაყურებლებისკენ მიაპყრობს მზერას.

ბამნათებელი. თქვენც ხომ დამეთანხმებით, საყვარელი ქალის მოსაძებნად მივფრინავდი უკვე...
დონ კიხოტი. აქეთ მომხედე... (ხმალს ამოიღებს) შენა გგონია, სულ გამიწყალდა სისხლი?! ანდა, განა ის არ ვიცოდი, ქარის წისქვილი რომ იყო და არა გოლიათი? მაგრამ ვვარჯიშობდი, ამ ღღისთვის ვემზადებოდი. ახლა კი ნახავ, რას ნიშნავს დონ კიხოტ ლამანჩელის პირისპირ დგომა. ახლა დარწმუნდები, რომ მე ჭეშმარიტი მოხეტიალე რაინდი ვარ, მაღალი სულის კაცი, რომელიც ყველა ჯურის ავსულს ებრძვის.
ბამნათებელი (იღიმება. დონ კიხოტისკენ გაიშვერს ცერა თითს). ვარჯიშობდა თურმე...
წამყვანი. ორთაბრძოლა, მეგობრებო, ბოევიკი, ტრილერი... ვინ ვის? თეთრი და შავი... კეთილი და ბოროტი... ღრამატურგიული კონფლიქტის კულმინაციური წერტილი. ვინ ვის? ვინ ვის?! დარჩით ჩვენთან, არ დაგვტოვოთ!
დონ კიხოტი. პირდაპირ მიცქირე, შე მურდალო; შე კაცობრიობის შემაცდენელო, შენა! პირდაპირ შეხვდი შენს აღსასრულს, შემოტრიალდი, არ მინდა ლაჩრულად, მოულოდნელად დაგესხა თავს...
ბამნათებელი (მხარს არ იცვლის). მე ამ პოზიციაში ვფარიკაობ...
დონ კიხოტი. რომელშიც გსურდეს იმაში იფარიკავე, ჩემი წერა რომა ხარ, ეს კი ვიცი ღა...

ხმალშემართული გაექანება გამნათებლისაკენ. ორთაბრძოლა ძალიან მოკლე ხანს გასტანს. გამნათებელი პოზასაც არ შეიცვლის, მხოლოდ ტროსტს დაუხვედრებს მახვილს, მოქნილი მოძრაობით გააგდებინებს დონ კიხოტს ხმალს და შემდეგ თავში უთავაზებს რაინდს ტროსტს. დონ კიხოტი სცენაზე დაეცემა.

ბამნათებელი. ეჰ, რაინდო, რაინდო... ამ ხნის კაცმა ჭკუა რით ვეღარ უნდა ისწავლო...
ვეტერანი ქალი. მოკლა!!! (გრაფინს დასწვდა. დონ კიხოტს მიუახლოვდა. მასთან ჩაიჩოქა)
წამყვანი. ძვირფასო ტელემაყურებლებო, თქვენს თვალწინ მოხდა მკვლელობა... მართლაცდა, საღ არის პოლიცია, რას შვრება შინაგან საქმეთა სამინისტრო? ეს რაები ხდება ტელესტუდიებში, მეგობრებო...
ბამნათებელი. არ მომკვდარა, არა... მსუბუქი შოკი აქვს. ნაჩვევია, არა უშავს. ახლა კი სიჩუმე! ჩემი გამოსათხოვარი სიტყვა... (ხანგრძლივი პაუზა) თუმცა ამ სიტყვასაც რა მნიშვნელობა აქვს... (წამყვანს) ეგეც ამოიღე სცენარიდან. (ავტომობილისკენ გაიხედა) იცით რა, ამდენი წლის უანგარო სამსახურის ფასად, აი, ამ მფრინავი ავტომობილით ვისარგებლებ... ჩემს ძირითად ბაზამდე ამით მივფრინდები. წინააღმდეგი ხომ არ არის ვინმე?
კოჭლი ნანა. ხომ ვამბობდი, ბაზებშია-მეთქი საქმე... (გამნათებელს აედევნა) უკაცრავად, ერთი წამით,

სიტყვა მინდა გითხრათ... ასე ვთქვათ, ხელსაყრელი წინადადება მაქვს (გამნათებელი შეჩერდა). მფრინავ ობიექტზე სტიუარდესა დაგჭირდებათ ნამდვილად, და...

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ (იღიმება). ჩემს მფრინავ ობიექტზე რომ ჭერამს ვერ შეჭამ... შენ ხომ ასე გიყვარს ჭერამი.

ᲙᲝᲭᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ. რა შუაშია ჭერამი, როცა კოსმიურ უსასრულობაზეა ლაპარაკი. ბოლოს და ბოლოს, ნოსტალგიაც ხომ უნდა იგრძნოს კაცმა... თვალსაწიერი ხომ უნდა გაიფართოვოს პოლიტიკოსმა.

ᲒᲐᲛᲜᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ (ტროსტით ჩამოიშორა). არფაზე დაუკარი, არფაზე... (შემოტრიალდა) მშვიდობით! მე სცენარს აქ ვამთავრებ! მართალია, ცოტა მოსაწყენი არსებები ხართ, მაგრამ ამ წლების განმავლობაში თავისებურად შემიყვარდით კიდეც... (იღიმება) ხარი ხართან დააბით, ნათქვამია... თქვენსავით სენტიმენტალური ვხდები, მე მგონი. მოვეწონები კი ასეთი ჩემს საოცნებო თეორ ღრუბელს?! (მანქანაში ჩაჯდა)

მოტორის გუგუნი. მანქანა სცენიდან გადის. თვითმფრინავის აფრენის ხმა.

გენერალური სპონსორი, წამყვანი, კოჭლი ნანა, წითელქუდა და მორჩილი თითქოს ცაში აფრენილ მანქანას მიაჩერდებიანო, ზურგს შეაქცევენ მაყურებელს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲩᲮᲘᲓᲛᲔᲢᲧ

სცენის წინა პლანზე ვხედავთ დონ კიხოტს და მის გვერდით ჩაჩოქილ ვეტერან ქალს. უფრო მოშორებით თვალდახუჭული, ფეხმორთხმული იოანე ზის.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ (ამოიხავლებს). წყალი!

ვეტერანი ქალი წყალს მიაწვდის ჭიქით დონ კიხოტს. თავს დაუჭერს. დონ კიხოტმა წყალი მოსვა. ვეტერან ქალს ახედა.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. ეს კეთილი ფერია საიდან გამომეცხალა?!

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ (დაიმორცხვა). კარგი რა, რაინდო... მასულელებთ ნამდვილად ამ ხნის ქალს... არ გეკადრებათ...

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. ხანიო?! რა ხანი, ქალბატონო, როგორ შეგეფაკლათ ღაწვები... რა ტურფა ბრძანდებით, რა ნორჩი, როგორც რომ პირველქმნილი სამყარო, აი, ისეთი... ჩაიხედეთ სარკეში და თქვენი თვალით დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ...

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. ღრო ნამდვილად აღარ არსებობს, მაგრამ ეს კომპლიმენტები, ცოტა რა იყოს, მაინც მაშფოთებს.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. ნუ გაშფოთებს ნურაფერი, ჩემო კეთილო ფერიავ, შენი რაინდი არის შენს გვერდით... მე, მოგეხსენება, ბევრი მიხეტიალია, ბევრი შარაგზა გამითელავს, ენდეთ ჩემს სიტყვას, არსად, არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს ასეთი თვალისმომჭრელი სილამაზე...

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. აი, ისევ გამაწითლეთ. ღარწმუნებული რომ არ ვიყო უდროობაში, ნამდვილად მარტო დაგტოვებდით. რაღა ღროს ასეთი საუბრებია. თუმცა, ღრო ხომ აღარ არის... იოანეც ამას არ გვიწინასწარმეტყველებდა?! მაგრამ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ვერაფრით ვეგუები ამ აზრს. თავი ისევ მოხუცებული, თმაგაჭაღარავებული ქალი მგონია. რა უცნაურია...

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. ო, მშვენიერო ქალბატონო, შემიწყალეთ, ნუ მტანჯავთ გაუგებარი საუბრებით ბრძოლაგადატანილ რაინდს... მარტივად გადავწყვიტოთ საკითხი. იყავით, რა ჩემი ღულსინეა, იყავით ჩემი ოცნების ქალბატონი!!!

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. ეს ხომ თავისთავად ცხადია... ღულსინეა ვარ, აბა, ვინა ვარ. ახლაც ფოროთხლის ბაღში ვზივარ და, რასაც გუმანითა ვგრძნობდი, იმას თვალნათლივ ვხედავ... (ღონ კიხოტის თავს კალთაში ჩაიდებს) ჩემი რაინდი დამიბრუნდა... რამდენი ტანჯვა გადაიტანა, რამდენი სამკვდრო-სასიცოცხლო ოროთბრძოლა... როგორ დაეღარა ლამაზი სახე. მაგრამ ასე უფრო უხდება, ის ხომ მწუხარე სახის რაინდია...

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. სწორედაც რომ, ჩემო ქალბატონო, სწორედაც რომ მწუხარე სახის რაინდი... ღმერთო ჩემო, რა ეშხიანი ღიმილი დასთამაშებს შენს ლამაზ ბაგეებს, რა ხიბლი აქვს შენს უძირო თვალებს... იოანე! იოანე!

იოანე თვალდახუჭული ზის.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. იოანე, კეთილო მეგობარო, მოდი ჩემთან, ღულსინეა უნდა გაგაცნო! იოანე უკმაყოფილო სახით წამოდგა. მიუახლოვდა.

ᲘᲝᲐᲜᲔ. მაღროვე რა, ძლივს მოვახერხე განმარტოება: გამარჯობა, ქალბატონო. (ღონ კიხოტს) რა გინდა?

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. აი, შე მართლა ბეჭდვითი სიტყვის ჭიავ, შენა. ვინ ამბობდა, ღულსინეა არ არსებობსო. აგე, მის კალთაში მიღევს თავი. გინახავს ოდესმე ასეთი სიტურფე?

ᲘᲝᲐᲜᲔ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. მართლაც ძალიან ღიღხანს გეძებდათ. (წასვლას აპირებს) - წავალ ახლა ჩემთვის.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. რა კაცი ხარ, ვეჟო! ამ ღღეზე ვოცნებობდი ამდენი ხანი და შენ კი საღაც გარბიხარ... აღექი ღა აქ დაეყუღე საღმე... შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ᲘᲝᲐᲜᲔ. კარგი, აქ დავეყუღები, მაგრამ ძალიან ნუ იხმაურებთ, ტრანსიღან ნუ გამომიყვანთ (შორიახლოს ჩამოჯდება. თვალებს დახუჭავს).

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. არ გამოგიყვანთ ტრანსიღან... ის კი არა, ჩვენც გავყუჩდებით. ბეღნიერ წუთებს სიჩუმე უხდება, არა, ღულსინეა?!

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. ჰო, ბეღნიერ წუთებს სიჩუმე უხდება... მართალია.

სუბათი მეთვრამეტე

წამყვანი, წითელქუდა, მორჩილი, კოჭლი ნანა და გენერალური სპონსორი გამოცოცხლდებიან. პირველად კოჭლი ნანა შემობრუნდება.

კოჭლი ნანა. აღარ არის, ბატონო, სცენარისტი. მე ვიღებ ლიდერის ფუნქციას ჩემს თავზე. არის ასეთი პარტია!!! ძვირფასი საეთერო დრო ასე არ უნდა იფლანგებოდეს. ორიოდე წუთში ავაწყობ არფას და საზოგადოებას მუსიკალურად გავაცნობ ჩემი პარტიის პროგრამას (არფას მიუახლოვდა). სხვათა შორის, საქსაფონზეც შემიძლია პარტიის პროგრამის გაცნობა. იცით რა დემოკრატიული ინსტრუმენტია. (ჩამოჯდა. არფას აწყობს) მაგრამ არფა მაინც სულ სხვაა. ანგელოზების საკრავია.

მორჩილი. პროტესტს ვაცხადებ. მერწმუნეთ, საეთერო დრო ჩემი პროექტის გაცნობას უნდა მოხმარდეს. აქვე მაქვს ნახაზები, ახლავე შემოვიტან და განახებთ. მთავარი ის კი არ არის, საღ მდებარეობს ნოეს კიდობანი, არამედ კიდობნის ფორმაშია საქმე. სამი კუთხე ყველაზე მყარად ჯდება ერთმანეთში. გამინათა ღმერთმა გონება და ავხსენი კოდირებულად გაცხადებული ხსნის გზა. ახლავე განახებთ ყველაფერს.

(სცენის მარჯვენა კუთხისკენ გასწევს. თვალს მიეფარება)

გენერალური სპონსორი (თვალს მოავლებს სცენას. წამყვანს მიმართავს), ესენი ისევ დაყუდებულან, კაცო. აღარა გაქვთ ნამუსი! ამხელა ფულებს მაყრევინებთ. საღა მაქვს ფული, ცოლ-შვილი მშიერი მეხოცება. უნდა ავდგე და ისევ მე უნდა გავუწიო რეკლამა ამ ჩემს საქონელს (სცენის მარცხენა კუთხისკენ გასწევს. თვალს მიეფარება)

წითელქუდა (წამყვანს) რა ხდება? მიდი რა, გაიღიმე. ყველა თავისთვის მიდი-მოდის, რისი წამყვანი ხარ. დაიძახე, პრიზი სტუდიაში!..

წამყვანი. მაიცა ახლა შენ, ნუ მასწავლი აქა. აირია ყველაფერი, ვერ ხედავ! წავიდა სცენარისტი. ამაშია პრობლემა... ასე მიფრინავენ ნაცადი კაღრები... ვინ იქნება ახლა შემდგომი სცენარისტი, იცი?! არ იცი... ვიქნებით საერთოდ იმ სცენარში?! არც ეგ იცი...

წითელქუდა. შენ იყავი მერე სცენარისტი. ხომ ამბობდნენ, იმპროვიზაციის ღიღოსტატი არისო... გაიღიმე შენებურად, გინესის წიგნში ტყუილად შეგიყვანეს?

წამყვანი. ვეცდები, აბა, რა ვიცი, ახალი ამპლუაა მაინც...

(მხრებს შეათამაშებს, განწყობის „დაჭერა“ სურს) სცენის ორივე კუთხიდან ერთდროულად გამოჩნდებიან მორჩილი და გენერალური სპონსორი. მორჩილს ნახაზები დაუიღლიავებია, უხმოდ იწყებს მათ დალაგებას. გენერალური სპონსორი უშველებელ ურიკას მოათრევს. ურიკაზე სხვადასხვა საქონლის ნიმუშები აწყვია. ისიც უსიტყვოდ, საქმიანად ირჯება - ნივთებს სცენაზე აწყობს.

კოჭლი ნანა არფასთან ზის. დაკაპიწებული ხელით ეხება სიმებს, არფის აწყობას ცდილობს.

წამყვანი (განწყობა „დაიჭირა“). ძვირფასო ტელემაყურებლებო! თავისუფლად, რბილად მოეწყვეთ სავარძლებში, მამაკაცებმა მოიდგან თითო ქილა ლუდი, ქალებმა ახლავე შეწყვიტონ ყოველგვარი ხელსაქმე. დღეს თქვენ უყურებთ განუმეორებელ შოუს მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის. მოკლე ექსკურსი - საუკუნის დასა... (სიტყვას შუაში გაწყვეტს. ჭაღს მიაჩერდება. ხანმოკლე პაუზის შემდეგ, ჭაღზე თვალმიბჯენილი, ჩავარდნილი ხმით აგრძელებს მონოლოგს)... მე ჯანსაღი, გამამხნევებელი, მაცოცხლებელი ღიმილი ვარ. ჩემს გარეშე სიცოცხლეს ფასი დაეკარგებოდა, გახუნდებოდა, გაიცრიცებოდა... (ხანმოკლე პაუზა. ისევ დარბაზს მიმართავს) სცენარისტმა ისიც კი მითხრა, ჩვენი ეპოქის ჯოკონდა ხარო... მართალი მითხრა, რომ იცოდეთ... ხომ ისევე ივსებით ჩემი გამამხნევებელი იმპულსით, როგორც თავის დროზე ივსებოდნენ ჯოკონდას იდუმალი მზერით. მე თქვენს სახლებში შემოჭრილი მაცოცხლებელი ღიმილი ვარ, დარჩიო ჩემთან, მე... (ხანმოკლე პაუზა. ჩავარდნილი ხმით, უფრო თავისთვის) ღღეს კი ჩვენი სცენარისტი კოსმიურ უსასრულობაში გაფრინდა... (მაყურებლებს მიმართავს) ხვდებით, საერთოდ, რა მოხდა? მიგვატოვეს, მიგვაგდეს, მიგვაბითურეს... ვინ იქნება შემდგომი სცენარისტი, იცით? ვიქნებით საერთოდ იმ სცენარში? ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება ახლა კოსმიური უსასრულობის რომელიღაც წერტილში, იქ ირკვევა მათი ურთიერთობები, ჩვენ კი იმდენად უსუსურები ვართ, რომ ცასა და მიწას შორის გამოკიდებულნი გამომშრალ ხახას ვაბჩენთ და უსასოოდ ვხავით - ილუზია გვწყურია!!! ილუზია გვშია!!! მოგვეცით ცოტა ილუზია!!! ვკვდებით!!! ესღა შეგვიძლია, სხვა არაფერი... პირველი ცოდვიდან მოყოლებული ილუზიით ვირჩენდით თავს, ახლა კი წყალი ამოგვიშრეს ჭაში და მირაჟსაც აღარ გვიგზავნიან... (ხანმოკლე პაუზა) დაგვიბრუნეთ სცენარისტი!!! არ გვინდა არავითარი კაღრების შეცვლა... ჩვენ ასეღაც კარგად ვგრძნობდით თავს... მერე რა, რომ გვატყუებდნენ... პირველი ადამიანიდან მოყოლებული ასე არ იყო? ჩვენ რა განსაკუთრებული კიტრები ვართ ვითომ... ჩვენც ხომ ისეთივე ადამიანები ვართ... ღიახაც... უფრო მეტიც, ჩვენ ყველაზე უფრო შორს ვდგავართ მამაღმერთისაგან... მეხსიერებამ დაკარგა მისი სახე... ჩვენს ხასიათსა და ბუნებასთან სცენარისტი უფრო ახლოა... არ გვინდა ცვლილებები... ვიქნებით ასე მყუდროდ... აი, შეხედეთ! შეხედეთ, რა ლამაზად შლიან დახლებს!!! (გენერალურ სპონსორზე, კოჭლ ნანასა და მორჩილზე უთითებს) გაშალონ მერე, ვის რას უშლიან, ვის აძალებენ, გინდა თუ არა ჩემი საქონელი იყიდეო, არიან

თავისთვის, გუგულებივით... კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზეც ასე არ იყო? ამ ერთი და იგივე საქონლით არ ვვაჭრობდით? გრძელ რიგებში ვიღექით – სმენაგამახვილებულები, თვალებდაწყლიანებულები, გაფაციცებულები. აბა, სად უფრო მეტი ილუზია იყიდება; აბა, სად უფრო მაღალი ხარისხის ილუზიას ყიდიან... გაშალონ ამათაც თავიანთი დახლები... მყიდველი იყიდის, არ იყიდის და, სხვა დახლს მიადგება. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ იყიდოს და აქვე გაყიდოს... რა მოხდა, რას ვაშავებთ. – ხმაურიანი, ცოცხალი, ფერებით სავსე ბაზრობაა... ჩვენ ხომ გვიყვარს ბაზრობები... რაღა მაინცდამაინც ჩვენს ეპოქაში მოინდომეს ეს ცვლილებები... რა უნდათ, რას გვერჩიან, რას გადაგვეკიდნენ... რით ველარ მოვიგეთ ამათი გული, რით ველარ ჩამოგვაყალიბა თავის გემოზე ერთმა ან მეორე მხარემ... როდემდე უნდა გვზილონ ცომივით... შეიცვალა რამე წარღვნის მერე, მიპასუხეთ?! შეიცვალა რამე სოდომ-გომორის გაცამტვერების მერე?! ადამიანები ვართ, ადამიანები, გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს!!! ადამიანები ვართ და გამომშრალ ჭასთან უსაგნოდ მიყრილი წყლის თუნგებივით უსასოოდ ვხავით - ილუზია გვწყურია!!! (ჭაღს ახედავს, უფრო თავისთვის) თქვენ კი მიწისქვეშა ბიძგებს გვიგზავნით აქ... (მაყურებლებისკენ) მაგარი ბიძგი იყო, არა? (ხანმოკლე პაუზა. თითქოს აენთო) მაგრამ არა უშავს, ძვირფასო ტელემაყურებლებო, არ შემიშინდეთ... ახლავე მოვიფიქრებთ რაღაცას... ბიჭო, მომხედე შენ მე აქეთ! მე მიყურე, მე!.. ფოკუსი უნდა განახო... იმისთანა ფოკუსს განახებ, ფოკუსის უნახავს გაგხდის... (ისევ ჩაუცხრა წამიერი აღტკინება). ფოკუსნიკიც გამხადეთ, არა, ფოკუსნიკიც გამხადეთ, თქვე უსინდისოებო! დამაყენეთ აქ და მამატრაბაზეთ ცირკის მაიმუნივით... თქვენც კარგი ხვითოები ხართ... ჯოკონდა ერთმა კაცმა დახატა; მე კი თქვენ დამხატეთ, ყველამ ერთად... ცოცხალი კაცი დეგენერატულ ღიმილად მაქციეთ, ჩირივით გამომაშრეთ, სახე მომიჭმუჭნეთ... ვინა ხართ, საერთოდ? რას ყიდით, რას ყიდულობთ, რა ფიქრები გიტრიალებთ თავში. მაშ, ჩემი ღიმილი გინდათ, არა?! ჩემს ღიმილს ყიდულობთ?! ყიდულობთ და იყიდეთ, აჰა, თქვენი...

(უცნაური გრიმასა გამოეხატება, თითქოს მართლაც ტკივილი მოუჭმუჭნისო სახეს. მოქმედების დასასრულამდე ამ სახით რჩება).

ᲬᲘᲗᲔᲚᲭᲣᲓᲐ. ვაიმე, მგონი ელიფსური ფორმა უნდა მივიღო! (ჯერ იატაკს დააცქერდება. შემდეგ თავის სხეულს ათვალიერებს. მაღლა აიხედავს, ჭაღს მიაჩერდება. მორჩილი, კოჭლი ნახა და გენერალური სპონსორი საქმეს შეწყვეტენ. ჭაღს მიაჩერდებიან ასე გაშეშდებიან).

იოანე ძველებურად თვალდახუჭული ზის.
ჯერ ნელა, შემდეგ უფრო ძლიერად ამოძრავდა ჭაღი.

ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢᲘ. ღულსინეა, ჩემო ტურფავ, ბედნიერების უმაღლეს მწვერვალს მივაღწიე ნამდვილად... ისე მაქანავებს, თითქო ჰამაკში ვიწვეო.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ. ჩუ... ჩუმად!!! (დონ კიხოტის ტუჩებს შეეხო ხელით) ვეტერანი ქალი სივრცეში თვალმიბჯენილი წარმოთქვამს ამ სიტყვას. ახლა მისი ხელი რაინდის სახეს ეფერება. თვალებში კი უცნაური სხივი უკრთის. თუკი სამყაროს წარმოვიდგენთ, მისი სახით, ალბათ, თავისი არსებობის უკანასკნელ წუთებში, ამ სამყაროსაც ასეთი თვალები ექნება - კუთხეში ნაოჭებით, ერთ წერტილს მიბჯენილი, გარდაუვალთან შეხვედრისთვის მომართული, იდუმალი შუქით სევდაჩამდგარი...

ᲤᲐᲠᲓᲐ